


Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

11/2020

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წებულის სახელმძღვანელოს

სახელმწიფოსა და

საგარეო ურთიერთობების

11/2020

შვედარევიტი სარეტი

რეტი-რეტი რეტი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახედიდრეტი და სარეტი ინიტირეტი რეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წუტულის სახელობის
სახალხო იურია და
საპარტოლო ინსტიტუტი



ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი პროფ.
დოქ. არკადიუმ ვუდარსკი მოსამართლე
დოქ. ტიმო უტერმარკი ადვოკატი დოქ.
მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ხატია პაპიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

ISSN 2587-5191

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2020

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2020

© ავტორები, 2020

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge

www.lawjournal.ge, www.isl.ge

სარჩევი

სტატიები

ნოტარიუსის სამსახურებრივი ვალდებულებები ხელშეკრულების სუსტი მხარის დასაცავად <i>რიხარდ ბოკი</i>	7
„კეგელის საფეხუროვანი კასკადის (KEGEL'SCHE LEITER)“ პრინციპის ასახვა ქართულ საერთაშორისო კერძო სამართალში <i>სულხან გამყრელიძე</i>	6
ელექტროენერგიით ვაჭრობა ორგანიზებულ ბაზარზე საქართველოში (შედარება ევროპულ გამოცდილებასთან) <i>აკაკი განერელია / თამარ ბარსონიძე</i>	13
ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე) <i>როინ მიგრიაული</i>	20
არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნის გამორიცხვა (ნაწილი 1) <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	26
ალიმენტის გადახდა სკ-ის 1212-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	37

საბაზისო კავსებები

„ანდრო და ეკა“ (გადაცემული საჩუქრის უკუმოთხოვნა ნიშნობის ჩაშლის შემდეგ სკ-ის 1109 III მუხლის მიხედვით) <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	53
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

სასამართლო პრაქტიკა

უძრავი ნივთის ყადაღისგან გათავისუფლება (<i>ქავშბაია</i>)	57
მიუღებელი სარგებლისა და ნივთზე განეული ხარჯების ანაზღაურება (<i>ქავშბაია</i>)	58
უძრავი ნივთის არარეგისტრირებადი უფლებრივი ტვირთი (<i>ქავშბაია</i>)	61
აღნაგობის საგანზე გაღებული დანახარჯების ანაზღაურება (<i>ოყრეშიძე</i>)	64
მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა ზიანის ანაზღაურების ნებისმიერი შემადგენლობისთვის (<i>ოყრეშიძე</i>)	66
მთავარი ნივთის საკუთრების საკუთვნებელზე გავრცელების ვარაუდი (<i>ოყრეშიძე</i>)	67

საბანკო გარანტიის საფუძველზე გადახდილის პრინციპალისთვის დაბრუნება (ოყრეშიძე)	68
არაჯეროვანი შესრულებით გამონვეული ზიანის ანაზღაურება (ოყრეშიძე)	69
დავლების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება (ბეჟიტაშვილი)	70
უზრუნველმყოფი საკუთრების შეთანხმება (ქავშაია)	74
დასაქმებულის გათავისუფლება სანარმოს რეორგანიზაციისას (ოყრეშიძე)	76
მოთხოვნის დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გვერდის ავლით (ოყრეშიძე)	78
მიზნობრივი კრედიტით მიღებული თანხის არამიზნობრივი ხარჯვა (ოყრეშიძე)	79
გადანყვეტილების პირის საუარესოდ შეცვლის დაუშვებლობა (ოყრეშიძე)	80

ნოტარიუსის სამსახურებრივი ვალდებულებები ხელშეკრულების სუსტი მხარის დასაცავად*

რიხარდ ბოკი

იუსტიციის მრჩეველი, ნოტარიუსი

გერმანიის ფედერალური სანოტარო პალატის გენერალური რწმუნებული საერთაშორისო ურთიერთობებში

ნოტარიუსის როლი ხელშეკრულების სუსტი მხარის დაცვის საკითხში ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის (UINL) მიერ ბოლო დროს ორგანიზებულ ღონისძიებებზე ხშირად განხილული თემაა. ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში, რომელიც სანოტარო საქმიანობას ანესრიგებს, ძირითადად შევხვდებით რეგულაციას, რომ ნოტარიუსი ვალდებულია, გამოუცდელი ანდა ნაკლებად განაფული მხარე არახელსაყრელი მდგომარეობისაგან დაიცვას. აღნიშნული წარმოადგენს გენერალურ დათქმას. იგი მოიცავს დაცვის ვალდებულებას შუამდგომლობის, არასრულწლოვნების, ასევე იმ პირების მიმართ, რომელთაც გამოუცდელობის ან სხვა გარემოებების გამო არ შეუძლიათ, სრული მოცულობით გაიაზრონ დასადები გარიგების შინაარსი და მისი ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგები. მომდევნო თავებში მოკლედ შეჯამებული გერმანელ ნოტარიუსთა ვალდებულებები გარიგებაში შუამდგომლობის მონაწილეობისას. შემდეგ კი განხილულია ამ ფართო თემის სხვა ასპექტები. კერძოდ, ესაა სუსტი მხარის დაცვის ზოგადი ვალდებულებები და, განსაკუთრებით, მომხმარებელთა დამცავი რეგულაციები.

შუამდგომლობა მონაწილეობა

რადგანაც კანონში დეტალურადაა განერილი, ყველაზე მარტივია წესები, რომლებიც ნოტარიუსმა უნდა დაიცვას გარიგებაში შუამდგომლობის მონაწილეობისას.

* სტატია გერმანულიდან თარგმნა დავით მაისურაძემ.

ბის მონაწილეობისას, ე. ი. იმ პირთა მონაწილეობისას, რომლებიც ვერ ხედავენ, არ ესმით, ვერ საუბრობენ ანდა ვერ წერენ. ასეთი შემთხვევებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული რეგულაციებია გათვალისწინებული, მაგალითად, მოწმის ან დამატებითი ნოტარიუსის ჩართვა და სხვ. გერმანიაში ასეთი დამატებითი მოთხოვნები დისპოზიციურია, ე. ი. შუამდგომლობის მათზე უარის თქმა შეუძლია.

სამზრუნველო პირთა და იმ პირთა მონაწილეობა, რომელთა ქმედუნარიანობა საეჭვოა

საქმე შედარებით რთულდება, თუ ნოტარიუსს აქვს მხარის ქმედუნარიანობაში დაეჭვების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში ნოტარიუსს რამდენიმე არჩევანი აქვს. მას უფლება აქვს, ხელმოწერის თარიღი გადაწიოს და მოითხოვოს, რომ მონაწილე მხარემ დამონმების დღეს ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა წარმოადგინოს. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნებისმიერი ექიმის ცნობა არ გამოდგება; ექიმი აუცილებლად ნევროლოგი უნდა იყოს. თუ სამედიცინო ცნობა წარდგენილია, ნოტარიუსს დამონმება შეუძლია.

როცა ექიმი ერთმნიშვნელოვნად ვერ ადგენს ქმედუნარიანობას, ნოტარიუსს პრობლემა ექმნება. კერძოდ, გერმანიაში აღარ არსებობს თანამდებობის პირის მიერ ქმედუნარიანობის დადგენის შესაძლებლობა. თუ პირს აღარ შეუძლია თავისი სამართლებრივი საკი-

თხების გადაწყვეტა, მას ან მის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, სასამართლოს მოსთხოვონ ამ პირისათვის მზრუნველის დანიშვნა. მზრუნველი საჯარო სამსახურს ახორციელებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სასამართლოს ზედამხედველობას ექვემდებარება. იგი სამზრუნველო პირს გარიგებებში წარმოადგენს იმგვარადვე, როგორც მშობლები თავიანთ შვილებს წარმოადგენენ. მზრუნველი გარიგების მხარის ნაცვლად აწერს ხელს საბუთზე. თუმცა საბუთი ჯერ კიდევ არ არის ნამდვილი. ასეთ შემთხვევებში, ყოველთვის დამატებით საჭიროა სასამართლოს მიერ მოწონება. თუ, მაგალითად, მზრუნველი ყიდის სამზრუნველო პირის უძრავ ქონებას, მოწონება ნამდვილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო ნასყიდობას მოიწონებს. მოწონება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სასამართლოს წარედგინება უძრავი ქონების ღირებულების შესახებ ნეიტრალური დასკვნა, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ ნასყიდობის ფასი სათანადოა.

სასამართლოს მიერ მოწონების პროცედურა ხანგრძლივია და თანხებთანაცაა დაკავშირებული. ამიტომ ნოტარიუსთა ფედერალური პალატა უკვე 20 წელია ასეთი შემთხვევებისათვის სპეციალური მინდობილობის, ე. წ. წინასწარი მინდობილობის გაცემას უჭერს მხარს. წინასწარი მინდობილობა არის წინასწარ, ძირითადად, სანოტარო ფორმით გაცემული მინდობილობა, რომლითაც მინდობილობის გამცემის მიერ დასახელებულ ერთ ან რამდენიმე მინდობილ პირს უფლება ენიჭებათ, მინდობილობის გამცემის ქმედუნარიანობის საეჭვოობისას მისი წარმომადგენლები იყვნენ. ასეთი წინასწარი მინდობილობები გერმანიაში საკმაოდ ხშირად გაიცემა. ყველა მათგანი რეგისტრირდება ნოტარიუსთა ფედერალური პალატის სპეციალურ რეესტრში. ამ რეესტრზე, ნოტარიუსების გარდა, ყველა სასამართლოს აქვს წვდომა, ასე რომ, ყოველთვის შესაძლებელია იმის დადგენა, არსებობს თუ არა სათანადო მინდობილობა. დღემდე ამ რეესტრში სამ მილიონზე მეტი მინდობილობაა შეტანილი. საშუალოდ, გერმანულ ნოტარიატში ყოველკვირეულად სამამდე ასეთი მინდობილობის დამონება ხდება.

ზოგადი სამსახურებრივი ვალდებულებები სუსტი მხარის დასაცავად

წინასწარი მინდობილობების დამონება, გერმანული სანოტარო საქმიანობის საბედნიეროდ, მხოლოდ მარგინალური სფეროა. ფართო კომპეტენციის სიმძიმის ცენტრს უძრავი ქონების, სამენარმეო, მემკვიდრეობითი და საოჯახო სამართლის სფეროები წარმოადგენენ. გერმანული კანონი დამონების შესახებ ნოტარიუსებს ავალდებულებს, ყოველი დამონებისას იზრუნოს იმაზე, რომ გამოუცდელი და ნაკლებად განაფული მხარე არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს. მეტს კანონი არაფერს ამბობს. თუმცა ეს ნორმა ნოტარიუსთა მთავარ ვალდებულებას აწესებს, რომლის დაუცველობაც სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევაა და, ამგვარად, ნოტარიუსისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს. ამ პრობლემატიკის ირგვლივ წლების განმავლობაში მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ჩამოყალიბდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი მაგალითის განხილვა: გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეუღლებმა ქორწინებამდე ან ქორწინების განმავლობაში შეიძლება დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც მოწესრიგდება სამართლებრივი შედეგები განქორწინების შემთხვევისათვის. ხელშეკრულება ტიპურად ითვალისწინებს ქონებრივი ასიმეტრიის გათანაბრების მოთხოვნებს, განქორწინების შემდგომ რჩენასა და ურთიერთმონაწილეობას სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებაში. კანონი არ კრძალავს ამ მოთხოვნათა სრულად გამორიცხვას განქორწინების შემთხვევაში. თუმცა უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოთხოვნათა გამომრიცხავი ასეთი დათქმა ბათილია, როცა სუსტი მხარე – ძირითადად ესაა ცოლი – ამით შეუსაბამოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდება. მაგალითად, როდესაც შეთანხმებული გეგმით ცოლმა სამსახურში მუშაობის ნაცვლად საერთო შვილები უნდა აღზარდოს, ასეთი საქორწინო ხელშეკრულება განქორწინების შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ

ბათილი იქნება, თუკი ცოლი ვერ შეძლებს საკუთარი შემოსავლის მომტანი საქმიანობის პოვნას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში შექმნილი გარემოებებიდან ირკვევა, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი მეუღლე გარკვეულ ზენოლას განიცდიდა. გასულ წლებში ევროპაში იყო შედარებით ძლიერი იმიგრაციის ტალღა ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან. მიგრანტები გერმანიის მოქალაქეებთან აფორმებდნენ საქორწინო ხელშეკრულებებს, რაც, სავარაუდოდ, მოტივირებული იყო ქორწინებით მოპოვებულ ბინადრობის უფლებასთან. საქორწინო ხელშეკრულებები, რომლებიც განქორწინებისას ამ უცხოელი მეუღლეების შეზღუდვებს ითვალისწინებენ, შეიძლება ბათილი იყოს, რადგან მათ გაფორმებას ფონად გასდევდა ქვეყნიდან გასახლების საფრთხე. ეს ეხება ასევე იმ შედარებით უფრო ხშირ შემთხვევას, როდესაც საქორწინო ხელშეკრულება იდება მომავალი მეუღლის ორსულობის პერიოდში. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ 2000 წელს მიღებული ერთ-ერთი გადაწყვეტილების შემდეგ ნოტარიუსთა სტანდარტულ კითხვას ქორწინების ხელშეკრულების დადების მსურველ წყვილთა მიმართ წარმოადგენს, უკვე ხომ არ ელოდებიან შვილს. თუკი პასუხი დადებითია, ნოტარიუსი მათ უკან გაუშვებს და დამონმებას გადადებს, სანამ ისინი დაქორწინდებიან.

უძრავი ქონების სამართალში ნოტარიუსისთვის მდგომარეობა, საბედნიეროდ, უკეთესია, რადგან ეს სფერო კანონით წესრიგდება. აქ უპირველესად მოქმედებს პრინციპი, რომ ნოტარიუსი მხარეთა ეკონომიკური მრჩეველი არ არის. მაშინაც კი, როცა იგი ფიქრობს ან სულაც პოზიტიურად იცის, რომ მყიდველი უძრავ ქონებაში ძალიან მაღალ ფასს იხდის, მას ამაზე კომენტარის გაკეთების უფლება არ აქვს. თუმცა მხარეთა მოლაპარაკებაში ჩაურევლობის ამ პრინციპის ფარგლებსაც კანონი ადგენს. თუ ნოტარიუსი ეჭვობს, რომ ნასყიდობის აშკარად გაზვიადებულ ფასზე შეთანხმება ფულის გათეთრების გარიგების ნაწილია, მან კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა გაატაროს. იგივე ხდება საპირისპირო შემთხვევა-

ში, როდესაც აშკარად დაბალ ფასზე შეთანხმება გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით ხდება.

გამოუცდელი მხარის დაცვის პრინციპის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევაა ნასყიდობა ჯერ კიდევ ასაშენებელ საცხოვრებელზე. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სახელმწიფოში იუსტიციის მინისტრისათვის მთხოვეს კონსულტაციის განევა ნოტარიატის შესახებ კანონის თაობაზე. მინისტრის ინფორმაციით, ერთ-ერთმა ნოტარიუსმა დაამონმა დიდი რაოდენობით ნასყიდობის ხელშეკრულებები ჯერ კიდევ ასაშენებელ საცხოვრებელზე. სამშენებლო კომპანიამ ფასდაკლებული საფასური ნაღდი ანგარიშსწორებით თითოეული კლიენტისგან სრულად მიიღო ნოტარიუსის თანდასწრებით და ბოლო ბინის გაყიდვის შემდეგ ფულთან ერთად გაუჩინარდა. „რა საჭიროა ამ ქვეყანაში ნოტარიუსები“ – იკითხა მინისტრმა. ნოტარიუსმა ნამდვილად დაარღვია განმარტების ვალდებულება, აქ ხომ საქმე ეხებოდა ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების წინასწარ შესრულებას სრულიად დაუცველად. თუმცა ამ შემთხვევის მთავარი პრობლემა სხვა საფეხურზე უნდა ვეძიოთ. კერძოდ, არ არსებობდა საკანონმდებლო რეგულაცია, თუ მშენებლობის რომელ ეტაპზე უნდა იყოს სამშენებლო კომპანია უფლებამოსილი, მოითხოვოს ნასყიდობის ფასის გარკვეული პროცენტი. მართალია, ნოტარიუსი ვალდებულია, სუსტი მხარე არახელსაყრელი შედეგებისაგან დაიცვას, მაგრამ ამ ვალდებულების დაცვა კანონით მოუნესრიგებელი აუცილებელი ვადის პირობებში მას მხოლოდ შესაბამისი რჩევა-დარიგებითა და გაფრთხილებით შეუძლია. თუკი მყიდველი მაინც თანახმაა, დაუცველად გადაიხადოს ნასყიდობის ფასი, ნოტარიუსი პასუხს არ აგებს ამით გამონვეულ ზიანზე.

გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დააკონკრეტა ნოტარიუსის მიერ რჩევის მიცემის ვალდებულება არაუზრუნველყოფილი წინასწარი შესრულების დროს. ნოტარიუსი ვალდებულია, არა მხოლოდ მიუთითოს მოსალოდნელ საფრთხეებზე, არამედ უჩვენოს სულ მცირე ორი ალტერნატივა, რომლებიც ხელშეკრულების სუსტი მხარის რისკე-

ბს ამცირებს. ასე რომ, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, გერმანული მართლწესრიგით ნოტარიუსი ვალდებული იქნებოდა, მყიდველისთვის აეხსნა ნასყიდობის ფასის დეპონირების შესაძლებლობა ანდა გამყიდველის მიერ საბანკო თავდებობის წარმოდგენის საჭიროება.

რა თქმა უნდა, უკეთესია, თუ კანონმდებელი თავად იჩენს ინიციატივას და ადგენს, მშენებლობისას მაქსიმუმ რა ოდენობის გადახდა შეიძლება მოეთხოვოს მყიდველს ჯერ კიდევ ასაშენებელი უძრავი ქონებისათვის. ასეთი კანონი გერმანიაში 1974 წლიდან არსებობს. დიდი ოდენობით ზიანის მიყენების შემთხვევები უცნობია.

მომხმარებელთა დაცვა

მომხმარებელთა დაცვა არა მხოლოდ გერმანიის ნოტარიუსის, არამედ ზოგადად გერმანული მართლმსაჯულების ცენტრალური საკითხია. გერმანიის იუსტიციის სამინისტროს სრული დასახელებაა „იუსტიციისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო“.

კომპლექსური ეკონომიკური სტრუქტურების, რთული ბაზრების, ეკონომიკური ძალაუფლებისა და გამოცდილების ფართო სპექტრის მქონე დიფერენცირებულ საზოგადოებაში ის გარემოებები, რომლებზედაც ჩვეულებრივი მოქალაქე საკუთარ ეკონომიკურ გადანყვეტილებას აფუძნებს, მისთვის სულ უფრო ბუნდოვანი და უმართავი ხდება. ხშირად იგი გადანყვეტილებებს იღებს არა რაციონალურად, არამედ ბაზრის სხვა მონაწილეთა განსაკუთრებული პოპულარულობის, რეკლამისა და დარწმუნების ხელოვნების გამო. გერმანელი კანონმდებლის წარმოდგენით, ნოტარიუსის ამოცანაა, ხელშეკრულების ნაკლებად გამოცდილ მხარეს გადანყვეტილება რაც შეიძლება რაციონალურ საფუძველზე მიაღებინოს. რა თქმა უნდა, ნოტარიუსს არ შეუძლია, მხარეებს რაციონალური ქცევა აიძულოს ან დაიყოლიოს. ისინი გადანყვეტილებებს თავიანთი კერძო ავტონომიის ძირითადი უფლების საფუძველზე იღებენ. მაგრამ რთული საზოგადოებრივი და საბაზრო სტრუქტურის პირობებში ნოტარიუსი ხედავს საჭიროებას, რომ სუსტ მხარეს ხელი

შეეწყოს თავისი კერძო ავტონომიის უფლების განხორციელებაში. ამ სოციალ-პოლიტიკურ ამოცანებს ნოტარიუსებს მიანდობს როგორც კანონმდებელი, ისე მართლმსაჯულება. და ბოლოს, პრევენციული სამართალგაფორმების ვალდებულება წარმოადგენს ნოტარიუსის პროფესიის სამართალ-პოლიტიკური ამოცანის – სოციალური მშვიდობის უზრუნველყოფის – ნაწილს.

სამომხმარებლო ხელშეკრულების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ხელშეკრულების ერთ მხარეს სანარმო, ხოლო მეორე მხარეს კერძო პირი წარმოადგენს, ნოტარიუსი ვალდებულია, შეაფერხოს მენარმის მიერ შემოთავაზებული ხელშეკრულების ისეთი პროექტი, რომელიც მას ცალმხრივად უქმნის სარგებელს. ასეთი აკრძალული ხელშეკრულებების ნაწილი გერმანიის კერძო სამართალში დეტალურადაა განხილული. მაგალითად, დაუშვებელია, ახლახან დასრულებული ბინის მყიდველს მოეთხოვოს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე დადგინდა ნაკლის არსებობა. ასევე დაუშვებელია, ახალი უძრავი ქონების მყიდველმა უარი თქვას თავის საგარანტიო მოთხოვნებზე ანდა კანონით გათვალისწინებული ხუთწლიანი საგარანტიო ვადა ხელშეკრულებით შემცირდეს.

დამონმების შესახებ ჩვენი კანონი ნოტარიუსს სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დამატებით ვალდებულებებს უწესებს. ნოტარიუსებს ასეთი ხელშეკრულებების დამონმება შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სუსტმა მხარემ ანუ მომხმარებელმა ხელშეკრულების პროექტი დამონმებამდე სულ მცირე ორმოცი დღით ადრე მიიღო. მას უნდა ჰქონდეს საშუალება, პროექტი შეამოწმოს, ფასზე კიდევ ერთხელ დაფიქრდეს და, საჭიროების შემთხვევაში, ნასყიდობაზე უარი თქვას. მომხმარებელს ამ ვადის დაცვაზე უარის თქმა არ შეუძლია. თუ ნოტარიუსი ხელშეკრულებას ნაადრევად დაამონმებს და მყიდველი დაასაბუთებს, რომ ორმოცდღიანი ვადის დაცვის შემთხვევაში იგი ნასყიდობას არ დათანხმდებოდა, ნოტარიუსს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება. ვადის დაუცველობის

არაერთი შემთხვევა ნოტარიუსისთვის თანამდებობის ჩამორთმევით სრულდება.

2004 წელს ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს წესების კრებული სახელწოდებით „**Deontology and Rules of Organisation for Notariats**“, ეს არის ნოტარიუსთა ერთგვარი ეთიკის კოდექსი.

ამ სტატუტის 5.5-ე და 46-ე მუხლების თანახმად, „ნოტარიუსებმა უარი უნდა თქვან ისეთ გარიგებებში მონაწილეობაზე, რომლებიც, მართალია, კანონის სიტყვასიტყვითი გაგებით დასაშვებია, მაგრამ მის მიზანთან შეუთავსებელია ანდა რომლებმაც ერთ-ერთი მხარე აშკარად შეიძლება დააზარალონ.“

46-ე მუხლი ამ პრინციპს უფრო ზუსტად განმარტავს. ამ მუხლის მიხედვით, ნოტარიუსებმა განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინონ იმ მხარის საჭიროებები, რომელიც ინფორმაციის დეფიციტს განიცდის და მას მიაწოდონ პროფესიონალური რჩევები და რეკომენდაციები. ასეთი მონესრიგება მომხმარებელთა დაცვის სამართლის პრინციპებს შეესაბამება. სულ უფრო გართულებულ ეკონომიკურ და სოციალურ გარემოში არსებობს ნოტარიატის გაზრდილი და პერმანენტულად ცვალებად ურთიერთობათა შესატყვისი ვალდებულება, უზრუნველყოს ყურადღებიანობა, ინფორმაციული ბალანსი, გამჭვირვალობა და ზიანის პრევენცია.

„კეგელის საფიქსურთვანი პასკადის (KEGEL'SCHE LEITER)“ პრინციპის ასახვა ქართულ სამართაშორისო კერძო სამართალში*

სულხან გამყრელიძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართალი – ორქიდის საგანი?

შეიძლება თუ არა, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი მივაკუთვნოთ სამართლის იმ იშვიათ დარგებს, რომლებსაც ლიტერატურაში ხშირად, „ორქიდის საგნებს“ უწოდებენ?

რატომ ორქიდეა? ორქიდეა იშვიათი, განსაკუთრებული და ეგზოტიკური ყვავილია. ეს არ არის მასებზე გათვლილი მცენარე. გარდა იმასა, რომ ორქიდეა ეგზოტიკური, ლამაზი და გასაოცარია, აქვს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება, მას ამავდროულად, არაპრაქტიკულად და გამოუსადეგარად თვლიან. ტრადიციულად, ორქიდის საგნებს მიაკუთვნებენ სამართლის ისეთ თეორიულ და აბსტრაქტულ დარგებს, როგორებიცაა სამართლის ფილოსოფია, სამართლის ისტორია, კრიმინოლოგია, სამართლის სოციოლოგია...²

გარდა სამართლის ჩამოთვლილი დარგებისა, საერთაშორისო კერძო სამართალიც შეიძლება ჩაითვალოს „ორქიდის საგანად.“ არა მარტო იმ საფუძვლით, რომ ის იშვიათად გამოიყენება, არამედ იმიტომაც, რომ სამართლის სხვა, ტრადიციულ დარგებთან შედარებით განსაკუთრებული, უჩვეულო და განსხვავებული მიდგომებით, მონესრიგებითა და შინაარსით გამოირჩევა.

იმ შემთხვევაში, თუ იურისპრუდენცია არის პრაქტიკული მეცნიერება და თუ არ დავეთანხმებით ბერლინის ცნობილი პროკურორის, იულიუს ფონ კირხმანის გამონათქვამს, „კანონმდებლის სამი არგუმენტირებული სიტყვისა“ და „იურიდიული ბიბლიოთეკის მაკულატურად გადაქცევის“ თაობაზე, საერთაშორისო კერძო სამართალიც არის პრაქტიკული დარგი.³ დროთა განმავლობაში ყველაფერი ძველდება და ვითარდება. ამიტომ ნაწილობრივ, „ბიბლიოთეკის მაკულატურად გადაქცევას“ ვერსად გავექცევით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი გამოუსადეგარი და არაპრაქტიკული დარგია. სამართალმცოდნეობის განვითარებას თუ დინამიკაში განვიხილავთ, მაშინ ორი ტიპის პროცესთან გვექნება საქმე: ის, რაც მუდმივად ინარჩუნებს აქტუალურობას და ის, რაც შეიძლება მოძველდეს. სამართლის პრინციპები, აკრძალვები თუ მოთხოვნები, რომელსაც გუსტავ რადბრუნი „ზეკანონიერ“ სამართალს უწოდებდა, დროში თითქმის არ იცვლება. გარდა ამისა, ხშირად ის, რაც მოძველებული გვეგონია, გარკვეული მომენტისთვის შეიძლება ძალიან თანამედროვე, საჭირო და პრაქტიკული გამოდგეს.

გამომდინარე აქედან, საერთაშორისო კერძო სამართალი ნაწილობრივ შეიძლება მივაკუთვნოთ ორქიდის მსგავს სამართლის დარგებს, მისი განსაკუთრებულობის გამო, მაგრამ იმის გაუთვალისწინებლად, რომ ის, სამართლის ძალიან თეორიული, აბსტრაქტული, არაპრაქტიკული ან გამოუსადეგარი დარგია.

* სტატია პირველად გამოქვეყნებულია ჟურნალში: კანონი და მართლმსაჯულება № 2(66) 2020, 33-44. მოცემულ ჟურნალში ქვეყნდება სარედაქციო კოლეგიის თხოვნით.
² Struck G., Rechtssoziologie, Grundlagen und Strukturen, Nomos, Baden-Baden, 2011, S.11.

³ J. Von Kirchmann, Die Wertlosigkeit der Jurisprudenz als Wissenschaft, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 1956, S. 24, 25.

1. ნორმატიული და ფაქტიური საერთაშორისო კერძო სამართალში

საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვანი დებულებები საქართველოს კანონმა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ (1998) თავის პირველივე მუხლში ზოგადად ასახა:

„ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყნის სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტიური გარემოებების არსებობისას, ასევე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.“

კანონი გვეუბნება, რომ საქმის ფაქტიური გარემოება უცხო ქვეყნის სამართალთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ შემთხვევაში „დაკავშირება“ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ცნებაა და არ წარმოადგენს უბრალოდ კავშირს ორ მოვლენას შორის. მას არსებითი სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. დაკავშირებაში მოიაზრება კონკრეტული შემადგენლობის სავარაუდო კავშირი უცხო ქვეყნის სამართალთან. დაკავშირება შედგება დაკავშირების საგნისაგან და დაკავშირების მომენტისაგან. დაკავშირების საგანი სამართლებრივი კატეგორიაა (მაგ.: ხელშეკრულება, მემკვიდრეობა, ქორწინება...). დაკავშირების მომენტი არის შემადგენლობის ფაქტიური, აღწერილობითი ნიშანი (მაგ.: საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, იურიდიული პირის რეზიდენცია, ხელშეკრულების დადების ადგილი...). დაკავშირების მომენტის მეშვეობით, საქმის ფაქტიური გარემოება უკავშირდება კონკრეტული ქვეყნის სამართალს, ხოლო დაკავშირების საგნის მეშვეობით ვარკვევთ, კერძო სამართლის რომელ ინსტიტუტთან გვაქვს საქმე (დელიქტურ სამართალთან თუ სახელშეკრულებო სამართალთან, საოჯახო სამართალთან თუ სამემკვიდრეო სამართალთან...). კონკრეტული ქვეყნის სამართალზე მითითების

შედეგია გამოსაყენებელი სამართლის იდენტიფიცირება და გამოყენება.⁴

ამგვარად, ერთი შეხედვით, საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სამართალთა კონფლიქტის მომწესრიგებელი სამართლის დარგის ფუნქცია იქ მთავრდება, სადაც ირკვევა, თუ რომელი ქვეყნის სამართალია გამოსაყენებელი. რაც შეეხება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას სამართლის სუბიექტებს შორის, მათ შორის კონფლიქტის მოგვარებას, ეს უკვე კერძო სამართლის მატერიალური ხასიათის ნორმების პრეროგატივაა. იგულისხმება იმ ქვეყნის მატერიალური სამართალი, რომელსაც მხარეები აირჩევენ, იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც კოლიზიური სამართალი მიუთითებს ან უნიფიცირებული სამართლით განსაზღვრული ნორმები.

2. გერჰარდ კეგელის „საფეხუროვანი კასკადის“ (KEGEL'SCHE LEITER) პრინციპი

გერჰარდ კეგელი (1912-2006 წწ.) იყო ძალიან ცნობილი გერმანელი სამართალმცოდნე, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დააჩნია XX-XXI საუკუნეების საერთაშორისო კერძო სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკას.

ბოლო საუკუნეების სამართლებრივ განვითარებას თუ თვალს მივადევნებთ, ერთ კანონზომიერებას შევნიშნავთ. მარტოოდენ დოგმატიკის საკითხებზე მუშაობა საკმარისი აღარ არის იმისთვის, რომ მეცნიერმა ღირებული პროდუქტი შექმნას. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ სოციალურ მეცნიერებებში ახალი სიტყვის თქმა ძალიან გართულდა. „აღმოჩენების“ პერიოდი კლასიკასთან ერთად, წარსულს ჩაბარდა.

გარდა ამისა, დღევანდელი ინდუსტრიული საზოგადოების დაკვეთა აღარ არის მარტოოდენ კლასიკური ხასიათის საკითხებზე მუშაობა. თანამედროვე ინდუსტრიული მსოფლიო-

⁴ გამყრელიძე ს., შემთხვევის გადაწყვეტის მეთოდი საერთაშორისო კერძო სამართალში ევროპის, გერმანული და შვეიცარიული სამართლის გათვალისწინებით, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, თბ., 2015, გვ. 141-145.

სთვის და საბაზრო ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია პრობლემების პრაქტიკული და სწრაფი გადაწყვეტა. სამართლის სოციალურმა საზრისმა დაჯაბნა სამართლის დოგმატური კვლევის მეთოდები.

გერჰარდ კეგელის დამსახურება სწორედ ის არის, რომ იგი ამოდიოდა სამართლის, საერთაშორისო კერძო და შედარებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დოგმატური საკითხებიდან, მაგრამ ამას ის იყენებდა საერთაშორისო კერძო სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში არსებული პრობლემური და პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად.

კონკრეტულად კი, საკითხი ეხება გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართალს, – სამოქალაქო კოდექსის შესავლის კანონის (EGBGB) მე-14 მუხლს (ქორწინების ზოგადი შედეგები). ქორწინების ზოგად შედეგებში გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) მოიაზრებს 1353-ე მუხლს (საქორწინო თანაცხოვრების ვალდებულება), 1356-ე მუხლს (მეურნეობის ერთობლივად წარმოება), 1357-ე მუხლს (ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაფარვის ვალდებულება), 1359-ე მუხლს (პასუხისმგებლობის მასშტაბი), 1362-ე მუხლს (სპეციალური ქონებრივი ვარაუდები).⁵

რა იგულისხმება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავლის კანონის მე-14 მუხლში? მისი ძველი რედაქციის (2019 წლამდე არსებული რედაქცია) შინაარსი ასეთია:

„14 მუხლი. ქორწინების ზოგადი შედეგები

(1) ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება

1. იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც **ორივე** მეუღლე **ერთად განეკუთვნება** ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში **განეკუთვნებოდა**, თუ ერთ-ერთი მათგანი ამ ქვეყანას ჯერ კიდევ, **მიეკუთვნება** სხვა მხრივ.

2. იმ ქვეყნის სამართალს, სადაც **ორივე** მეუღლეს **ერთად** აქვთ ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა **ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი**, თუ ერთ-ერთ მათგანს იქ ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, დამატებით.

3. იმ ქვეყნის სამართალს, რომელთანაც **მეუღლეები ერთობლივად**, სხვაგვარად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.“⁶

აღნიშნულ მუხლს აქვს მე-2, მე-3 და მე-4 აბზაცები, რომელებსაც ამჯერად შეგნებულად არ განვიხილავთ. აღნიშნული აბზაცები ძირითადად, შეეხება სამართლის არჩევას ქორწინების ზოგადი შედეგების კონკრეტულ შემთხვევებში.

დავუბრუნდეთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავლის მე-14 მუხლის პირველ აბზაცს. აღნიშნული აბზაცის პირველ პუნქტში გამოყენებულ ტერმინებში – „განეკუთვნებოდა“ და „მიეკუთვნება“ მოიაზრება პირის მოქალაქეობა.

ამ ნორმის პირველი პუნქტისთვის **დაკავშირების მომენტი** არის მეუღლეთა ერთობლივი **მოქალაქეობა**, მეორე პუნქტისთვის – მეუღლეთა **ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი** და მესამე პუნქტისთვის მათი ერთობლივი **მჭიდრო კავშირი** კონკრეტულ ქვეყანასთან. აღნიშნული ნორმით აღწერილი შემადგენლობისთვის **დაკავშირების საგანი** არის **ქორწინების ზოგადი შედეგები**.

აღნიშნული ნორმის პირველი და მეორე პუნქტით აღწერილი შემადგენლობის ფარგლებში არსებული მითითება არის **ერთიანი მითითება (კოლიზიურ სამართალზე მითითების შესაძლებლობა)**. მესამე პუნქტი გულისხმობს **კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებულ ნორმაზე მითითებას (მატერიალურ სამართალზე მითითება)**.⁷

⁵ Kegel G., Internationales Privatrecht, C.H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1987, S. 531; B. von Hoffmann/K. Thorn, Internationales Privatrecht, Verlag C.H. Beck, München, 2007, S. 314; Th. Rauschner, Internationales Privatrecht, C. F. Müller Verlag, Heidelberg, 2009, S. 166.

⁶ Bürgerliches Gesetzbuch, Beck-Texte im dtv, Deutscher Taschenbuch Verlag, 2009, S. 487.

⁷ Palandt, Beck'sche Kurzkommentare, Bürgerliches Gesetzbuch, C.H. Beck, 2014, S. 2647, Rn. 3; Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, B. 10, Verlag C.H. Beck, München, 2010, S. 1863, Rn.122,123; A.Junker, Internationales Privatrecht, C. H. Beck, München, 2019, S. 398.

ამასთან ერთად, აღნიშნული შემადგენლობა კონკრეტულ შემთხვევებში, **ხასიათდება სუბსიდიარული (რანგის მიხედვით არსებული რიგითობა) დაკავშირების მომენტებით.** იგულისხმება, რომ კონკრეტული საქმის ფაქტიური გარემოება უცხო ქვეყნის სამართალს უკავშირდება სუბსიდიარულად, მოქალაქეობის, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის და მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით. პირველად განიხილება **ერთობლივი მოქალაქეობის** პრინციპი, როგორც კანონით განსაზღვრული რანგით მაღალი კატეგორია. იმ შემთხვევაში, თუ ეს პრინციპი არ შეესაბამება კონკრეტული საქმის ფაქტიურ გარემოებას, მაშინ განიხილება მეუღლეთა **ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის** ქვეყნის სამართალი. თუ არც ამ პრინციპმა არ იმუშავა, სუბსიდიარულად მოქმედებს იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც მეუღლეები **მჭიდროდ არიან დაკავშირებული**. ეს არის კეგელის ე. წ. საფეხუროვანი კასკადის შინაარსი. კეგელის საფეხუროვანი კასკადის პრინციპი არ არის ალტერნატივა ფიზიკური პირების (მეუღლეების) მოქალაქეობას, ჩვეულებრივ ადგილსამყოფელსა და მჭიდრო კავშირს შორის, არამედ კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ, რომ არის სუბსიდიარული დაკავშირების შესაძლებლობა. ერთის გამორიცხვის შემთხვევაში, განიხილება ყოველი შემდგომი.⁸

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქორწინების ზოგადი შედეგები შეიძლება არ **მოქმედებდეს უშუალოდ.** ის შეიძლება მოქმედებდეს **ირიბად**, იმ სისტემურ ინსტიტუტებზე დაყრდნობით, რომლებიც მისი ქოლგის ქვეშ ტრადიციულად არ მოიაზრება (მაგ.: განქორწინება, ალიმენტი ან ქონებრივი ურთიერთობები და ა. შ).

ქორწინების ზოგადი შედეგების სტატუსი **ცვალებადია.** ეს ნიშნავს, რომ ქორწინება, როგორც განგრძობითი ვალდებულებითი ურთიერთობა, უცხო ქვეყნის სამართალთან **დაკავშირებისას** შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, როგორც იცვლება იმ კონკრეტულ შემთხვევა-

ში ორივე მეუღლის სტატუსი (**მოქმედება ex nunc**).⁹

მაგალითისთვის შეიძლება მოვიტანოთ შემთხვევა: იტალიელი წყვილი ქორწინდება. თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების შემდგომ, ისინი ლებულობენ გერმანიის მოქალაქეობას. ასეთ შემთხვევაში, პირველი თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების ფარგლებში გამოიყენება იტალიური სამართალი, მას შემდეგ, რაც მათ გერმანიის მოქალაქეობა მიიღეს, ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება გერმანულ სამართალს.

3. გერჰარდ კეგელის „საფეხუროვანი კასკადი“ და პოლიტიკა

დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება და ვითარდება. სოციალური ურთიერთობების ცვლილებები იწვევს კანონმდებლობის ახლებურ განმარტებას ან საერთოდ ახალი საკანონმდებლო აქტების შექმნას.

ბოლო 20-30 წლის განმავლობაში, არსებული პრიორიტეტები რადიკალურად, ახლებური ხედვებით შეიცვალა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია გლობალიზაციის პროცესი, რომელმაც სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ძირეული პრინციპების განვითარებაზე განსაკუთრებით იმოქმედა.

ადრე თუ სახელმწიფო და მისი სუვერენიტეტი იყო გადამწყვეტი, ბოლო დროს პიროვნებამ და ადამიანის უფლებებმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმაც სახელმწიფოების სუვერენიტეტის პრინციპზე მაღლა ადამიანის უფლებები დააყენა.

ეს პროცესი საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებაზეც შესამჩნევად აისახა. მოქალაქეობის პრინციპმა, რომელიც ბოლო დროს უკვე ისედაც აღარ იყო გადამწყვეტი, კიდევ უფრო უკან გადაინაცვლა და მისი ადგილი ჩვეულებრივმა ადგილსამყოფელის

⁸ Kropholler J., Internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2006, S. 347; G. Kegel, S. 528-529.

⁹ Prütting. Wegen. Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand, 2009, S. 2966., Rn 13; P. Hay/T. Krätzschar, Internationales Privat- und Zivilverfahrensrecht, Verlag C.H. Beck, München, 2010, S.235; Palandt, S. 2647, Rn. 6.

პრინციპმა დაიკავა. ძალიან ბევრი ადამიანი დასახლდა უცხოეთში. ასევე, გახშირდა ცალკეულ პირთა მიერ ადგილსამყოფელის ხშირი ცვლა. **გადაადგილების თავისუფლება, კაპიტალისა და შრომის ბაზრის ინტერნაციონალიზაცია, ევროინტეგრაციის მნიშვნელოვან პოსტულატად იქცა.**

აღნიშნულმა ცვლილებებმა იმოქმედა კეგელის „საფეხუროვანი კასკადზეც.“ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავლის კანონის მე-14 მუხლმა გარეგნულად და შინაარსობრივად სხვაგვარი სახე მიიღო. 2019 წელს ძალაში შესული ცვლილების მიხედვით, პირველ ადგილზე აღარ დგას იმ ქვეყნის სამართლის გამოყენება, რომლის მოქალაქეებიც მეუღლეები არიან.

ქორწინების ზოგადი შედეგების შემთხვევებში, პირველი ადგილი სამართლის არჩევამ დაიკავა. მოქალაქეობის პრინციპი კი, იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებამ ჩაანაცვლა, სადაც მეუღლეებს **ერთობლივად** გააჩნიათ **ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი**. მოქალაქეობის მიხედვით სამართლის გამოყენებამ ამ მუხლის ბოლო პუნქტებში გადაინაცვლა.¹⁰ რეფორმის პროცესში იყო იმის მცდელობებიც, რომ ამ მუხლიდან მოქალაქეობის პრინციპი საერთოდ ამოეღოთ, მაგრამ ამ მცდელობებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

4. კეგელის „საფეხუროვანი კასკადის“ დაწერგვა საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლამ ევროპის აღმოსავლეთით ახალი თავისუფალი სახელმწიფოების წარმოქმნა გამოიწვია. პოლიტიკურმა თავისუფლებებმა ეს ქვეყნები თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების წარმოშობის წინაშე დააყენა. საბაზრო ეკონომიკას გეგმიური ეკონომიკისაგან განსხვავებული სტანდარტის სამართლებრივი ბაზა ესაჭიროებოდა.

წინა საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, საქართველოში მიმდინარე პოლი-

ტიკურმა ცვლილებებმა სამართლისა და სასამართლო რეფორმის დასაწყისს ჩაუყარეს საფუძველი. კერძო სამართლის რეფორმა გერმანულ ექსპერტებთან თანამშრომლობით განხორციელდა. შეზღუდული დროის მონაკვეთში ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კანონი „მენარმეობის შესახებ“, კანონი „ჩეკისა და თამასუქის შესახებ“, კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ და ა. შ.

აღნიშნულმა რეფორმამ ძირითადად, დადებითად ჩაიარა. ბუნებრივია იყო ხარვეზებიც, რაც დაიხვენა და დღესაც იხვენება.

1998 წელს, ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.“ კანონი ძირითადად, აგებულია გერმანულ, შვეიცარიულ და ევროკავშირის სამართლის პრინციპებზე. კოლიზიური სამართალი არსებითად გერმანიის საერთაშორისო კერძო სამართლისაგან არის დავალებული. საერთაშორისო პროცესის ნაწილში შვეიცარიული და ევროპული გამოცდილება არის გაზიარებული.

ქართულ კანონში აისახა ზემოთ განხილული კეგელის საფეხუროვანი კასკადის (Kegel'sche Leiter) პრინციპიც (45-ე მუხლის პირველი აბზაცი). საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე მუხლის პირველი აბზაციის ფორმულირება შემდეგნაირია:

„მუხლი 45. ქორწინების შედეგები

1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც **ორივე მეუღლე ცალ-ცალკე** განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც **ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე** აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვე- ულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) რომელთანაც **მეუღლეები ერთობლივად** ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.“

აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში, კანონის შემუშავების პროცესში გაიპარა მნიშვნელოვანი ხარვეზი. კეგელის ფორმულა, ქორწინების ზოგადი შედეგების შემთხვევებში, გულისხმობს **დაკავშირების მომენტს**, მეუღლეების **ერთო-**

¹⁰ Junker A., S.397, Rn. 29.

ბლივ მოქალაქეობას („განეკუთვნება“ ნიშნავს მოქალაქეობას) და **ერთობლივ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს** და არა **ორივე მეუღლის** მოქალაქეობას **ცალ-ცალკე** ან მათ ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს **ცალ-ცალკე** აღებულებს, როგორც ეს ქართულ კანონშია მოცემული. რაც შეეხება კანონის 45-ე მუხლის პირველი აბზაცის გ) პუნქტს, ის მართებულად არის შემუშავებული.

რატომ არის მეუღლეების **ერთობლივი** მოქალაქეობის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ქვეყნის სამართალი მნიშვნელოვანი და არა მეუღლეების მოქალაქეობის ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ქვეყნების სამართალი **ცალ-ცალკე**? უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ კეგელის ფორმულა ქორწინებას განიხილავს როგორც **ერთიან სტატუსს** და გამომდინარე აქედან, მსგავს შემთხვევებში დაკავშირების მომენტი არის არა მეუღლეების **სტატუსი ცალ-ცალკე**, არამედ მათი ერთიანი მდგომარეობა. მეორე არგუმენტი ის არის, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, ქორწინების, როგორც ერთიანი სტატუსის განხილვის გარეშე, აღნიშნული მუხლი საერთოდ დაკარგავდა აზრს და კოლიზიის დაძლევის მაგივრად, ახალ კოლიზიურ გარემოებებს გააჩენდა. ამ მხრივ, სრულად ვიზიარებთ პროფესორ ბაკურ ლილუაშვილის მოსაზრებას, რომელიც კარგად აისახა მის ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ თუ მეუღლეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იქნებიან, ცნება „ცალ-ცალკე“ გამოიწვევდა „ორივე ქვეყნის სამართლის გამოყენებას.“ პროფესორი ლილუაშვილი მართებულად დასძენს, რომ ეს პრაქტიკულად „შეუძლებელია.“

დასკვნა

de lege ferenda

განხილული საკითხებიდან გამომდინარე, მივდივართ იმ შედეგებამდე, რომ **აუცილებელია კეგელის საფეხუროვანი კასკადის (Kegel'sche Leiter) მართებულად ასახვა ქართულ კანონმდებლობაში.**

რას ნიშნავს კეგელის საფეხუროვანი კასკადის მართებულად ასახვა ქართულ კანონმდე-

ბლობაში? ეს ნიშნავს, რომ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე მუხლის პირველი აბზაცი უნდა შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45. ქორწინების შედეგები

1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ერთობლივად განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ერთობლივად აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული.“

De lege lata

რა უნდა ქნას სასამართლომ, ვიდრე აღნიშნული მუხლი შეიცვლება? კანონმდებლობის ცვლილებამდე აღნიშნული მუხლი **ძალაში რჩება**, მაგრამ მისი **ნამდვილობა** კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. სასამართლომ 45-ე მუხლის პირველი აბზაცის ა) და ბ) პუნქტები რელურად, არსებული რედაქციით **არ უნდა გამოიყენოს**. გამონაკლისის ნესით, საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ამ პუნქტებით აღწერილი შემადგენლობების არსებობისას, უნდა გამოვიყენოთ 45-ე მუხლის პირველი აბზაცის გ) პუნქტი, რომელიც გულისხმობს იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას **„რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული.“**

საჭიროდ ვთვლით, რომ **დროებით გავაფართოვოთ** საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე მუხლის პირველი აბზაცის გ) პუნქტში მოცემული ცნების, **მჭიდრო კავშირის** შინაარსი. გარდა იმისა, რაც შეიძლება მოვიაზროთ ამ ცნებაში, მასში დამატებით უნდა ვიგულისხმოთ **მეუღლეების ერთიანი მოქალაქეობა და მათი ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.**

45-ე მუხლის პირველი აბზაცის გ) პუნქტის გაფართოებული განმარტების ფარგლებში უცვლელი უნდა დარჩეს კეგელის საფეხუროვა-

ნი კასკადის თანმიმდევრობა: იმ ქვეყნის სამართლის გამოყენება, რომელსაც მეუღლეები ერთობლივად განეკუთვნებიან (განეკუთვნებოდნენ); იმ ქვეყნის სამართლის გამოყენება, სადაც არის (იყო) მეუღლეების ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, დაბოლოს, მჭიდრო კავშირის შესაძლო შემთხვევები.

არსებობს კიდევ ერთი, სხვა გზა, რომელიც შეიძლება საკითხის გადაწყვეტაში მოგვეხმაროს. აღნიშნული მუხლის განმარტების კლასიკური მეთოდების გვერდის ავლით, შეიძლება

მეცნიერული განმარტების მეთოდის გამოყენება. ამ მეთოდით სასამართლო უნდა დაეყრდნოს გერჰარდ კეგელისა და სხვა მეცნიერების შრომებს.

მოცემული კანონის ხარვეზის მსგავსი სახით დაძლევა დროებითი ღონისძიება უნდა იყოს. მართებულად მიგვაჩნია, რომ ქართულმა საერთაშორისო კერძო სამართალმა კანონის დონეზე შეინარჩუნოს კეგელის საფეხუროვანი კასკადის პრინციპი. ამასთან, აუცილებელია დროული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ამ პრინციპს სრულფასოვნად ჩამოაყალიბებს.

ელექტროენერჯით ვაჭრობა ორგანიზებულ ბაზარზე საქართველოში (შედარება ევროპულ გამოცდილებასთან)

აკაკი განერელია LL.M.
თამარ ბარსონიძე

I. ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის ზოგადი მიმოხილვა

2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომ – კანონი), რომლითაც ჩანაცვლდა 22 წლის წინ მიღებული „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონმა თვისებრივად შეცვალა საქართველოს ენერჯეტიკის, განსაკუთრებით – ელექტროენერჯეტიკის სექტორში წლების განმავლობაში მოქმედი სტრუქტურა. კანონით მნიშვნელოვნად იქნა გაზიარებული ევროპული გამოცდილება, რომელიც, თავის მხრივ, ყველაზე მკაფიოდ ევროკავშირის მესამე ენერჯეტიკულ პაკეტში¹ აისახა.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში ელექტროენერჯით ვაჭრობა პირველმა 1993 წელს ნორვეგიის ბირჟამ (Nordic Exchange) – Nord Pool-მა (NASDAQ OMX Commodities, Nord Pool Spot)² განახორციელა, რის შემდეგაც ამ პროდუქტით

ვაჭრობა ევროპის მასშტაბით მეტად პოპულარული გახდა.

კანონის უმნიშვნელოვანესი სიახლეა საბითუმო ბაზრის ერთ-ერთი კომპონენტის – ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული დებულებები. ამასთანავე, კანონის თანახმად, საბითუმო ბაზრის სეგმენტები და ელექტროენერჯის ბაზრის მოდელთან დაკავშირებული სხვა ზოგადი საკითხები, მათ შორის, ძირითადი საჯარო მომსახურებების ორგანიზების წესი, „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციით“ (შემდგომ – კონცეფცია)³ წესრიგდება.

საკუთრივ საბითუმო ბაზარი მოიცავს დღით ადრე, დღიურ, ორმხრივი ხელშეკრულებების, საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრებს. ამასთანავე, კანონის მიხედვით, დღით ადრე, დღიური და საბალანსო ბაზრები, იმავდროულად, ორგანიზებული ბაზრებია.⁴ რაც შეეხება ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზარს, საქართველოში ის ორგანიზებული ბაზრის სეგმენტი არ არის.⁵

კანონი ორგანიზებული ბაზრის დეფინიციას არ ითვალისწინებს, თუმცა ნორმათა სისტემური ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ, ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრისგან გა-

¹ მესამე ენერჯეტიკული პაკეტი 2009 წელს შევიდა ძალაში (ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროპის კომისიის ვებგვერდზე –

https://ec.europa.eu/energy/topics/markets-and-consumers/market-legislation/third-energy-package_en)

[ნანახია 15.07.2020]. ის, *inter alia*, მოიცავს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის №2009/72/EC დირექტივას „ელექტროენერჯის შიდა ბაზრების საერთო წესებისა და №2003/54/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32009L0072&from=EN> [ნანახია 15.07.2020]).

² Zenke/Dessau, Danner/Theobald, Werkstand: 99. EL September, 2018, Rn. 79.

³ „ელექტროენერჯის ბაზრის მოდელის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილება (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე

<https://matsne.gov.ge/document/view/4852064?publication=0>) [ნანახია 23.08.2020].

⁴ კანონის მე-3 მუხლის „უ.ა“ და „ჰ²²“ ქვეპუნქტები.

⁵ კანონის მე-3 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერჯის ბაზრის განმარტება მოიცავს ორგანიზებული ბაზრების ჩამონათვალსაც.

ნსხვაგვებით, ორგანიზებული ბაზრის სეგმენტს ჰყავს ცენტრალიზებული მმართველი – ბაზრის ოპერატორი, რომლის საქმიანობასაც დეტალურად აწესრიგებს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული, შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობა წესრიგდება „ელექტროენერჯის ბაზრის წესებით“ (შემდგომ – „ბაზრის წესები“), რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომში – სემეკი)⁶ შესაბამისი ბაზრის ოპერატორის წარდგინებით. „ბაზრის წესები“ მოიცავს როგორც ელექტროენერჯის დღით ადრე და დღიური ბაზრის წესებს (დანართი №1), ისე ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს (დანართი №2). შესაბამისად, დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების პროექტს ამზადებს და წარადგენს ბირჟის ოპერატორი, ხოლო საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების პროექტს – საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორი.

„ბაზრის წესების“ ძირითადი ნაწილი ეთმობა ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობას. ორგანიზებული ბაზრის დეტალურ მონესრიგებას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ, კანონის თანახმად, ბაზრის ორგანიზება (ოპერირება) არის მონოპოლიური საქმიანობა და ბაზრის ოპერატორს არ შეიძლება ჰქონდეს მოქმედების შეუზღუდავი თავისუფლება. შესაბამისად, „ბაზრის წესებით“ დეტალურად არის განსაზღვრული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი (ორგანიზებულ ბაზარზე დაშვება, მონაწილის მიერ განაცხადის განთავსება, ფასწარმოქმნა, ფინანსური ანგარიშსწორება, უბალანსობის მოცულობისა და ფასის გაანგარიშება და სხვა).

უშუალოდ ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის დეტალების აღწერამდე უნდა აღინიშნოს ზოგადად საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი:

- **ელექტროენერჯით საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის უფლება** აქვთ მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ პირებს. მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია კონცეფციაში. ესენი არიან: ელექტროენერჯის მწარმოებელი, ტრეიდერი, მიმწოდებელი, მსხვილი მომხმარებელი (რომლის კრიტერიუმებს განსაზღვრავს სემეკი) და სისტემის ოპერატორი. ყველა პირს, რომლებსაც აქვთ საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის უფლება, შეუძლია „ბაზრის წესებით“ განსაზღვრული რეგისტრაციის პროცედურის გავლის შემდეგ ორგანიზებულ ბაზარზეც ივაჭროს.

- საბითუმო ბაზრის მონაწილემ **ორგანიზებულ ბაზარზე ან ორმხრივი ხელშეკრულებით უნდა** გაყიდოს/იყიდოს იმ რაოდენობის ელექტროენერჯია, რომლის სისტემაში მიწოდებასაც/სისტემიდან მიღებასაც აპირებს. **გაყიდული/შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობიდან გადახრა არის უბალანსობა.** უბალანსობისთვის მონაწილეს შეიძლება დაეკისროს უბალანსობის საფასური, თუ უბალანსობით გაუარესდა (გაიზარდა) სისტემის ჯამური უბალანსობა. ამავდროულად, მონაწილემ შეიძლება მიიღოს შემოსავალიც, თუ უბალანსობით გაუმჯობესდა (შემცირდა) სისტემის ჯამური უბალანსობა.

- კონცეფციის თანახმად, საბითუმო ბაზრის ზოგიერთ მონაწილეს, რომლებსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაეკისრათ **საჯარო მომსახურების განევის ვალდებულება**, მხოლოდ ორგანიზებულ ბაზარზე შეუძლია ვაჭრობა.

- საბითუმო ბაზრის ყველა მონაწილე ვალდებულია თავისი წარმოების, მოხმარების, იმპორტისა თუ ექსპორტის საშუალებები შესაბამისი აღრიცხვის კვანძების მეშვეობით, **დაბალანსების ჯგუფში განევრებით** დაარეგისტრიროს საბალანსო ბაზრის ოპერატორთან. თითოეულ ჯგუფს ინდივიდუალურად ან სხვა ჯგუფებთან ერთად ჰყავს **დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი.** დაბალანსების უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფორმაციის საბალანსო ბაზრის ოპერატორისთვის მიწოდება მონაწილეთა პასუხისმგებლობაა. აღნიშნული პროცედურა დეტალურად არის აღწერილი „ბა-

⁶ „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილება (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://matsne.gov.ge/document/view/4966631?publication=0>) [ნანახია 23.08.2020].

ზრის წესების“ №2 დანართში (ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის წესები). მისი უპირობო დაცვა ბირჟაზე ვაჭრობის წინაპირობაა.

- მიუხედავად იმისა, მონაწილე თავად არის დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი თუ ამ ფუნქციას შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე სხვა პირი ასრულებს, მონაწილეს უფლება აქვს, **დამოუკიდებლად ივაჭროს საბითუმო ბაზარზე**. სასურველია, **მონაწილე და დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი** წინასწარ, მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ იმაზე, თუ რომელი მათგანი ივაჭრებს მონაწილის შესაბამისი ელექტრომომწყობილობის მიერ წარმოებული/მომხმარებელი ელექტროენერჯით, რათა დაბალანსების ჯგუფის ნომინაცია მაქსიმალურად იყოს დაახლოებული რეალურ გეგმასთან და უბალანსობის რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

- **ბირჟაზე ვაჭრობის შედეგებს (ნომინაციებს) თავად ბირჟის ოპერატორი უგზავნის საბალანსო და დამხმარე მომსახურების ბაზრის ოპერატორს.** თუ ბირჟის ოპერატორისა და მონაწილის მიერ წარდგენილ ნომინაციებს შორის წინააღმდეგობაა, უპირატესობა ენიჭება ბირჟაზე ვაჭრობის შედეგებს (ე. ი. ბირჟის ოპერატორის მიერ წარდგენილ მონაცემებს). ამის მიზეზი კი ის არის, რომ უბალანსობის ხარჯის ანაზღაურების თავიდან აცილების გზა არ შეიძლება იყოს ნომინაციის კორექტირებით ორგანიზებულ ბაზარზე ვაჭრობის შედეგების უარყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილეებს არ ექნებათ ინტერესი, ივაჭრონ სწორედ იმ რაოდენობის ელექტროენერჯით, რომლის სისტემაში მიწოდებასაც/სისტემიდან მიღებასაც გეგმავენ. შესაბამისად, ბირჟაც ველარ გამოხატავს ელექტროენერჯიაზე არსებულ რეალურ მოთხოვნასა და მიწოდებას. რაც შეეხება ორმხრივ ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში მხარე თავად იღებს მეორე მხარის მიერ სწორი ნომინაციის წარდგენის რისკს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორი თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს სექტორის მომწესრიგებელი კანონმდებლობის სიღრმისეულ ანალიზს და შესაბამის ნორმათა პრაქტიკაში

გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევას საჭიროებს. სწორედ ამისთვის ნაშრომი ორიენტირებულია იმ პროცესზე, რომელიც წარმართება საქართველოს ელექტროენერჯის ორგანიზებულ ბაზარზე (წინასწარ დაგეგმილი წარმოება/იმპორტი და მოხმარება/ექსპორტი). მასში ხაზგასმით არის აღნიშნული აგრეთვე დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე ვაჭრობის მნიშვნელობა. ნაშრომი არ შეიცავს საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის შესახებ ინფორმაციას, რადგან მისი ძირითადი დანიშნულებაა ელექტროენერჯეტიკული სისტემის დაბალანსება. აღნიშნული საკითხი კი უფრო ფართო და კომპლექსურია, ვიდრე, ზოგადად, ელექტროენერჯით ვაჭრობა.

II. ელექტროენერჯით ვაჭრობა ბირჟაზე: დღით ადრე და დღიური ბაზრები

ევროპის ელექტროენერჯის ბირჟა ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს მოიცავს. საყურადღებოა ე. წ. „Spot Market“ (დღით ადრე ბაზარი), რომელზეც მიმდინარეობს ყოველდღიური ვაჭრობა 24 საათით ადრე რეჟიმით, თუ ელექტროენერჯის მიწოდება მომდევნო დღისთვის უნდა განხორციელდეს.⁷ აღნიშნული სეგმენტი მონაწილეებს საშუალებას აძლევს, დროის მოკლე მონაკვეთებში, ბაზრის ფასების შესაბამისად მოახდინონ თავიანთი პორტფელის ოპტიმიზაცია, რაც დღის განმავლობაში მოკლევადიანი ფასების განსხვავებებით სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა.⁸ დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობისა და ე. წ. „კლირინგის“ პროცესები ანონიმურია. არცერთ ეტაპზე ბაზრის მონაწილეებმა არ იციან, თუ ყიდვის ან გაყიდვის რომელ დავალებას გასცემენ/წარადგენენ ბირჟის ცალკეული მონაწილეები.⁹ ამ მხრივ სამაგალითოა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დღით ადრე ბაზარზე ელექტროენერჯით ვაჭრობის დინამიკა, რადგან, 2005 წლიდან მოყოლებული, სწორედ აღნიშნულ სეგმენტში შეინი-

⁷ Zenke/Dessau, Danner/Theobald, Werkstand: 99. EL September, 2018, Rn. 80.

⁸ იქვე, Rn. 81.

⁹ იქვე, Rn. 83.

შნება ელექტროენერგიით ვაჭრობის საგრძნობი ყოველწლიური ზრდა.¹⁰

საქართველოში როგორც დღით ადრე ბაზარზე, ისე დღიურ ბაზარზე საათობრივი ვაჭრობა მიმდინარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილე ბირჟაზე განაცხადის წარდგენისას უთითებს, თითოეულ საათში რა რაოდენობის ელექტროენერგიის რა ფასად ყიდვა/გაყიდვა სურს. განაცხადის წარდგენა და ვაჭრობის შედეგების გაანგარიშება ხდება ბირჟის ოპერატორის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. საქართველოს ბირჟის ოპერატორი იყენებს Nord Pool-ის ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც უკვე 25 წელზე მეტია არსებობს და 21 ევროპულ ბაზარს ემსახურება.¹¹

ორივე ბაზარზე ყიდვის განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს მასში მითითებული ან უფრო დაბალი ფასით, ხოლო გაყიდვის განაცხადი – მასში მითითებული ან უფრო მაღალი ფასით.

1. ვაჭრობის მექანიზმი

დღით ადრე ბაზარზე ტარდება აუქციონი, რომელშიც მონაწილეობს განაცხადის წარმდგენი ყველა მონაწილე. აუქციონი ელექტროენერგიის ფიზიკური მიწოდების წინა კალენდარულ დღეს ტარდება და ვაჭრობის შედეგები აუქციონის ყველა მონაწილისთვის ერთსა და იმავე დროს ხდება ცნობილი.¹²

დღიურ ბაზარზე აუქციონი არ ტარდება და მოქმედებს ე. წ. „first come, first served“ პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ მონაწილის მიერ განაცხადის განთავსებისას პლატფორმაზე უკვე არსებობს მისი შესატყვისი განაცხადი, ისინი დაუყოვნებლივ წყვილდება (პლატფორმა აღარ ელოდება სხვა შესატყვისი განაცხადების განთავსებას).¹³

2. ელექტროენერგიის ფასი

ევროპაში საბაზისო ფასისადმი ბაზრის ნდობა მაშინ იზრდება, როდესაც ის მანიპულირებისგან თავისუფალია.¹⁴ შესაბამისად, რაც უფრო მაღალია ლიკვიდურობა, მით უფრო მეტად ენდობიან მას ბაზრის მონაწილეები.¹⁵

საქართველოში დღით ადრე ბაზარზე საბაზრო ფასი საბაზრო წონასწორობის წერტილით განისაზღვრება და აუქციონის ყველა მონაწილისთვის საერთოა.

დღიურ ბაზარზე საბაზრო ფასი არ დგინდება და მოქმედებს განაცხადის ფასის პრინციპი, კერძოდ, ელექტროენერგიის ფასს განსაზღვრავს დაწყვილებული განაცხადებიდან სისტემაში უფრო ადრე განთავსებული განაცხადის ფასი.

3. ფასწარმოქმნა

დღით ადრე ბაზარზე ყველა მონაწილის თითოეული განაცხადი (ე. ი. წინადადება, რომელიც ყოველი საათისთვის რამდენიმეა) განთავსდება კოორდინატთა სიბრტყეზე, რომლის X ღერძი აღნიშნავს ელექტროენერგიის რაოდენობას, ხოლო Y ღერძი – მის ფასს. თითოეული მონაწილის განაცხადების ერთმანეთთან დაკავშირებით აიგება ინდივიდუალური მრუდები, მათი გაერთიანებით კი – მთლიანი ბაზრის ორი მრუდი – მიწოდებისა და მოთხოვნის. მათი გადაკვეთის წერტილი (წონასწორობის წერტილი) განსაზღვრავს საბაზრო წონასწორობას, რომელიც მოიცავს დღით ადრე ბაზარზე გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობასა და ფასს.¹⁶ წონასწორობის წერტილის დადგენისთვის ბირჟის ოპერატორი იყენებს ევროპული ბაზრების ინტეგრირების ალგორითმს – EUPHEMIA-ს.¹⁷

¹⁰ Zenke/Schäfer, Energiehandel in Europa, 3. Auflage, 2012, Rn. 23.

¹¹ Nord Pool, „ისტორია“ (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://www.nordpoolgroup.com/About-us/History/>) [ნანახია 10.08.2020].

¹² „ბაზრის წესები“, მუხლი 29, პუნქტი 1.

¹³ „ბაზრის წესები“, მუხლი 37, პუნქტი 2.

¹⁴ Zenke/Dessau, Danner/Theobald, Werkstand: 99. EL September, 2018, Rn. 83.

¹⁵ იქვე

¹⁶ „ბაზრის წესები“, მუხლი 28, პუნქტი 2.

¹⁷ „EUPHEMIA-ს საჯარო აღწერილობა“ (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://www.nordpoolgroup.com/globalassets/download-center/single-day-ahead-coupling/euphemia-public-description.pdf>) [ნანახია 10.08.2020].

თუ დღიურ ბაზარზე მონაწილის მიერ განაცხადის განთავსებისას პლატფორმაზე უკვე არსებობს მისი შესატყვისი ერთი ან რამდენიმე განაცხადი, მისი განაცხადი დაწყვილდება საუკეთესო ფასის განაცხადთან: ყიდვის განაცხადის შემთხვევაში – გაყიდვის ყველაზე დაბალი ფასის განაცხადთან, ხოლო გაყიდვის განაცხადის შემთხვევაში – ყიდვის ყველაზე მაღალი ფასის განაცხადთან. ელექტროენერჯის ფასს განსაზღვრავს სწორედ ამ საუკეთესო ფასის განაცხადის, ე. ი. იმ განაცხადის ფასი, რომელიც უკვე იყო განთავსებული პლატფორმაზე.¹⁸ თუ პლატფორმაზე არსებობს საუკეთესო ფასის რამდენიმე განაცხადი, უპირატესობა მიენიჭება უფრო ადრე განთავსებულ განაცხადს.¹⁹

4. სხვა განსხვავებები

დღით ადრე ბაზარზე აღნიშნულ ეტაპზე დაშვებულია მხოლოდ სტანდარტული საათობრივი განაცხადის განთავსება, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილე თანახმაა ამ განაცხადში მოცემული ელექტროენერჯის რაოდენობის როგორც სრულ, ისე ნაწილობრივ ყიდვაზე/გაყიდვაზე.²⁰ დღიურ ბაზარზე შესაძლებელია სხვადასხვა სახის განაცხადების განთავსება.²¹

დღით ადრე ბაზარზე შეიძლება დადგეს მონაწილეთა განაცხადებში მითითებული ელექ-

ტროენერჯის რაოდენობების შემცირების საკითხი. კერძოდ, როცა მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდები ერთმანეთს არ კვეთს მიწოდების დეფიციტის ან სიჭარბის გამო, ბირჟის ოპერატორი პროპორციულად შეამცირებს შესაბამის განაცხადებში მითითებულ რაოდენობებს, ვიდრე მრუდები არ გადაიკვეთება.^{22,23}

ასეთი პრობლემა არ დგას დღიურ ბაზარზე, რადგან აქ მიწოდებისა და მოთხოვნის საერთო მრუდები არ აიგება. ერთი და იმავე ფასის რამდენიმე განაცხადის არსებობისას კი უპირატესია სისტემაში უფრო ადრე განთავსებული განაცხადი. შესაბამისად, ბირჟის ოპერატორს არ მოუწევს ერთნაირი მოთხოვნების პროპორციული შემცირება. ის, პირველ რიგში, დააკმაყოფილებს სისტემაში უფრო ადრე განთავსებულ განაცხადს. როგორც ზემოთ აღინიშნა, დროის პრინციპი მხოლოდ დღიურ ბაზარზე მოქმედებს, რაც ამ შემთხვევაზეც აისახება.

5. ფინანსური ანგარიშსწორება

ბირჟაზე ფინანსური ანგარიშსწორების ძირითადი პრინციპია საიმედოობა.²⁴ ბირჟის ოპერატორი არის ცენტრალური ფინანსური მხარე, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილე ბირჟის ოპერატორზე ყიდის ან მისგან ყიდულობს ელექტროენერჯიას. შესაბამისად, ბირჟის ოპერატორი ვალდებულია იმ მონაწილეებს, რომლებმაც ბირჟაზე გაყიდეს ელექტროენერჯია, გადაუხადოს მისი საფასური, იმის მიუხედავად, მიიღებს თუ არა ის შემოსავალს ელექტროენერჯის შემსყიდველი მონაწილეებისგან. ამ მიზნით ბირჟის ოპერატორი „ბაზრის წესებით“ განსაზღვრული პროცედურის²⁵ დაცვით ითხოვს გარანტიას ელექტროენერჯის შემსყიდვე-

¹⁸ სანინალმდეგო შემთხვევის მაგალითი: როცა მონაწილის განაცხადის შესატყვისი განაცხადი ჯერ არ არსებობს, მისი განაცხადი პლატფორმაზე დარჩება (თუ განაცხადის ტიპი იძლევა ამის შესაძლებლობას). თუ განთავსდება მონაწილის განაცხადის შესატყვისი განაცხადი, რომლისთვისაც მისი განაცხადი დააკმაყოფილებს საუკეთესო ფასის კრიტერიუმს, ისინი დაწყვილდება და ელექტროენერჯის ფასს უკვე მონაწილის განაცხადი განსაზღვრავს.

¹⁹ „ბაზრის წესები“, მუხლი 37, პუნქტები 3 და 4.

²⁰ „ბაზრის წესები“, მუხლი 26, პუნქტი 1.

²¹ „ბაზრის წესების“ 36-ე მუხლში ჩამოთვლილი და განმარტებულია დღიური ბაზრის განაცხადის ტიპები: სტანდარტული საათობრივი (ლიმიტირებული) განაცხადი, ბლოკური განაცხადი, აისბერგგანაცხადი და შეზღუდული აღსრულების განაცხადი. თითოეულ მათგანს სხვადასხვა დანიშნულება აქვს. მონაწილე თავისი კომერციული სტრატეგიის შესაბამისად განსაზღვრავს, კონკრეტულ შემთხვევაში რომელი განაცხადია მისთვის ხელსაყრელი.

²² „ბაზრის წესები“, მუხლი 28, პუნქტი 5.

²³ მიწოდების დეფიციტის ან სიჭარბის გამო განაცხადებში მითითებული ელექტროენერჯის რაოდენობების პროპორციული შემცირების მაგალითები განხილულია Nord Pool-ის მიერ (ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://www.nordpoolgroup.com/trading/Day-ahead-trading/Curtailment-price-thresholds-and-decoupling/>) [ნახტია 10.07.2020].

²⁴ „ბაზრის წესები“, მუხლი 8.

²⁵ „ბაზრის წესები“, მუხლი 43.

ლი მონაწილეებისგან. გარანტიის გაანგარიშების წესი მოგვიანებით იქნება განხილული.

ბირჟაზე ფინანსური ანგარიშსწორების პროცესი მოიცავს შემდეგ მოქმედებებს:²⁶

▪ ბირჟაზე აღებული **ვალდებულებების უზრუნველყოფა** – ბირჟის ოპერატორი ვაჭრობის შედეგების შესაბამისად ითვლის მონაწილის მიერ წარსადგენი გარანტიის ოდენობას და მას ყოველ სამუშაო დღეს პლატფორმის მეშვეობით უგზავნის გარანტიის მოთხოვნას;

▪ მონაწილეთა მიერ გადასახდელი და მისაღები **თანხების გაანგარიშება** (ფიზიკური კლირინგი) – ბირჟის ოპერატორი მონაწილეთა მიერ შესყიდული/გაყიდული ელექტროენერჯის რაოდენობისა და ფასის შესაბამისად ითვლის მათ მიერ გადასახდელ და მისაღებ თანხებს;

▪ მონაწილეთა საკლირინგო ანგარიშების განახლება და **ინვოისების გაგზავნა** (ფინანსური კლირინგი) – ბირჟის ოპერატორი ინვოისში ასახავს ფინანსური ვალდებულებების გაქვითვის შედეგად მიღებულ რაოდენობას და მონაწილის მიერ საბოლოოდ გადასახდელ თანხას. დეტალური მონაცემები მონაწილისთვის ხელმისაწვდომია პლატფორმაზე, მის საკლირინგო ანგარიშზე. ინვოისი დღით ადრე ბაზარზე იგზავნება ვაჭრობის დღესვე, ხოლო დღიურ ბაზარზე – ვაჭრობის მომდევნო დღეს;

▪ ბირჟაზე ნავაჭრი ელექტროენერჯის საფასურის ასანაზღაურებლად **თანხის გადარიცხვა** – მონაწილეებს ამისთვის აქვთ დრო ინვოისის მიღების მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე, ხოლო ბირჟის ოპერატორს აქვს ინვოისის გაგზავნიდან ორი სამუშაო დღე.

ბირჟაზე არსებობს ორი სახის გარანტია: საბაზისო და განსაკუთრებული.

საბაზისო გარანტია გამოიყენება იმ მონაწილის მიმართ, რომელმაც ბაზარზე იმაზე მეტი ელექტროენერჯია შეისყიდა, ვიდრე გაყიდა. საბაზისო გარანტია განისაზღვრება მონაწილის პოზიციის, რისკის პარამეტრისა და დღის ფაქტორის ნამრავლით. ის გამოითვლება შემდეგი ფორმულის²⁷ მიხედვით:

$$Bcoll_{t,i} = \overbrace{MAX(TQ_{(t-1),i}, \dots, TQ_{(t-30),i})}^{\text{მონაწილის პოზიცია}} \times \overbrace{MAX(HP_{(t-1)}, \dots, HP_{(t-365)})}^{\text{რისკის პარამეტრი}} \times \overbrace{(2 + nbD_{(t),(t+1)})}^{\text{დღის ფაქტორი}}$$

კერძოდ:

▪ **მონაწილის პოზიცია** განისაზღვრება ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში შესყიდული ელექტროენერჯის რაოდენობით (თუ მონაწილემ ამ პერიოდში ელექტროენერჯია გაყიდა კიდევ, მონაწილის პოზიციას გამოაკლდება მის მიერ გაყიდული ელექტროენერჯის მაქსიმალური რაოდენობა);

▪ **რისკის პარამეტრი** განისაზღვრება დროის გარკვეულ პერიოდში (ამ შემთხვევაში – ერთი წლის განმავლობაში) დღით ადრე ან დღიურ ბაზარზე დაფიქსირებული მაქსიმალური ფასით;

▪ **დღის ფაქტორი** განისაზღვრება ვაჭრობის ორი სამუშაო დღისა და მათ შორის არასამუშაო დღეების რაოდენობის ჯამით.²⁸

განსაკუთრებული გარანტია გამოიყენება გამონაკლის შემთხვევაში, როცა გადაუხდელობის რისკი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. მისი გაანგარიშების უნივერსალური ფორმულა კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში ბირჟის ოპერატორი ვალდებულია მონაწილეს გაუგზავნოს განსაკუთრებული გარანტიის მოთხოვნის მიზეზისა და გაანგარიშების წესის დასაბუთება.²⁹

²⁸ საბანკო გარანტიის გაანგარიშების მაგალითები: ვაჭრობის დღეა 16 ივლისი (ხუთშაბათი). ბოლო 30 კალენდარული დღეში (16 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით) მონაწილეს ბირჟაზე შესყიდული ჰქონდა 50 მგვტ.სთ ელექტროენერჯია, ხოლო გაყიდული – 30 მგვტ.სთ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ბირჟაზე დაფიქსირებული მაქსიმალური ფასი იყო 150 ლარი/მგვტ.სთ. **საბანკო გარანტია = (50-30)*150*2=6,000.**

ვაჭრობის დღეა 17 ივლისი (პარასკევი). დანარჩენი მონაცემები იგივეა. **საბანკო გარანტია = (50-30)*150*4=12,000.**

²⁹ „ბაზრის წესები“, მუხლი 51.

²⁶ „ბაზრის წესები“, მუხლი 50.

²⁷ „ბაზრის წესები“, მუხლი 49.

6. ამოქმედების ვადები

კონცეფციის მიხედვით, დღით ადრე ბაზარი 2020 წლის 1 ივლისიდან უკვე მუშაობს სატესტო რეჟიმში, ხოლო რეალურ დროში მომავალი წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება.³⁰

ასევე გათვალისწინებულია დღიური ბაზრის 2022 წლის 1 ივლისიდან ამოქმედება. მასაც წინ გაუსწრებს ერთწლიანი სატესტო პერიოდი.³¹

III. დასკვნა

ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, საქართველოში ასამოქმედებელი ელექტროენერჯის ორგანიზებული ბაზარი უპირობოდ წარმოშობს ახალ შესაძლებლობებს. ამავდროულად, ის მოვლენათა საინტერესოდ განვითარებას გვპირდება. ელექტროენერჯის ფასის ფორმირების სამართლიანი მეთოდი, ბაზარზე შემოთავაზებული პროდუქტების მრავალფეროვნება და ანგარიშსწორების საიმედო

მექანიზმები საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში ინვესტიციების განმახორციელებელთათვის მიმზიდველი იქნება.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ელექტროენერჯის ბაზრის განვითარება ევროპასთან დაახლოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რადგან ელექტროენერჯით ვაჭრობის ევროპული მოდელის ანალოგის ამოქმედება ხელს შეუწყობს ევროპის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობის ინიცირებასა და ევროპულ ბაზრებზე ვაჭრობის შესაძლებლობის რეალიზებას.

სატესტო რეჟიმის დასრულებისა და დღით ადრე ბაზრის ამოქმედების შემდეგ აუცილებელი გახდება ელექტროენერჯით ვაჭრობასთან დაკავშირებული კომერციულ-სამართლებრივი პრობლემების სწრაფად გადაჭრა. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროპის ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკა, საქართველოში არსებულ ფაქტობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.

³⁰ კონცეფცია, მუხლი 16, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა.ა“; პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა.ა“.

³¹ კონცეფცია, მუხლი 16, პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ა“; პუნქტი 4.

ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე)

ასოც. პროფ. დოქ. როინ მიგრიაული
ადვოკატი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

1. შესავლის მაგიერ

სამართლებრივი¹ ურთიერთობა ხასიათდება მისი მონაწილეების უფლებებისა და მოვალეობების შეპირისპირებით. უფლება-მოვალეობათა ამ წიდილში იკვეთება როგორც სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის მიერ უფლების „საკუთრივ სასარგებლოდ“ (eigennützig) განხორციელება, ისე „სხვათა სასარგებლოდ“ (fremdnützig) გარკვეული მოვალეობის საკუთარ თავზე აღება.²

პირთა გაერთიანება (საზოგადოება) ვალდებულებით-სამართლებრივი კატეგორიაა, რომელიც, ასევე, სავსეა სამართლებრივი ურთიერთობებით. საზოგადოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოიშობა ძირითადად საზოგადოების პარტნიორსა³ და საზოგადოებას შორის, ასევე, საზოგადოებასა და მის ხელმძღვანელობას შორის. საზოგადოებრივ-სამართლებრივ ურთიერთობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, აგრეთვე, ურთიერთობები თავად საზოგადოების პარტნიორებს (თანაპარტნიორებს) შორის, ანუ პარტნიორებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობა, რომელიც საზო-

გადოების ხელშეკრულებას⁴ ეფუძნება. საზოგადოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობათა მონაწილეების ცენტრალური მოვალეობაა თითოეული მონაწილე სუბიექტის უფლებების დაცვა,⁵ კერძოდ კი, პარტნიორის უფლებებისა და საზოგადოების მიმართ და ერთი პარტნიორის უფლებებისა - მეორე პარტნიორის (სხვა პარტნიორების) მიმართ. მენარმეთა კანონი პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) მოსაწესრიგებელ ერთ-ერთ საკითხად მიიჩნევს სწორედ „პარტნიორთა ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების“ მოწესრიგებას (მენკა, მუხლი 3, პუნქტი 4¹, წინადად. 1).

ამდენად, საზოგადოების პარტნიორი, უფლებების გარდა, სხვადასხვა მოვალეობითაა შებოჭილი. საზოგადოების სხვადასხვა სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, პარტნიორებს განსხვავებული მოვალეობები აკისრიათ. ეს მოვალეობები, ძირითადად, საზოგადოების მიმართ ვლინდება. მაგალითად, კაპიტალურ საზოგადოებებში პარტნიორის ერთ-ერთი გამოკვეთილი მოვალეობაა სანესდებო (საზოგადოების) კაპიტალში შენატანის ან დამატებითი შენატანის შეტანა, ხოლო პიროვნულ საზოგადოებაში პარტნიორს საზოგადოების ხელმძღვანელობის მოვალეობა აკისრია.

¹ წინამდებარე სტატიის მასალების შეგროვებასა და ანალიზში დიდი წვლილი მიუძღვის საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ ადვოკატს, სამართლის მაგისტრს ქ-ნ ნანა პერტაიას.

² შდრ. კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გამომუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, გვ. 126, ვნ. 8.

³ „საზოგადოების პარტნიორად“ მოიაზრება, როგორც სამენარმეო საზოგადოების პარტნიორი, ისე არასამენარმეო იურიდიული პირის წევრი, პიროვნული საზოგადოების, მათ შორის, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობის მონაწილე (წევრი).

⁴ „საზოგადოების ხელშეკრულებაში“ მოიაზრება არა მხოლოდ პარტნიორთა შეთანხმებები, მათ შორის წესდებები (მაგალითად, სამენარმეო საზოგადოებებში), არამედ პარტნიორთა სადამფუძნებლო შეთანხმებები (მაგალითად, ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულება).

⁵ შდრ. ირაკლი ბურდული, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მაგალითზე, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012წ. #4 (35), გვ. 50

პარტნიორის ამ მოვალეობათა სპექტრიდან უნდა გამოვყოთ **ერთგულების მოვალეობა**, როგორც საზოგადოების პარტნიორის განსაკუთრებული მოვალეობა. ერთგულების მოვალეობა გამოიხატება არა მხოლოდ საზოგადოების სასარგებლო ქმედებების განხორციელებაში, არამედ იგი თანაპარტნიორების მიმართაც ვრცელდება. ამ დროს პარტნიორის „საკუთრივ სასარგებლოდ“ (*eigennützig*) განხორციელებულ უფლებას ადგილს უთმობს, ერთი მხრივ, საზოგადოების მიზნის ხელშეწყობისაკენ, მისთვის საზიანო ქმედებების არიდებისაკენ და, მეორე მხრივ, თანაპარტნიორთა უფლებების პატივისცემისაკენ მიმართული ქმედებები. ამდენად, ერთგულების მოვალეობა ვრცელდება, აგრეთვე, აქციონერის/პარტნიორის მიმართაც.

ერთგულების მოვალეობა აშშ-ს სამართალში აღმოცენდა.⁶ იგი ცნობილია როგორც **duty of loyalty**. გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში იგი **Treupflicht**-ის სახელწოდებითაა ცნობილი. თუმცა ერთგულების მოვალეობის ლეგალურ დეფინიციას გერმანული სამართალი არ იძლევა. გერმანულ მეცნიერთა ნაწილი მას, ე.წ. „დაუნერეულ კომპეტენციათა“ კატეგორიას მიაკუთვნებს, მეორენი ცალკე ვალდებულებად განიხილავენ, ხოლო სხვანი კი გულმოდგინების ან/და დუმილის მოვალეობის ნაწილად აღიქვამენ.⁷

ერთგულების მოვალეობამ გერმანიაში თავდაპირველად განვითარება საზოგადოებათა სამართალში, ძირითადად კი, პიროვნულ საზოგადოებათა სამართალში ჰპოვა.⁸ ფაქტია, რომ იგი სამართლებრივი პრინციპის დონეზე მაინც

მოქმედებს და ცალკეული საზოგადოების კორპორაციული მართვის საკითხებზე არსებით გავლენას ახდენს.⁹

პიროვნულ საზოგადოებაში აღნიშნული ინსტიტუტის განვითარებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ აღნიშნულ საზოგადოებებში უფრო ვიწროდ არის წარმოდგენილი პარტნიორთა პიროვნული ერთიანობა.¹⁰ გარდა ამისა, პიროვნულ საზოგადოებებში, სადაც ორგანიზაციული სტრუქტურა პერსონალურ ხასიათს ატარებს, ერთგულების მოვალეობა გაცილებით უფრო ინტენსიურ სახეს იღებს, ვიდრე ეს დიდ კაპიტალურ საზოგადოებებშია, სადაც აქციონერთა წრე რამდენიმე ასეულ პარტნიორს აღემატება.¹¹

ქართულ სამართალშიც პარტნიორთა პიროვნული ურთიერთობა უფრო მეტად არის გამოხატული პიროვნული ტიპის ისეთ საზოგადოებებში, როგორებიცაა: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა (ესა). შესაბამისად, პიროვნულ საზოგადოებებში ცალკეული პარტნიორის ზეგავლენა უფრო დიდია არა მხოლოდ თავად საზოგადოებაში, არამედ სხვა დანარჩენი პარტნიორების მიმართ, რაც უფრო მეტად ამაღლებს მისი ერთგულების მოვალეობის ხარისხს.

ერთგულების მოვალეობამ გავრცელება პოვა, აგრეთვე, კაპიტალურ საზოგადოებებშიც. გერმანულ საზოგადოებათა სამართალში საბოლოოდ აღიარებულია ერთგულების მოვალეობა შპს-ის პარტნიორთა შორის, ასევე, შპს-ის პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის, ხოლო სააქციო საზოგადოებაში, ერთი მხრივ, აქციონერებს შორის, და ასევე, აქციონერსა და სააქციო საზოგადოებას შორის.¹²

⁶ აღნიშნულის შესახებ იხ. მაჭავარიანი სოფიო, „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2015წ. გვ. 127.

⁷ შდრ. მაჭავარიანი სოფიო, „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ...“, გვ. 127

⁸ „პიროვნულ საზოგადოებებს“ გერმანული სამართალი მიაკუთვნებს ღია სავაჭრო საზოგადოებას (OHG), კომანდიტურ საზოგადოებას (KG), სამოქალაქო სამართლის საზოგადოებას (GbR), პარტნიორთა გაერთიანებას (Partnerschaft) და სხვ.

⁹ მაჭავარიანი სოფიო, გვ. 127.

¹⁰ კარსტენ შეფერი, გვ. 127, ვნ. 8.

¹¹ ირაკლი ბურდული, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მაგალითზე, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012წ. #4 (35), გვ. 51.

¹² შდრ. კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გადაამუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, გვ. 463, ვნ. 23 (შპს), გვ. 612, ვნ. 18 (სს).

2. ერთგულების მოვალეობიდან წარმომდგარი მოვალეობები

ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარეობს პარტნიორის განსხვავებული მოვალეობებიც ცალკეული პარტნიორების ან საზოგადოების მიმართ. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში პარტნიორის ეს მოვალეობები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

- მოქმედების მოვალეობები,
- ქმედებისაგან თავის შეკავების მოვალეობები,
- თმენის მოვალეობები,
- თანხმობის გაცემის მოვალეობები.¹³

მოქმედების მოვალეობა გულისხმობს თანაპარტნიორთა ინფორმირების ვალდებულებას. თანაპარტნიორთა ინფორმირება მათი ინტერესების დაცვას ემსახურება. როდესაც სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების რომელიმე პარტნიორი დააპირებს, მაგალითად, საზოგადოების სალაროდან თანხის გახარჯვას (ვთქვათ, შვილის სწავლის გადასახადის გადასახდელად), მისი მხრიდან ერთგულების მოვალეობის დაცვად ჩაითვლება, თუკი იგი ამის შესახებ წინასწარ აცნობებს სხვა დანარჩენ პარტნიორებს. არ არის გამორიცხული, რომ სხვა პარტნიორს უფრო მეტად ესაჭიროებოდეს საზოგადოების სალაროდან თანხის აღება (მაგალითად, ოპერაციის დასაფინანსებლად).¹⁴ იმისათვის, რომ საზოგადოების სალაროდან თანხის გატანისას საზოგადოების ზიანიც იყოს თავიდან აცილებული, პარტნიორს შეიძლება სალაროდან თანხის გატანის ლიმიტიც დაუწესდეს.¹⁵ სხვა თანაპარტნიორთა ინფორმირება იმისათვისაც არის საჭირო, რომ აღნიშნული საკითხი შეიძლება, პარტნი-

ორთა კრების გადასანყვეტი გახდეს. პარტნიორთა კრებამ კი შეიძლება, უარიც კი განუცხადოს პარტნიორს სალაროდან ფულის გახარჯვაზე.¹⁶

ერთგულების მოვალეობა მხოლოდ აქტიურ ქმედებაში არ გამოიხატება, იგი საზოგადოებისა და თანაპარტნიორის საზიანოდ და საწინააღმდეგოდ განხორციელებული ქმედებისაგან თავშეკავებასაც გულისხმობს. **ქმედებისაგან თავის შეკავების მოვალეობის** საუკეთესო მაგალითია კონკურენციისაგან თავის შეკავება. ერთი საზოგადოების პარტნიორები ვალდებულნი არიან არ ჩაერთონ პარტნიორების სახით ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც ბაზარზე კონკურენციას გაუწევენ თავიანთ საზოგადოებას. გერმანიის სავაჭრო კოდექსის (HGB) §112.1 პირდაპირ უკრძალავს ღია სავაჭრო საზოგადოების (OHG) პარტნიორს კონკურენციას, ანუ ბიზნესის კეთებას მოცემული საზოგადოების სავაჭრო სფეროში (Handelszweige), ასევე, პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორად მონაწილეობას სხვა მსგავს საზოგადოებაში. ამისათვის მას ესაჭიროება სხვა დანარჩენი პარტნიორების თანხმობა. დოგმატური თვალსაზრისით, კონკურენციის აკრძალვა წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის გამოხატულებას.¹⁷ ამდენად, გერმანული სამართლის მოდელის მიხედვით, კონკურენციის აკრძალვა თანაბრად შეეხება ღია სავაჭრო საზოგადოების (OHG) ყველა პარტნიორს, ასევე, კომანდიტური საზოგადოების ყველა კომპლემენტარს.

თუკი კონკურენციის აკრძალვის გერმანულ მოდელს შევადარებთ სამენარმეო სამართლის ქართულ მოდელს, მაშინ კონკურენციის აკრძალვა უნდა შეეხოს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ყველა პარტნიორს და, ასევე, კომანდიტური საზოგადოების (კს) ყველა კომპლემენტარს. სამწუხაროდ, დღეს მოქმედი სამენარმეო სამართლიდან არათუ გაქრა ტერმინი „კონკურენციის აკრძალვა“, რომელიც ჩაანაცვლა ტერმინმა „ინტერესთა

¹³ კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, გვ. 127, ვნ. 9.
¹⁴ წესები საზოგადოების სალაროდან ფულის გახარჯვის შესახებ უფრო დეტალურად იყო მოწესრიგებული „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 27-ე მუხლით.
¹⁵ მაგალითად, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 27.1 მუხლით პარტნიორისათვის დაწესებული იყო ბოლო სამეურნეო წელს მისთვის დადგენილი წილი კაპიტალის 4% პროცენტამდე ოდენობის თანხა.

¹⁶ შდრ. „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 27.2 მუხლი.
¹⁷ კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გადამუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, გვ. 130, ვნ. 12.

კონფლიქტი“ (შდრ. მენკა, მოქმედი რედაქცია, მუხლი 9.5), არამედ იგი გავრცელდა მხოლოდ საზოგადოების ხელმძღვანელ პირებზე (დირექტორებზე). კონკურენციის აკრძალვის შესახებ მონესრიგება გვხვდებოდა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 35-ე მუხლში.¹⁸ აღნიშნული მუხლის მიხედვით, კონკურენციის აკრძალვისაგან გამოირიცხებოდნენ კომანდიტები, თუკი საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ დაადგენდა. აღნიშნული მონესრიგებითაც დასტურდებოდა, რომ კონკურენციის აკრძალვა პირდაპირ ვრცელდებოდა კომანდიტური საზოგადოების კომპლემენტარებზე.

ქმედებისაგან თავის შეკავება დაკავშირებულია, აგრეთვე, პარტნიორის მიერ თავისი ხმის უფლების გამოყენებასთან. აღნიშნული განსაკუთრებით თავს იჩენს დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. თუკი პარტნიორი „დახარბდება“ მისაღებ დივიდენდს, ამით მან შეიძლება მოუსპოს საზოგადოებას შესაძლებლობა, რომ დივიდენდისათვის განკუთვნილი თანხა წარმართოს საზოგადოების განსავითარებლად. ხოლო ერთგულების მოვალეობიდან გამომდინარე, პარტნიორს შეეძლო თავი შეეკავებინა ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისაგან და მეტი ერთგულება გამოეჩინა საზოგადოების საკეთილდღეოდ.

პარტნიორის **თმენის მოვალეობის** ასახსნელად კვლავ გერმანულ სამართალს უნდა მივმართოთ, რადგანაც ქართული სამართალი და იურიდიული ლიტერატურა ამ საკითხზე დუმს. თმენის მოვალეობის მაგალითად განხილულია გარემოება, როდესაც ერთმა პარტნიორმა უნდა ითმინოს მეორე პარტნიორის მიერ საზოგადოების ქონებიდან რაიმე საგნით სარგებლობა.¹⁹ ვთქვათ, საზოგადოებამ რომელიმე პარტნიორს უსასყიდლო სარგებლობაში გადასცა სასაწყობე ფართი, რომელსაც იგი იყენებს დამწვარი სახლიდან გადარჩენილი ნივთების შესანახად. ერთგულების მოვალეობიდან გამო-

მდინარე, რომელიც ეთიკურ კატეგორიას მიეკუთვნება,²⁰ სხვა დანარჩენმა პარტნიორებმა უნდა ითმინონ საზოგადოების ქონების ამგვარი გამოყენება. პარტნიორებისათვის ასატანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საზოგადოება გარკვეული დროის განმავლობაში ვერ გამოიყენებს აღნიშნულ ქონებას ბიზნეს-საქმიანობაში და ვერ მიიღებს მისგან შემოსავლებს.

პარტნიორის მიერ **თანხმობის გაცემის მოვალეობა** უცხოა ქართული სამენარმეო და კორპორაციული პრაქტიკისათვის. პარტნიორის მიერ თანხმობის გაცემა წარმოადგენს პარტნიორის უფლებამოსილების ნაწილს, რომელსაც იგი ახორციელებს პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას. სამენარმეო საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორი თვლის, რომ იგი დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებისას და მას უფლება აქვს თავისი ხმა გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ. თუმცა, ერთგულების მოვალეობა პარტნიორის ამ უფლებამოსილებას უწესებს გარკვეულ ფარგლებს და აიძულებს მას, ხმა მისცეს საერთო კრებაზე იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სასარგებლოა, პირველ რიგში, საზოგადოებისათვის. გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში პარტნიორის თანხმობის გაცემის მოვალეობას მკაცრი წინაპირობები აქვს დაწესებული, როცა საქმე შეეხება საზოგადოების ხელშეკრულების (წესდების) ცვლილებას ან დირექტორის მიერ ხელმძღვანელობითი ღონისძიებების განხორციელებას.²¹ თავისთავად, წესდების შეცვლა მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ინტერესების მხარდასაჭერად, რადროსაც პარტნიორმა უნდა დაძლიოს თავისი პიროვნული პატივმოყვარეობა და ხმა მისცეს კრებაზე გადასაწყვეტ საკითხს. მაგალითისა-

¹⁸ „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1994 წლის რედაქციის 35-ე მუხლი ამოღებული იქნა კანონიდან 2008 წელს.

¹⁹ კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გადამუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, გვ. 127, ვნ. 9.

²⁰ შდრ. ირაკლი ბურდული, ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მაგალითზე, ჟურნალში: „მართლმსაჯულება და კანონი“, 2012წ. #4 (35), გვ. 52, 61.

²¹ შდრ. გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს (BGH) 12.04.2016 წლის გადაწყვეტილება Media Saturn-თან დაკავშირებით (II ZR 275/14). წყარო: კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გადამუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, §59, გვ. 703-704, ვნ. 9.

თვის: ღია სავაჭრო საზოგადოების (OHG) ერთ-ერთმა პარტნიორმა (C-მ) რომლის ინიციატივითაც დაიწყო საზოგადოებამ ხის მასალებით ვაჭრობა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როდესაც დანარჩენმა 2 პარტნიორმა (A-მ და B-მ) დასვეს კრებაზე საზოგადოების ხელშეკრულების (წესდების) შეცვლის საკითხი. გაირკვა, რომ ხის მასალებით ვაჭრობა წამგებიანი გახდა საზოგადოებისათვის, ხოლო სამშენებლო მასალებით საბითუმო ვაჭრობა საზოგადოებას მნიშვნელოვან მოგებას მოუტანდა. ღია სავაჭრო საზოგადოების სტატუსიდან გამომდინარე, ხის მასალებით ვაჭრობისათვის თავის დანებება საჭიროებდა ცვლილების შეტანას საზოგადოების ხელშეკრულებაში. თავის მხრივ, ერთგულების მოვალეობა აიძულებდა პარტნიორს (C-ს) დაეძლია თავისი პიროვნული პატივმოყვარეობა და თანხმობა მიეცა დანარჩენი პარტნიორებისათვის საზოგადოების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, მას არ უნდა დაკისრებოდა რაიმე დამატებითი ტვირთი.²²

3. ერთგულების მოვალეობის დროს პარტნიორის ქცევის ფარგლები

ერთგულების მოვალეობა აიძულებს პარტნიორს თავისი უფლებების განხორციელებისას დაიცვას გარკვეული ფარგლები, რაც გამომდინარეობს უფლების თვითნებური და არაპროპორციული განხორციელების აკრძალვიდან.²³

ერთგულების მოვალეობა მხოლოდ საზოგადოების პარტნიორს აკისრია. იგი ამ მოვალეობით შეზღუდულია არა მხოლოდ თავისი საზოგადოების მიმართ, არამედ თავისი თანაპარტნიორების მიმართაც. შესაბამისად, ერთგულების მოვალეობა არ წარმოადგენს საზოგადოების დირექტორის მოვალეობას და მისი გავრცელება საზოგადოების ხელმძღვანელ პირებზე დაუ-

შვებელია. თუმცა ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ, სამწუხაროდ, გააფართოვა იმ პირობა წრე, რომლებზეც ერთგულების მოვალეობა შეიძლება გავრცელდეს და მისი დაცვა საზოგადოების დირექტორსაც დაუკავშირა. ერთ-ერთ თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ (სუს) ერთგულების მოვალეობა, გულმოდგინებისა და კეთილსინდისიერების მოვალეობებთან ერთად, დირექტორის მოვალეობათა ტრიადას მიაკუთვნა და განმარტა, რომ იგი მოიცავს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას.²⁴

ერთგულების მოვალეობის დაცვა, უწინარესად, უმრავლესობაში მყოფი პარტნიორს (პარტნიორებს) ეკისრება. უმრავლესობაში მყოფ პარტნიორს (მაჟორიტარ პარტნიორს), რომელიც საკონტროლო პაკეტის მფლობელია, შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით ზეგავლენა მოახდინოს არა მხოლოდ საზოგადოების სტრატეგიულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ უმცირესობაში მყოფ თანაპარტნიორთა (მინორიტარ პარტნიორთა) უფლებრივ მდგომარეობაზეც. ზოგიერთ შემთხვევაში მაჟორიტარმა პარტნიორმა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს თავისი უფლებრივი (წილობრივი) უპირატესობა და საზოგადოების გადაწყვეტილებით ისეთი ვალდებულებები დააკისროს მინორიტარ პარტნიორებს, რომ ისინი შეიძლება, საზოგადოებიდან გარიცხვის ანდა მათი უფლებების შემცირების წინაშე აღმოჩნდნენ.

მსგავსი გარემოება შეიძლება დადგეს საზოგადოების (საწესდებო) კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, რომელსაც უმრავლესობით გადაწყვეტენ მაჟორიტარი პარტნიორები. მათ შეიძლება შეგნებულად მიიღონ, ვთქვათ, საზოგადოების კაპიტალის 100.000 ლარით გაზრდის გადაწყვეტილება, თუკი იციან, რომ, მაგალითად, 10%-იან მინორიტარ პარტნიორს (პარტნიორებს) არ გააჩნია საკმარისი (10.000 ლარის ოდენობის) ფინანსური შესაძლებლობა, დათქმულ ვადაში შეავსონ გაზრდილი კაპიტალი. არ არის გამორიცხული, რომ მინორიტარი პარტნიორი იმიტომაც ეწინააღმდეგებოდეს

²² შდრ. კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, რ. მიგრაულის თარგმანი, კაზუსი 13, გვ. 128-129, ვნ. 11.

²³ კარსტენ შეფერი, საზოგადოებათა სამართალი, მე-5 ახლად გამომუშავებული გამოცემა, 2018, რ. მიგრაულის თარგმანი, 2019, გვ. 126, ვნ. 8.

²⁴ სუს, საქმე №ას-687-658-2016, 06.11.2018წ.

უმრავლესობას კაპიტალის გაზრდაში, რომ იგი არ ხედავდეს კაპიტალის გაზრდის აუცილებლობას, საზოგადოებაში არსებული საკმარისი ფინანსური სახსრების გამო.

სწორედ ერთგულების მოვალეობაა ის ფაქტორი, რამაც შეიძლება შეაკავოს მაჟორიტარი პარტნიორები მინორიტარი პარტნიორების წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილების მიღებისაგან. ხოლო მინორიტარ პარტნიორს უნდა შეეძლოს სარჩელის შეტანით შეეცილოს ასეთ გადაწყვეტილებას. სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, თუ რა მიზანს ემსახურებოდა კაპიტალის გაზრდა. თუკი კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილებას მიზნად არ ექნებოდა საზოგადოების დაფინანსების აუცილებლობა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მიმართული იქნებოდა უმცირესობაში მყოფი პარტნიორების წინააღმდეგ, კერძოდ, მათი გავლენის შესამცირებლად. ასეთი შედეგი შეიძლება დადგეს მხოლოდ მაშინ, თუკი მინორიტარ პარტნიორებს არ აღმოაჩნდებათ საკმარისი ფულადი ან ქონებრივი შესაძლებლობები და ისინი ვერ შეიტანენ დამატებით შესატანებს გაზრდილ კაპიტალში. ასეთ შემთხვევაში მათ ან წილი შეუმცირდებათ, ან გაირიცხებიან საზოგადოებიდან (დაკარგავენ წილს²⁵). მაჟორიტარი პარტნიორების მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღებით ადგილი ექნება მინორიტარი პარტნიორის უფლებებში არაპროპორციულ ჩარევას, რის გამოც კაპიტალის გაზრდის გადაწყვეტილება მიიჩნევა ერთგულების მოვალეობის საწინაა-

ღმდეგო გადაწყვეტილებად.

რაც შეეხება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საზოგადოებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა, მათი მიღებისას ყველა პარტნიორის ჩართულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა პარტნიორთა თანაბარი მოპყრობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი.²⁶

გარდა ამისა, ერთგულების მოვალეობის შინაარსის განმარტებისას, ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ ერთგულების მოვალეობა მხოლოდ დომინანტი პარტნიორის ვალდებულებაა და იგი მას ქცევის გარკვეულ სტანდარტებს უწესებს. გერმანული სასამართლო პრაქტიკა უკვე იმგვარად განვითარდა, რომ ერთგულების მოვალეობას ნებისმიერი მცირე პარტნიორის ვალდებულებადაც თვლიან და მის სამართლებრივ საფუძვლად გერმანიის სააქციო სამართლის 117-ე მუხლს ასახელებენ.²⁷ ერთგულების მოვალეობის საზომს ის წარმოადგენს, თუ რა ქმედებას ახორციელებს პარტნიორი/აქციონერი, კერძოდ, იგი მხოლოდ საკუთარ ინტერესებს იცავს და ამით ზიანს აყენებს თანაპარტნიორებს ან საზოგადოებას, თუ მისთვის უპირატესი სანარმოს ინტერესია.²⁸

ამდენად, ერთგულების მოვალეობა დოგმატურად ეფუძნება პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობას, ასევე, პარტნიორებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობას, რომლის საფუძველსაც საზოგადოების ხელშეკრულება წარმოადგენს.²⁹

²⁵ შდრ. მენკა, მუხლი 3.7.

²⁶ შდრ. ბურდული ი., ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, #4, 2012, გვ. 63.

²⁷ შდრ. მაჭავარიანი სოფიო, გვ. 128.

²⁸ დანვრილებით, ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, მერიდიანი, 2010, გვ. 371.

²⁹ დეტალურად კარსტენ შეფერი, რ. მიგრიაულის თარგმანი, 2019, თბილისი, 2018, გვ. 127-128.

არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნის გამორიცხვა

(ნაწილი 1)

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

I. შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია რომელი იური-სტის პომპონიუსის სენტენცია, რომლის მიხედვითაც, ქონების ყოველგვარი უსაფუძვლო გადადინება უნდა უკუიქცეს,¹ რასაც უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ტექსტში წააწყდება მკითხველი. ამგვარი განზოგადებული მაქსიმა, რომ ყოველგვარი ზიანი ანაზღაურდება, ზიანის ანაზღაურების სამართალში არ არსებობს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ზიანი შეიძლება მრავალგვარად რეალიზდეს და ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ყოველთვის არ აქვს იმ პირს, რომელსაც დამზიანებლის ქცევიდან გამომდინარე ზიანი ადგება. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისი უფლებაც ხელყოფილია.² ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ეს არის ხელშეკრულების მეორე მხარე,³ ხოლო დელიქტური მოთხოვნა 992-ე მუხლის მიხედვით ეკუთვნის მხოლოდ მას, ვისი აბსოლუტური უფლებების ხელყოფაც მოხდა ან ვის დაცვასაც ემსახურებოდა დარღვეული ნორმა.⁴ ამის საპირისპიროდ, მესამე პირებმა საკუთარი ზიანი თავადვე უნდა „ზიდონ“: მხოლოდ გაშუა-

ლებულად/არაპირდაპირ დაზიანებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ აქვს.⁵

II. არაპირდაპირ დაზიანებული პირი

არაპირდაპირ დაზიანებულად ითვლება პირი, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ არ უზიანდება სხეული, ნივთები ან სხვა აბსოლუტური სიკეთეები, მაინც ადგება ქონებრივი ზიანი. მას არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამზიანებლის მიმართ სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, რადგან ამ დანაწესით პასუხისმგებლობის წინაპირობაა, ზიანის მართლსაწინააღმდეგოდ მიყენება, რაც ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახეზე არ არის, ხოლო სუფთა ქონებრივი ზიანი, ცალკე აღებული, არ ანაზღაურდება.⁶

მაგალითად, არ აუნაზღაურდება ზიანი იმ პირს, რომელიც გაიჭედება საავტომობილო საცობში, რაც გამონვეული სხვა პირის მიერ მოწყობილი ავტოავარიის გამო. თუ საცობში მოხვედრის მიზეზით ის დაკარგავს შემოსავალს – ვერ მიუსწრებს მნიშვნელოვან შეხვედრას, ეს ზოგად ცხოვრებისეულ რისკს განეკუთვნება, რომელიც მისი სატარებელია და არც ერთი დელიქტური შემადგელობით მოცული არ არის. ზიანის ანაზღაურების უფლება არ აქვს არც გზის პირას განლაგებული სასტუმროს მესაკუთრეს, თუ სასტუმროსთან მიმავალი ერთ-ერთი გზა ჩაიკეტება ავტობანის ავარიის მიზეზით გადაკეტვის გამო.^{7,8} თუ ყინულზე მოციგურავე-

¹ Pomponius: D.50, 17, 206.

² E. Deutsch/H.-J. Ahrens, *Deliktsrecht*, 6. Aufl., München 2016, Rn. 623 f.; Schiemann in Staudinger BGB, 2004, Vor § 249 Rn. 49; Grüneberg, in Palandt BGB Komm., 73. Aufl., 2014, Vor § 249 Rn. 102.

³ გამოწვევის წარმოადგენს ე. წ. „მესამე პირის მიმართ დამცავ ეფექტიანი ხელშეკრულება“, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁴ იხ. დეტალურად გ. რუსიაშვილი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა? შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, 1-ლი და მომდევნო გვერდები.

⁵ Grüneberg, in Palandt BGB Komm., 73. Aufl., 2014, § 249 Rn. 103.

⁶ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, ზემოთ სქ. 4, 9.

⁷ BGH NZV 2015, 292

თა წყვილიდან ერთ-ერთი დაზიანდება ავტოავარიაში, პარტნიორს არ აქვს დამზიანებლისაგან იმ ზიანის მოთხოვნის უფლება, რომელიც მას საერთო გამოსვლების ჩავარდნით წარმოეშობა.⁹

ეს მაგალითები განზოგადებაუნარიანია და ძალაშია (გამორიცხავს მოთხოვნის უფლებას) ყველა იმ მესამე პირის შემთხვევაში, რომელსაც დაზიანებულის მიმართ ჰქონდა სახელშეკრულებო ან კანონისმიერი მოთხოვნები, რომლებსაც ეს უკანასკნელი ზიანის დადგომის გამო ვეღარ ასრულებს, მაგალითად¹⁰: დასაქმებელი დასაქმებულის დაზიანებისას; საგამოფენო სივრცის დირექტორი იმ ხელოვანის დაზიანებისას, რომელსაც შეუკვეთა ექსპონატის შექმნა; სპორტული გუნდი სპორტსმენის დაზიანებისას; მყიდველი იმ მიყიდული ნივთის განადგურებისას, რომელზე საკუთრებაც მას ჯერ არ გადასცემია. არაპირდაპირ დაზიანებული პირის მოთხოვნის უფლება ამ შემთხვევებში არ გამომდინარეობს არც „მონყობილ და ამუშავებულ საწარმოზე“ უფლებიდან¹¹; დასაქმებულის დაზიანება არ წარმოადგენს ამ ამუშავებულ და მონყობილ საწარმოზე უფლების ხელყოფას.¹² მოთხოვნის უფლება არ არსებობს არც საპირისპირო შემთხვევაში: დასაქმებულს არ აქვს საწარმოს დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹³ მხოლოდ არაპირდაპირ დაზიანებულის მოთხოვნის უფლების გამორიცხვის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ ტაქსების კომპანია ტაქსის მანქანისა და ტაქსისტად დასაქმებული მძღოლის დაზიანების შემთხვევაში, რამაც მისი შრომისუუნარობა გამოიწვია, დაკარგული შემოსავლის სახით მხოლოდ იმ თანხას მოითხოვს, რასაც ტაქსისტის გარეშე მიიღებდა; ამასთან მოთხოვნას ამცირებს ის თა-

ნხა, რისი გადახდაც მას ფიქტიური ჩამნაცვლებელი მძღოლისათვის მოუწევდა.¹⁴

III. პირდაპირ და არაპირდაპირ დაზიანებულთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირდაპირ და არაპირდაპირ დაზიანებულთა წრე ერთმანეთისაგან ცალსახად უნდა გაიმიჯნოს. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ერთმა და იმავე საქციელმა შეიძლება არაერთი პირის უფლება ხელყოს და პირი, რომელმაც კაუზალობის გაშუალებული ჯაჭვის მიდის, შეიძლება, პირდაპირ დაზიანებულად ჩაითვალოს, თუ მას უზიანდება ის სიკეთე, რომელსაც დარღვეული ნორმა იცავდა. ყველაზე ცნობილ გამონაკლისს ამ კონტექსტში ე. წ. „შოკის ზიანი“ წარმოადგენს (იხ. ქვემოთ).

1. სახელშეკრულებო მოთხოვნები

ქართული სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით, ზოგადად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქვს მხოლოდ პირდაპირ დაზიანებულ პირს. სკ-ის 394 I მუხლის მიხედვით მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა დამზიანებელსა და დაზიანებულს შორის. ოჯახის წევრები, დამსაქმებელი ან სხვა დაზიანებულ პირთან დაკავშირებული პირები, რომლებიც გაშუალებულად განიცდიან ზიანს, იმყოფებიან 394 I 1 მუხლით უფლებამოსილ პირთა წრის მიღმა, თუ მათსა და დამზიანებელს შორის არ არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა. მაგალითად, თუ ექიმი ბრალეულად არღვევს ვალდებულებას სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულებიდან და ამით ზიანს აყენებს პაციენტებს, მაშინ ხელშეკრულების საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ პაციენტს. მის ნათესავებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ რაიმე ფორმით გახდნენ ექიმის სახელშეკრუ-

⁸ გამონაკლისისათვის შდრ. *რუსიაშვილი*, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 83.

⁹ BGH zfs 2003, 224

¹⁰ *Oetker*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 281.

¹¹ გ. *რუსიაშვილი*, შედარებითი სამართლის ჟურნალი 1/2019, 85-ე და მომდევნო გვერდი.

¹² BGHZ 7, 36.

¹³ v. *Marschall*, FS v. Caemmerer, Tübingen 1978, 421.

¹⁴ BGH NJW 1979, 2244.

ლებო პარტნიორები.¹⁵ სხვა შემთხვევაში ეს მოთხოვნები გამორიცხულია.

აბსურდულია და ვალდებულებითი უფლების გაუმართლებელ გააბსოლუტურება იქნებოდა, რომ დამსაქმებლის მიერ დასაქმებული პირის მართლსაწინააღმდეგოდ სამსახურიდან გაშვების გამო, მას ზიანის ანაზღაურება დასაქმებულის შვილმა მოსთხოვოს – ამ სამსახურიდან გაშვების გამო შემცირებული ალიმენტის ოდენობით. ამ ტიპის შემთხვევების გადანყვება და თავიდან მოშორება მხოლოდ ვალდებულებითი მოთხოვნის ფარდობითობაზე მითითებით ხდება – დამსაქმებელი მხოლოდ მამის მიმართ არღვევს შესაბამის, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას და მისი შედეგებიც მხოლოდ მათ შორის ურთიერთობაში დგება. რეალურად ფარდობითობის უკან დგას ის მოსაზრება, რომ დამსაქმებელთან მამა იმყოფებოდა სამართლებრივ ურთიერთობაში და მხოლოდ მისი გადასაწყვეტია ნაუყენებს თუ არა მას აქიდან წარმოშობილ მოთხოვნებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ დამსაქმებლის ვალდებულების დარღვევით არაპირდაპირ ასევე შესაძლებელია (შვილიც) დაზიანდა, არ არის საკმარისი საფუძველი მამის გვერდის ავლით დამსაქმებლის პირდაპირ შვილის წინაშე პასუხისმგებლობისათვის. მამას შეიძლება არ სურდეს მოთხოვნების წაყენება დამსაქმებლისათვის, რადგან, თავის მხრივ, დამსაქმებელს აქვს კონტროლიზირებაზე აპელირების უფლება, მაგალითად: შრომითი ურთიერთობის განმავლობაში დარღვევები, რომლებიც არ ამართლებენ ხელშეკრულების მოშლას, თუმცა მამისათვის უხერხულობის შემქმნელია ან რაიმე სხვა ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნები, რომლებზეც დამსაქმებელმა იმ პირობით თქვა უარი (გაქვითვისა და მორიგების გარეშე), რომ ასევე მამაც არ მოედავებოდა შრომითი ურთიერთობიდან. ან შეიძლება მამა დამსაქმებლის მეგობარი იყოს და ის არ მიიჩნევდეს მასთან დავას მიზანშეწონილად. თუმცა მთავარი მიზეზი არაპირდაპირად დაზიანებული პირის წინაშე პასუხისმგებლობის გამორიცხვისა მდგომარეობს არა პირდაპირ დაზიანებული პირის

უფლებების „დაუკითხავად“ გამოყენებაში, არამედ იმაში, რომ ამგვარი დაშვებით დამზიანებლის პასუხისმგებლობა ზღვარდაუდებელი გახდებოდა. თუ შვილს ექნებოდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ალიმენტის დაკარგვის გამო, დამსაქმებლის მიმართ მოთხოვნა უნდა ჰქონდეს ასევე დასაქმებულის ცოლს, მის კრედიტორებს, რომლებმაც უქონლობის მიზეზით ვერ მიიღეს კუთვნილი თანხა და ვერ დააბანდეს მოგების მომტანად, ასევე კრედიტორის კრედიტორებს და ა. შ. ამ დაშვებით ყოველი ვალდებულების დარღვევა იქცეოდა პასუხისმგებლობის განუსაზღვრელი რისკების რეალიზების მექანიზმად და შესაძლებელი იქნებოდა ყველას ყველას წინაშე ეგო პასუხი. ყველა ეს არგუმენტი ერთიანდება ვალდებულებითი ურთიერთობის ფარდობითობის ცნების ქვეშ – ვალდებულებით ურთიერთობაში შესვლით პირი კისრულობს მოვალეობას მხოლოდ თავისი კონტრაქტის წინაშე, რაც გულისხმობს ასევე იმას, რომ ვალდებულების დარღვევისას მხოლოდ მის წინაშე უნდა აგოს პასუხი. ყოველგვარი სხვა დაშვება კერძო ავტონომიის პრინციპისათვის ხაზის გადასმის ტოლფასია.

ზემოთ თქმულისაგან უნდა გაიმიჯნოს ის აბსოლუტური საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ანაზღაურდება ასევე შესაძლებელია პირის ზიანი. საუბარია ხელშეკრულებაზე „შესაძლებელია პირის მიმართ დამცავი ეფექტით“, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

2. დელიქტური მოთხოვნები

ასევე დელიქტურ სამართალშიც, ზოგადი წესის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ პირდაპირ დაზიანებულს.¹⁶ ეს გამომდინარეობს დელიქტური პასუხისმგებლობის სტრუქტურულიდან (სკ-ის 992-ე მუხლი), რომელიც დგება ორ შემთხვევაში: აბსოლუტური სიკეთეების დაზიანებისას და ქონებრივი ზიანის მიყენებისას, როდესაც ამა-

¹⁵ BGHZ 89, 266.

¹⁶ Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 281.

ვდროულად დარღვეულია მესამე პირის ქონების დამცავი ნორმა.¹⁷

ა) აბსოლუტური სიკეთის ან დამცავი ნორმის ხელყოფა

გამომდინარე იქიდან, რომ არაპირდაპირ დაზიანებულ მესამე პირებს, რომელთა დაზიანებაც წარმოადგენს მხოლოდ რეფლექსს სხვა პირის სიკეთის დაზიანებისა, ჩვეულებრივ არ უზიანდებათ აბსოლუტური სიკეთეები (გამონაკლისი იხ. ქვევით), მათი მოთხოვნა პირველი შემადგენლობის მიხედვით გამორიცხებულია. რაც შეეხება დამცავი ნორმის დარღვევას, აქ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აქვს პირს, რომელსაც უშუალოდ იცავდა ეს ნორმა.¹⁸ მესამე პირები, რომელთანაც ზიანი მხოლოდ თანმდევი შედეგის სახით რეალიზდება და ამ ნორმის დაცული სფეროს მიღმაა, მის ანაზღაურებას ვერ მოითხოვენ. მაგალითად, თუ ა თაღლითური ქმედებით დააკარგვინებს ბინას ბ, ზიანის ანაზღაურების უფლება ვერ ექნება ბ-ს მეუღლეს, მაშინაც კი, თუ ბინის შენარჩუნების შემთხვევაში ის ამ ბინაში იცხოვრებდა გაცილებით უფრო კომფორტულ პირობებში, ვიდრე მის ამჟამინდელ ბინაში. საწინააღმდეგო დაშვება დელიქტური პასუხისმგებლობის ფარგლების უზომოდ გაფართოების ტოლფასი იქნებოდა და საბოლოოდ მიგვიყვანდა შედეგამდე, როდესაც ყველას ყველას წინაშე შეიძლება ეგო პასუხი – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება ჰქონოდა დაზარალებულის მომავალ მეუღლეს, რომელიც დაკარგულ ბინას ოფისად გადააკეთებდა და აქიდან მიიღებდა შემოსავალს ან ამ ჰიპოთეტური ოფისის ჰიპოთეტურ თანამშრომელს და ა. შ., რაც სრული აბსურდია.

ბ) გაშუალებული კაუზალობა

დელიქტური მოთხოვნებზე საუბრისას არაპირდაპირი დაზიანებისაგან უნდა გაიმიჯნოს

შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს სამართლებრივი სიკეთეები უზიანდება პირდაპირ, თუმცა გაშუალებული კაუზალობის გზით. ანაზღაურების უფლება აქვს, მაგალითად, ბავშვს, რომელიც ჩნდება ჯანმრთელობის დაზიანებით დედის პრენატალურ პერიოდში დელიქტის თუ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად დაზიანების გამო.¹⁹ ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ბავშვი დედის დაზიანების მომენტში ჯერ კიდევ არ იყო ჩასახულიც.²⁰ ამ კონტექსტს განეკუთვნება ასევე ე. წ. შოკით მიყენებული ზიანი, რომლის ანაზღაურების საკითხიც, ჩვეულებრივ, 992-ე მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობისას დგება. მაგალითად, დაზარალებული შეესწრება ახლობელი პირის გარდაცვალებას, რის შედეგადაც მიიღებს მძიმე ფსიქიკურ შოკს.²¹ დამზიანებელი ამ შემთხვევაში გარდაცვლილი პირის სიცოცხლეს უშუალოდ ხელყოფს, თუმცა მისი ახლობლის ფსიქიკური ჯანმრთელობა მხოლოდ გაშუალებულად შეიძლება ჩაითვალოს დაზიანებულად. შოკი (და, ზოგადად, ფსიქიკური დარღვევა) მხოლოდ მაშინ ითვლება ჯანმრთელობის დაზიანებად, თუ მას რჩება სამედიცინო გზით დადგენადი თანმდევი შედეგები,²² მაგრამ ამ შემთხვევაშიც პრობლემურია დამზიანებლისათვის ამ შოკის ზიანის შერაცხვა. საკითხავია, მოცულია თუ არა ნორმის მიზნით (მაგ., საგზაო მოძრაობის წესი) გარდაცვლილის ან დაშვებულის ახლობელი პირის დაცვა შოკისაგან. გერმანული სასამართლო პრაქტიკა²³ ამ ტიპის შემთხვევებში საკმაოდ რესტრიქციულად განმარტავს ნორმის დაცვით მიზანს. დაცულია მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულის ახლო ნათესავი (მათ შორის საქმრო, საცოლე და ა. შ.)²⁴ გაშუალებუ-

¹⁹ BGHZ 8, 248; BGHZ 58, 50.

²⁰ BGHZ 8, 248.

²¹ BGHZ 56, 163.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 25 თებერვლის № ას-1426-1535-04 განჩინება; რუსიაშვილი/ევგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 217; არასწორია ბარაბაძე, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ადამიანი და კონსტიტუცია № 2/2006, 101.

²³ BGHZ 172, 265.

²⁴ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის № ას-1156-1176-2011 განჩინება. აქ გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა წარმოადგენდეს

¹⁷ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, ზემოთ სქ. 4, 9.

¹⁸ Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 280.

ლად მიღებული შოკისაგან, ავტოავარიის შემსწრე გამვლელისათვის კი ეს ზიანი ყოველდღიურ რისკს წარმოადგენს, რომელიც არ ანაზღაურდება.

IV. სამენარმეო საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანი

არაპირდაპირი დაზიანების შემთხვევები განსაკუთრებით აქტუალურია იურიდიული პირების შემთხვევაში, როდესაც ზიანდება პარტნიორი და ეს რეფლექსურად ეხება საზოგადოებას, ან პირიქით, საზოგადოების ზიანი აისახება პარტნიორის ქონებრივ მდგომარეობაზე.

1. პარტნიორის დაზიანება

ცალსახად და ერთხმად არასწორად არის მიჩნეული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კაპიტალური საზოგადოების ერთადერთ პარტნიორს უნდა მიენიჭოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ ზიანისათვის, რომელიც მისი დაზიანების შედეგად ადგება საზოგადოებას.²⁵ ადვოკატის შეცდომის გამო შპს-ის ერთადერთი პარტნიორი და დირექტორი აღმოჩნდა მოვალეთა რეესტრში, რის გამოც ბანკმა არასაიმედოდ მიიჩნია მთლიანი შპს და გააუქმა მას საკრედიტო ხელშეკრულება, რამაც თავის მხრივ ჩაშალა სამშენებლო პროექტი და ზიანი მიაყენა შპს-ს. გარდა იმისა, რომ აქ პარტნიო-

რს ვერ ექნება საკუთარი დამოუკიდებელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, მას არ უნდა მიენიჭოს არც მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის ფარგლებში (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ) საზოგადოების ზიანზე მითითების უფლება და მისი ანაზღაურების მოთხოვნა თავის სასარგებლოდ.²⁶

ამის საპირისპიროდ, შემთხვევა, როდესაც პარტნიორის დაზიანებით მცირდება საზოგადოებაში მისი წილის ღირებულება და ამით ისევ მას ადგება ზიანი, უნდა გადაწყდეს იმგვარად, რომ მას მიენიჭოს საკუთარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება,²⁷ რადგან აქ რეალურად საქმე ეხება არა არაპირდაპირ დაზიანებას, არამედ ზიანს, რომელიც ადგება მის არამატერიალურ აქტივს უშუალოდ მისი დაზიანებით, რაც ცალსახად ანაზღაურებადია. მაგალითად, დამზიანებელი აყენებს საზოგადოების ერთადერთ პარტნიორსა და დირექტორს სხეულის მძიმე დაზიანებას, რომელიც ამ მიზეზით ვერ ახერხებს საზოგადოებისათვის სასარგებლო გარიგების დადებას, რის გამოც საზოგადოება ნახულობს ზიანს და შესაბამისად მცირდება პარტნიორის წილის ღირებულება.²⁸ აქ ზიანი წარმოსდგება უშუალოდ ამ პარტნიორის დაზიანებით და საზოგადოება არის მხოლოდ ზიანის „გამტარი“.

2. საზოგადოების დაზიანება

უფრო მარტივად და სწორხაზოვნად არის საქმე საზოგადოების დაზიანების შემთხვევაში – თუ ზიანის მომტანი ქმედება მიმართულია საზოგადოების წინააღმდეგ, მაშინ მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ საზოგადოებას და არა პარტნიორებს, მაშინაც კი, თუ საზოგადოების ზიანი პარტნიორთა წილის გაუფასურებაში გამოიხატა.²⁹ მით უფრო არ აქვთ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დედობილი საზოგადოებას ან მის პარტნიორებს (რომ აღარაფე-

დამზიანებლის ბრალით გამოწვეული დუხჭირი მდგომარეობის გამო ქალიშვილის გარდაცვალება (ამ მოვლენებს შორის კაუზალური კავშირის არსებობას სასამართლო საკმაოდ არადაამაჯერებლად და ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებით უარყოფდა), საკმარის საფუძველს პირის ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შერყევისათვის, რითიც განპირობებული ზიანი შესაბამისი ნორმის მიზნით უნდა ყოფილიყო მოცული, თუმცა სასამართლოს მსჯელობა სწორია იმ ნაწილში, როდესაც უარყოფს ნივთის განადგურებით (ბინის დაწვა) და ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებით (ვალების აღება) გამოწვეული ფსიქიკური ზიანის შერაცხვის შესაძლებლობას (*Oetker*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 155).

²⁵ *W. Frank*, *Nochmals - Schadensersatzanspruch des GmbH-Alleingesellschafters bei einem Schaden der Gesellschaft*, *NJW* 1974, 2314; *W. Schulte* *NJW* 1979, Die Vermögensseinbuße bei einer Kapitalgesellschaft - ein ersatzfähiger Schaden des Alleingesellschafters? *NJW* 1979, 2232.

²⁶ *Schiemann* in *Staudinger BGB*, 2004, Vor § 249 Rn. 60.

²⁷ *BGH NJW-RR* 1995, 864; *BGHZ* 129, 165; *Mann NJW* 1977, 2160; *Schiemann* in *Staudinger BGB*, 2004, Vor § 249 Rn. 61; *Grüneberg*, in *Palandt BGB Komm.*, 73. Aufl., 2014, § 249 Rn. 104.

²⁸ შდრ. *BGH NJW* 1977, 1283.

²⁹ *OLG Hamm NZG* 2002, 780.

რი ვთქვით დედობილი საზოგადოების კრედიტორებზე), თუ დამზიანებლის ქმედება მხოლოდ შვილობილი საზოგადოების წინააღმდეგ იყო მიმართული და დააკარგვინა მას კაპიტალი. ეს პრობლემა და მისი გადაწყვეტა ცნობილია, „კონგრუენტული ზიანის მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ ანაზღაურების სახელით“. გერმანული სასამართლოს გადაწყვეტილება³⁰, რომელსაც ამ კონტექსტში ყველაზე ხშირად აცხიტირებენ შემდეგია: შპს-ის პარტნიორმა საზოგადოების მიმართ არსებული ერთგულების ვალდებულების დარღვევით, საკუთარი შვილის მეშვეობით, შექმნა კონკურენტი სანარმო, რის შემდეგაც კლიენტებს მოაშლევინა საკუთარ შპს-სთან დადებული ხელშეკრულებები და ისინი ამ კონკურენტ სანარმოში გადაიბირა. ამით შპს-ის მიადგა ზიანი. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ აქ არ გაითვალისწინა მოსარჩელის არგუმენტი, რომ საქმე ეხებოდა ერთგულების ვალდებულების დარღვევას, რისი სანქციონირებაც უნდა მომხდარიყო იმგვარად, რომ დამზიანებელს უშუალოდ პარტნიორის წინაშე ეგო პასუხი და მისთვის ანაზღაურებინა ეს ე. წ. რეფლექსური ზიანი. სასამართლომ უკუაგდო ასევე მითითება იმ გარემოებაზე, რომ საზოგადოება უკვე გაკოტრების შედეგად ლიკვიდირებული იყო და გაკოტრების საქმის მმართველს მორიგების გზით უარი ჰქონდა ნათქვამი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე დამზიანებელი პარტნიორის მიმართ, ანუ საზოგადოება თავად ველარ მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას.³¹

საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანისა და პარტნიორის ზიანის კონგრუენტულობის³² (თანადამთხვევის) შემთხვევაში პარტნიორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ. რი-

თაც დაიფარება ასევე მისი ზიანიც.³³ საკუთარი თავის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არ აქვს. გერმანული სასამართლო პრაქტიკა³⁴ ამ გადაწყვეტას ასაბუთებს კაპიტალისა და საზოგადოების ქონების მიზნობრიობის შენარჩუნების, ისევე როგორც პარტნიორთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპით. ეს გადაწყვეტა გამყარებულია გერმანიის სააქციო კანონის 117 I 2³⁵ და 317 I 2 პარაგრაფებში და განზოგადებული ფორმით მოქმედებს ასევე შპს-ის შემთხვევაშიც.³⁶ ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში კონგრუენტულობის უარსაყოფად სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო არგუმენტი, რომ იმ შემოსავალს, რომელიც დაკარგა შპს-მ, ის მაინც დაუყოვნებლივ გასცემდა დივიდენდის სახით (დაკარგავდა) და ამიტომაც სახეზე არ იყო შპს-ის ზიანი, არამედ მხოლოდ მისი, როგორც პარტნიორის, არაკონგრუენტული ზიანი.³⁷ ის ფაქტი, რომ შპს ქონებას მისი მიღების შემთხვევაში დივიდენდად გასცემდა, წარმოადგენს მისი ქონების მიზნობრიობის გამოხატულებას (იხ. ქვემოთ) და ვერ გახდება ამ შემოსავლის მიუღებლობის ზიანად არდაკვალიფიცირების საფუძველი.

ა) ერთმანეთისაგან გამიჯნული სამართალსუბიექტურობა და ქონება

ზემოთმოყვანილი კონკრეტულ პრინციპებზე მითითების მიღმა, მთავარი პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სამართლის შემფარდებელმა მოცემულ შემთხვევაში შე-

³³ BGHZ 105, 131.

³⁴ BGH NJW 1987, 657; BGH NJW-RR 1987, 1386; BGHZ 105, 130; BGH NJW 2013, 1434; BGH NJW 1987, 1262.

³⁵ ვინც განზრახ, საკუთარი გავლენის გამოყენებით სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატის წევრს ან პროკურისტსა თუ რწმუნებულს აიძულებს იმოქმედონ საზოგადოებისათვის და აქციონერთა ინტერესების წინააღმდეგოდ, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას ამით მიყენებული ზიანი. ის ვალდებულია ასევე აქციონერებსაც აუნაზღაუროს მათთვის მიყენებული ის ზიანი, რომელიც არ ამოიწურება და სცდება საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს.

³⁶ BGH NJW 1987, 1079.

³⁷ შდრ. ამასთან დაკავშირებით W. Döser, Anm. zu BGH, Urteil vom 14.05.2013 - II ZR 176/10 (KG), NJW 2013, 2586.

³⁰ BGH NZG 2013, 867, გადაწყვეტილების ტექსტი ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია: შედარებითი სამართლის ჟურნალი 10/2020, 54-ე და მომდევნო გვერდები.

³¹ იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად W. Döser, Anm. zu BGH, Urteil vom 14.05.2013 - II ZR 176/10 (KG), NJW 2013, 2586.

³² B. Kreße, Schadensersatzansprüche mittelbar Geschädigter nach deutschem und französischem Zivilrecht, ZEuP 2014, 517.

მდეგია: იურიდიული პირისა და მისი პარტნიორის დამოუკიდებელი და ერთმანეთისაგან გამიჯნული სამართალსუბიექტურობიდან გამომდინარე არც ერთს არ შეუძლია მეორის ზიანი თავისად „გაასალოს“. საზოგადოება ვერ მოითხოვს საკუთარი პარტნიორისათვის მიყენებულ ზიანს, როგორც თავისას,³⁸ მაშინაც კი, როდესაც პარტნიორს ეს ქონება შესატანის განსახორციელებლად უნდა გამოეყენებინა და ვერც პარტნიორი მოითხოვს საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის პირადად მისთვის ანაზღაურებას, მაშინაც კი, როდესაც ეს ზიანი მისი წილის გაუფასურებაში გამოიხატა – შპს-ის თუ სააქციო საზოგადოების პარტნიორი ვერ იჩივლებს იმ საფუძვლით, რომ პირადად მას აუნაზღაურონ წილის გაუფასურებით მიყენებული ზიანი, ეს იქნებოდა მოშლა იმ კორპორატიული მიჯნისა, რომელიც არსებობს პარტნიორისა და საზოგადოების სამართლებრივ სუბიექტურობას შორის, რომლის გამოვლინებაც არის დამოუკიდებელი ქონებაუნარიანობა.

პარტნიორს არ აქვს აბსოლუტური უფლება „წილის ღირებულების არშემცირებისა“, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ექნებოდა უფლება ჩარეულიყო საზოგადოების მართვის ნებისმიერ საკითხში ამ ღირებულების შემცირების პრევენციის მიზნით, რისი უფლებაც მას არ აქვს. პირიქით, საზოგადოებას, გარკვეულ შემთხვევებში, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც ამცირებს პარტნიორის წილს და ის ამ გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგება, რაც ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტური უფლება წილის ღირებულების არშემცირებაზე, განსხვავებით, მაგალითად, ნივთის დაუზიანებლობისაგან, პარტნიორს არ აქვს. საზოგადოების ქონება და პარტნიორის ქონება ერთმანეთისაგან გამიჯნულია. წილი არის ის ბმა, რომელიც ამ ორ ქონებრივ მასას ერთმანეთთან აკავშირებს, კერძოდ, ერთის მონაწილეობა მეორეში, თუმცა ის პრინციპულად არ განსხვავდება იმ მოთხოვნის უფლებისაგან, რომელიც ერთ პირს აქვს მეორე პირის ქონების მიმართ. არ შეუძლია რა, მაგალითად, კრედიტორს, რომელსაც ჰქონდა მოვალის ქონებიდან კონკრეტული ნივთის მი-

ლების უფლება, მოსთხოვოს ამ ნივთის დამზიანებელს ზიანის ანაზღაურება (იხ. ზემოთ), არ უნდა ჰქონდეს არც პარტნიორს საზოგადოების დამზიანებლის მიმართ პირდაპირი მოთხოვნის უფლება.

ბ) კაპიტალის შენარჩუნება, საზოგადოების ქონების მიზნობრიობა და პარტნიორთა მიმართ თანასწორი მოპყრობა

პარტნიორისა და აქციონერისათვის მიყენებული ის ზიანი, რომელიც კონგრუენტულია საზოგადოების ზიანისა, ანუ, რომლის რესტიტუციაც შეიძლება შესაბამისი შესრულებით საზოგადოების ქონებაში და თუ ეს გამოასწორებდა პარტნიორის/აქციონერის ზიანსაც, ანუ ეს უკანასკნელი მხოლოდ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანარეკლს წარმოადგენს, უნდა გამოსწორდეს საზოგადოებისა და არა პარტნიორის/აქციონერის მიმართ შესრულებით. ყოველგვარი საპირისპირო დაშვება საფრთხეს შეუქმნიდა საზოგადოების კაპიტალის შენარჩუნებას, თუ ნებისმიერი ზიანი, რომელიც ადგება საზოგადოებას და ამავდროულად წილის ღირებულებას ამცირებს, შეიძლება მოეთხოვა პარტნიორს. პარტნიორმა არ უნდა დაასწროს საზოგადოებას და არ უნდა გაურთულოს მისი მოთხოვნის რეალიზება³⁹ – დამზიანებელი პარტნიორისათვის გადახდის შემდეგ აღარ იქნებოდა ვალდებული გადაეხადა საზოგადოებისათვის ამ ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, ეს იქნებოდა პარტნიორთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დარღვევა, რადგან თუ საზოგადოების ზიანის გამო ერთდროულად მცირდება რამდენიმე მათგანის წილი, შეიძლება დასწრებაზე ყოფილიყო დამოკიდებული, თუ რომელი აინაზღაურებდა ზიანს.

საზოგადოების ქონების მიზნობრიობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ეს ქონება მანამ, სანამ არ მოხდება მისი დივიდენდად გაცემის გადაწყვეტილების მიღება, საერთო მიზნით არის შებორკილი. საპირისპირო მიდგომა გამოიწვევდა იმას, რომ ზიანის ანაზღაურების გზით მოხდებოდა დივიდენდების გაცემის ეფექტისა

³⁸ BGH NJW-RR 1992, 291.

³⁹ BR-Dr 100/60 a, 147 zu § 113 AktG-E.

და შედეგის გამონვევა,⁴⁰ ისევე როგორც შენატანის დაბრუნების ეფექტის გამონვევა, საზოგადოების წესდების საწინააღმდეგოდ.⁴¹

გამონაკლისის სახით, წილის ღირებულების შემცირებაში გამოხატული საზოგადოების ზიანის, როგორც საკუთარის, ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დასაშვები, როდესაც ეს ზიანი მიყენებულია იმ დამცავი ნორმის დარღვევით, რომელიც იცავდა საზოგადოების გვერდით ასევე პარტნიორს. ეს შემთხვევა ძირითადად მაშინ არის სახეზე, როდესაც ზიანის მიყენებელი თავად საზოგადოების მმართველი პირია, რომელიც განზრახ აზიანებს საზოგადოებას და ამით ამავდროულად არღვევს პარტნიორის დამცავ კანონს.⁴² მაგალითად, როდესაც სააქციო საზოგადოების დირექტორი არღვევს სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლს და ამით აყენებს ზიანს როგორც საზოგადოებას, ისე აქციონერს. რაც შეეხება გარეშე პირის მხრიდან საზოგადოებისათვის მიყენებულ ზიანს, ძნელად წარმოსადგენია, ისეთი დამცავი კანონის არსებობა, რომელიც ერთდროულად დაიცავდა საზოგადოებასაც და მის პარტნიორებსაც.

V. გამონაკლისები – არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურება

გამონაკლის შემთხვევებში თავად კანონი ითვალისწინებს იმას, რომ არაპირდაპირ დაზიანებულს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს, შდრ. სკ-ის 832, 844, 1006. გარდა ამისა, არაპირდაპირად დაზიანებულს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 992-ე მუხლის მიხედვით, თუ ეს დარღვეული დამცავი ნორმიდან⁴³ გამომდინარეობს,⁴⁴ როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა.

თუმცა ყველაზე გავრცელებულ გამონაკლისებს ზემოთ მოყვანილი წესიდან „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“ და „მესამე პირის მიმართ

დამცავ ეფექტიანი ხელშეკრულება“ წარმოადგენენ. ეს ორი სამართლებრივი ფიგურა, თავისი კუმულატიურად სავალდებულო წინაპირობების მეშვეობით, კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმას, თუ რა მაღალი თამასა წაეყენება არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, მათი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ მაშინ, როდესაც მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების აკრძალვის პრინციპი უკან იხევს სამართლის სხვა უფრო ზოგადი პრინციპების წინაშე. მაგალითად, ისეთი პრინციპის წინაშე, როგორც არის არსებითად იდენტური შემთხვევების იდენტურად გადანყვევების აუცილებლობა. ამ გამონაკლისის დაშვების აუცილებლობა ვერ დადგება, თუ შემთხვევა სრულად და ამომწურავად არის მოწესრიგებული სამართლის კონკრეტული პრინციპების საფუძველზე, მაგალითად, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ავტოავარიის შედეგად დროებით შრომისუუნარო დასაქმებულს არ შეუძლია დამზიანებლისაგან იმ ზიანის მოთხოვნა, რაც მის დამსაქმებელს ამით მიაღგა⁴⁵ და ამასთან დაკავშირებით ვერც „მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია“ და ვერც „დამცავეფექტიანი“ ხელშეკრულება ვერაფერს შეცვლის. ის, რომ შპს-ის პარტნიორს არ შეიძლება აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც შპს-ს მიაღგა ამომწურავად არის რეგულირებული ამ დარგისათვის იმანენტური კონკრეტული პრინციპების საფუძველზე, იმ გადანყვევების ფარგლებში, რომელსაც ჰქვია „კონგრუენტული ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა“ და მასზე ამ ორი საგამონაკლისო ინსტიტუტის წინაპირობების გავრცელება ყოველად დაუშვებელია.

1. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია

ამგვარად, მხოლოდ აბსოლუტური გამონაკლისის სახით, პრინციპი, რომ გაშუალებულად დაზიანებულ პირს ზიანის ანაზღაურების საკუთარი მოთხოვნის უფლება არ აქვს, უნდა იქნეს უკუგდებული იმისათვის, რათა უშუალოდ დაზარალებულს გაშუალებულად დაზარალებუ-

⁴⁰ BGH NJW 1962, 859; BGH NJW 1987, 1079.

⁴¹ BGH NJW 1987, 1079.

⁴² Kreße, ZEuP 2014, ზემოთ სქ. 32, 517.

⁴³ იხ. დამცავ ნორმასთან დაკავშირებით რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 4/2019, ზემოთ სქ. 4, 5-ე და მომდევნო გვერდები.

⁴⁴ BGHZ 190, 145 Rn. 18.

⁴⁵ D. Looschelders, Schuldrecht AT, 9. Aufl., München 2011, S. 321.

ლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიენიჭოს. დაზარალებულს შეუძლია დამზიანებლისაგან მხოლოდ პირადად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფარგლებში მკაცრი ტიპოლოგიის სახით, რომელიც არაგანზოგადებაუნარიანია, გამოყოფენ რამდენიმე შემთხვევას, როდესაც ზიანი, რომელიც დამზიანებლის კონტრაჰენტს უნდა მისდგომოდა, სხვა პირთან რეალიზდება, რომელსაც, თავის მხრივ, არ აქვს ზიანის ანაზღაურების საკუთარი მოთხოვნის უფლება და თუ მოცემული შედეგი კორექციის გარეშე დარჩებოდა, ეს დამზიანებლის შემთხვევით და გაუმართლებელ პრივილეგირებას (პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას) გამოიწვევდა.⁴⁶ ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად გერმანული სამართლის დოქტრინამ შეიმუშავა ე. წ. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის სამართლებრივი ფიგურა, რომელიც გამოიყენება მაშინ, როდესაც პირს, რომელსაც ადგება ზიანი, არ აქვს მოთხოვნის უფლება, ხოლო მას, ვისაც მოთხოვნის უფლება ექნებოდა, ზიანი არ მისდგომია.⁴⁷ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით ხდება ერთმანეთს აცდენილი ზიანისა და მოთხოვნის უფლების ერთ პირთან (დაზარალებულთან) თავმოყრა.

ამ კონტექსტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია რისკის გადანაწილების ვალდებულებით სამართლებრივი დანაწესები, მაგალითად, 482 II მუხლის შემთხვევა, როდესაც გამყიდველს შეიძლება ჰქონდეს მესამე პირის (დამზიანებლის) მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ისე, რომ რეალურად არ მიადგეს ზიანი.⁴⁸ არაპირდაპირ წარმომადგენელსაც, რომე-

ლიც საკუთარი სახელით მაგრამ სხვისი ანგარიშით დადებული ნასყიდობის ფარგლებში იღებს ნაკლოვან შესრულებას, ამით არ ადგება პირადი ზიანი, თუმცა მას შეუძლია, მოვალეს მოსთხოვოს მთლიანი ზიანისა და მათ შორის იმ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რომელსაც მისი მარნმუნებელი მიიღებდა ამ ნივთის გადაყიდვით.⁴⁹

2. ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული სრული და არასრული ხელშეკრულებისაგან განსხვავდება ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით,⁵⁰ როდესაც ორ პირს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამცავ ვალდებულებათა პროგრამა ვრცელდება ასევე მესამე პირზე. ამგვარი სამკუთხედი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ სპეციფიკური სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევებში. მაგალითად, როდესაც ქირავნობის ურთიერთობა დადო ქმარმა, თუმცა ის მოიცავდა დაქირავებულ ბინაში ასევე ცოლის თანაცხოვრებასაც და გამქირავებლის მხრიდან ქირავნობის დარღვევა სწორედ ცოლს აყენებს ზიანს.⁵¹

ამ შემთხვევაში, მართალია, მესამე პირს არ აქვს თავისი დამოუკიდებელი შესრულების მოთხოვნის უფლება და შესრულება საერთოდ არ ხდება მის წინაშე, თუმცა ამის მიუხედავად, ის

⁴⁶ BGHZ 40, 100.
⁴⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), თბილისი 2019, მუხ. 408 25-ე და მომდევნო ველები.
⁴⁸ OLG Köln NJW-RR 1989, 1457: ა შეუკვეთავს სხვა ქალაქში მცხოვრებ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ბ-ს ორ ცალ კოლაჟს საკუთარი ოფისისათვის. ბ, რომელმაც მიტანის ვალდებულება მხოლოდ ა-ს მოთხოვნის საფუძველზე იკისრა, ნასყიდობის საგნის ტრანსპორტირებას ავალბებს თავის სიძეს გ-ს, რომელიც გამყიდველისკენ გზაზე ბრალეულად გაანადგურებს ჩაბარებულ ნივთებს. მოცემულ შემთხვევაში ბ-ს შეიძლება ჰქონოდა გ-საგან როგორც უსასყიდლო

დავალბის დარღვევის გამო (394 I), ასევე დელიქტური წესით (992) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მას არანაირი ზიანი არ მისდგომია. მყიდველი ნივთის განადგურების შემდეგაც ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი (482 II). ა-ს კი, რომელსაც რეალური ზიანი მიადგა, გ-ს მიმართ არანაირი მოთხოვნის უფლება არ აქვს. ამ უსამართლო შედეგის თავიდან ასაცილებლად ბ-ს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გ-ს მიმართ ა-ზე უნდა გადავიდეს.
⁴⁹ K. Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, Band 1, AT, München 1976, § 27 IVb (3); Oetker, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2016, § 249 Rn. 286.
⁵⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), თბილისი 2019, მუხ. 349 38-ე და მომდევნო ველები.
⁵¹ იხ. გ. რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2020, 230-ე და მომდევნო გვერდები.

იმგვარად არის ჩართული ხელშეკრულების მხარეებს შორის ურთიერთობაში, რომ მასზე ვრცელდება ის დამცავი (გულისხმიერების) ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება მოვალეს უშუალოდ თავისი კრედიტორის წინაშე.⁵² ამ ვალდებულების დარღვევის შედეგია უშუალოდ მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

ხელშეკრულება მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტით უფრო ეფექტურად იცავს მესამე პირის უფლებებს, ვიდრე ამის მიღწევა დელიქტური მოთხოვნით იქნებოდა შესაძლებელი. ეს, პირველ რიგში, ეხება იმ გარემოებას, რომ სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოცულია ასევე ე.წ. „სუფთა სახით“ ქონებრივი ზიანი, რაც დელიქტური მოთხოვნით, ჩვეულებრივ, მოცული არ არის.⁵³ გარდა ამისა, დელიქტურ მოთხოვნაზე არ ვრცელდება მტკიცების ტვირთის შეტრიალება 394 I 2 მუხლის მიხედვით.

ა) სამართლებრივი საფუძველი

მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტიანი ხელშეკრულების ნორმატიული დასაყრდენი თავდაპირველად იყო სკ-ის 349-ე მუხლი, თუმცა მოგვიანებით ეს სამართლებრივი ფიგურა დაემყარა სკ-ის 8 III მუხლზე დაფუძნებულ სამოსამართლო სამართალშემოქმედებას⁵⁴ (ალტერნატივის სახით: ხელშეკრულების განვრცობით განმარტებას⁵⁵).

ბ) დამცავი ეფექტი

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დამცავი ეფექტიანი ხელშეკრულების პირველი წინაპირობაა ვალდებულებითი ურთიერთობა დამზიანებელსა და კრედიტორს შორის. უმნიშვნელოა, სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობას ეხება საქმე თუ კანონისმიერს.

ასევე წინა სახელშეკრულებო ურთიერთობას (სკ-ის 317 II მუხლი) შეიძლება ჰქონდეს მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტი.⁵⁶

მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტი ვალდებულებით ურთიერთობას – იქნება ეს სკ-ის 8 III მუხლზე დაფუძნებული სამართალშემოქმედება თუ ხელშეკრულების შემავსებელი განმარტება – ენიჭება, როდესაც არსებობს შემდეგი წინაპირობები:

1. „კრედიტორის სიახლოვე“ – მესამე პირს ისევე უნდა ეხებოდეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ საფრთხეები, როგორც თვითონ კრედიტორს.⁵⁷ მაგ., ასეთი შემთხვევა გვაქვს სახეზე დამქირავებლის ოჯახის წევრების შემთხვევაში, როდესაც ისინი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობენ.⁵⁸ იგივე წესი ვრცელდება დამქირავებლის პარტნიორზე⁵⁹ ან მის მოსამსახურეზე.⁶⁰ მესამე პირებზე, რომლებიც მხოლოდ შემთხვევით მოხვდნენ შესრულების „სიახლოვეს“ (მოქმედების სფეროში), ეს დაცვა არ ვრცელდება.

2. კრედიტორის ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით – კრედიტორს უნდა ჰქონდეს კანონით დაცული/გამართლებული ინტერესი მესამე პირის დაცვასთან დაკავშირებით. თუ მხარეებს ამასთან დაკავშირებით არაფერი შეუთანხმებიათ, ეს ინტერესი ხელშეკრულების შემავსებელი განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს; კერძოდ, უნდა მოხდეს თუ არა შესრულების განხორციელებისას მესამე პირების ინტერესების გათვალისწინება.⁶¹ გამართლებული ინტერესი სახეზეა, თუ კრედიტორი და მესამე პირი ერთმანეთთან ურთიერთზრუნვის ვალდებულებით არიან დაკავშირებული (მაგ.: საოჯახო, შრომითი ან ქირავნობის ურთიერთობა), რომლის ფარგლებშიც კრედიტორი პასუხს აგებს მესამე პირის კეთილდღეობისათვის.⁶² ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ გერმანული სასამართლო უშვებს ასევე ექსპერტის პასუხისმგებლობას მესამე

⁵² BGHZ 66, 56; BGHZ 89, 104; BGHZ 133, 170; BGH NJW 1995, 52.

⁵³ იხ. გ. რუსიაშვილი/დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 199-ე და მომდევნო გვერდები, 237.

⁵⁴ W. Bayer, Vertraglicher Drittschutz, JuS 1996, 475.

⁵⁵ BGHZ 56, 273.

⁵⁶ BT-Drucks 14/6040, 163.

⁵⁷ BGHZ 70, 329; BGH NJW 96, 2928.

⁵⁸ BGHZ 49, 279.

⁵⁹ OLG Hamburg NJW-RR 88, 1482.

⁶⁰ BGHZ 61, 233.

⁶¹ BGH NJW 96, 2928.

⁶² BGHZ 56, 273.

პირის წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ საექსპერტო დასკვნის დამკვეთსა და მესამე პირს შეიძლება საპირისპირო ინტერესები ამოძრავებდეთ.⁶³ აქ აუცილებელია, რომ დასაცავ პირთა წრე ცალსახად იყოს შემოსაზღვრადი.⁶⁴

3. „შეცნობადობა მოვალისათვის“ – ზემოხსენებული ორი ელემენტი მოვალისათვის უნდა შეცნობადი იყოს, რათა მან ჯეროვნად შეაფასოს რისკები. დამცავი ვალდებულება შემოიფარგლება წინასწარგანჭვრეტადი და ცალსახად გამიჯვანადი პირთა წრით, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ მოვალემ იცოდეს ამ მესამე პირთა ზუსტი რაოდენობა და სახელები.

4. მესამე პირი უნდა საჭიროებდეს დაცვას – მესამე პირს არ უნდა ჰქონდეს საკუთარი სახელშეკრულებო, იმავე შინაარსისა და მოცულობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ,⁶⁵ რაც მას ექნებოდა მისი ხელშეკრულების დაცვის სფეროში ჩართვის შემთხვევაში.⁶⁶ ამ კრიტერიუმის გამო, მაგ., ქვემოქირავე არ არის ჩართული მთავარი ქირავნობის ხელშეკრულებით დაცულ სფეროში. უმნიშვნელოა, არის თუ არა სხვა საფუძვლიდან წარმომდგარი მოთხოვნის უფლებები რეალიზებადი. საკუთარი სახელშეკრულებო კონტრაქტის მხრიდან პასუხისმგებლობის გამორიცხვისა და მისი გაკოტრების შემთხვევაშიც კი არ იმსახურებს მესამე პირი დაცვას და ამ საფუძვლით სხვა პირებს შორის არსებული ხელშეკრულების დაცვითი სფეროს მასზე გავრცელებას. ზემო მოყვანილ შემთხვევაში შპს-ის პარტნიორისათვის მიყენებული ირიბი ზიანი ანაზღაურებადი ვერ იქნება სწორედ ამ წინა-

პირობის არარსებობის გამო – მართლწესრიგი ზუსტად განსაზღვრავს, რომ კონგრუენტული ზიანი მხოლოდ შპს-ს უნდა აუნაზღაურდეს და არ იცავს ამ ზიანისაგან მის პარტნიორს. საკამათოა და ჯერჯერობით გადაუწყვეტელია საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა ნასყიდობიდან და ნარდობიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები თანაზომიერად (ანუ თანაბარი წონის მქონედ, რაც გამორიცხავდა ერთი ხელშეკრულების მხარის მეორე ხელშეკრულებით დაცულ სფეროში მესამე პირად ჩართვას).⁶⁷

გ) სამართლებრივი შედეგები

მესამე პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ ზემოთ მოყვანილ ელემენტებთან ერთად სახეზეა ზიანის ანაზღაურების სხვა წინაპირობები (მაგ., 394). 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება პიროვნული, ქონებრივი და ნივთობრივი ზიანი, ისევე როგორც მორალური ზიანი. კანონის ან გარიგებისმიერი პასუხისმგებლობის შერბილება მოქმედებს ასევე მესამე პირის საზიანოდაც.⁶⁸ 396-ე მუხლის წინაპირობების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მესამე პირის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მცირდება არა მხოლოდ საკუთარი თანაბრალეულობის (415), არამედ ასევე კრედიტორი თანაბრალეულობის შესაბამისად, რადგან დაზარალებულ მესამე პირს არ შეიძლება ჰქონდეს იმაზე მეტის მოთხოვნის უფლება, ვიდრე ეს კრედიტორს შეუძლია.⁶⁹

⁶³ მაგ. გამყიდველი შეუკვეთს დასკვნას არქიტექტორს სახლის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელსაც მიენდობა მყიდველი და იყიდის სახლს არარეალურ ფასად.

⁶⁴ BGH NJW 84, 356; BGH NJW 98, 1062; BGH NJW-RR 03, 1035.

⁶⁵ BGH NJW 2004, 3632.

⁶⁶ BGHZ 70, 330; BGH NJW 96, 2929.

⁶⁷ შდრ. ამის საწინააღმდეგოდ BGH NJW 93, 656.

⁶⁸ BGHZ 56, 272.

⁶⁹ BGHZ 33, 250.

ალიმენტის გადახდა სკ-ის 1212-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

I. შესავალი

სკ-ის 1212-ე მუხლი, რომელიც ხსნის ალიმენტის შესახებ თავს, აწესებს მშობლების ვალდებულებას არჩინონ საკუთარი შვილები. რჩენის ეს ვალდებულება წარმოადგენს მშობლის ზრუნვის მოვალეობათა პროგრამიდან გამომდინარე ქონებრივი ხასიათის ვალდებულებას – მშობლებს ეკისრებათ არა მხოლოდ შვილის პიროვნებაზე ზრუნვა და მისი არსებული ქონების შესანარჩუნებლად ზომების მიღება, არამედ ასევე მისთვის საკუთარი ქონებიდან სარჩოს მიცემა. ეს ვალდებულება მათ აქვთ ქორწინების არსებობისა¹ და ბავშვის ამ ქორწინების ფარგლებში დაბადებისაგან დამოუკიდებლად, თუმცა ეს საალიმენტო ვალდებულება შესაძლებელია სასამართლო წესით მოდიფიცირდეს, იმისდა მიხედვით, თუ ვისთან ცხოვრობს ბავშვი განქორწინების შემდეგ და ვის აწევს მასზე ძირითადი ზრუნვა – ამ შემთხვევაში მეორე მხარეს ეკისრება პიროვნული ზრუნვის ნაკლებობის კომპენსირება ფულადი თანამონაწილეობით.

მშობლების ამ საალიმენტო ვალდებულების საპირწონედ, სკ-ის 1218-ე და მომდევნო მუხლები ითვალისწინებენ, თავის მხრივ, შვილის ვალდებულებას არჩინოს საკუთარი, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მშობლები. ამ ორ რეგულატორულ კომპლექსს შორის კორელაცია ცალსახაა და თავად სკ-ის 1218-ე მუხლშია დაფიქსირებული. კერძოდ, სკ-ის 1218 III, IV მუხლის მიხედვით, მშობელს არ შეუძლია მოითხოვოს ალიმენტი შვილისაგან თუ სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებ-

დნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება. მაგრამ მშობლის უფლების ჩამორთმევა მშობელს არ ათავისუფლებს ალიმენტის გადახდის ვალდებულებისაგან.

ზოგადი პრინციპის თანახმად, ყველამ თავად უნდა ირჩინოს და იზრუნოს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მხოლოდ მას, ვისაც ამის უნარი არ შესწევს, აქვს დახმარების მოთხოვნის უფლება. სკ-ის 1212-ე მუხლით გათვალისწინებული საალიმენტო მოთხოვნის წინაპირობებია: 1. მშობლიური ნათესაური კავშირის არსებობა; 2. შვილის არასრულწლოვანება ან სხვა მიზეზით გამონკვეული მატერიალური საჭიროება; 3. მშობლის ფინანსური შესაძლებლობა. სკ-ის 1212-ე მუხლის ფორმულირების მიხედვით, არასრულწლოვანი შვილისათვის ალიმენტის გადახდის წინაპირობას არ წარმოადგენს ამის მატერიალური საჭიროება, ანუ ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი რეალურად საჭიროებდეს ამ დახმარებას. თუმცა ეს ასე არ არის.

II. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

მშობლებს შორის შვილისათვის გადასახდელ ალიმენტთან დაკავშირებით შეუთანხმებლობისას, საკითხს წყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმად გამოიყენება შვილის მოთხოვნილებები (მატერიალური საჭიროება) და მშობლების მატერიალური სახსარი.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის განჩინება № ას-1875-2018.

1. მატერიალური საჭიროება

ა) სრულწლოვანი შვილი

სრულწლოვანს აწევს ვალდებულება იღონოს ყველაფერი, რათა ჰქონდეს თავის რჩენისა და საკუთარი ყოფითი მოთხოვნილებების საკუთარი სახსრებით დაკმაყოფილების საშუალება. შემოსავლისა და სამუშაოს ქონის შესაძლებლობა ამცირებს მატერიალურ საჭიროებას (სკ-ის 1214 3 მუხლი).² ამის ქვეშ იგულისხმება ყველა შესაძლო საქმიანობა, რომლით დაკავებაც მას შეიძლება მოეთხოვოს (მაგალითად, დამლაგებლობა, ნაგვის გატანა და ა. შ.), არა მხოლოდ მის მიერ არჩეული ცხოვრებისეული ყაიდის შესაბამისი³ – მოცულია ასევე ისეთი საქმიანობაც, რომელიც არ შეესაბამება შვილის მიერ არჩეულ პროფესიას, საქმიანობა საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, თუ ეს არ არის გამორიცხული საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სრულწლოვანს აქვს განათლების მიღების დასრულების შემდეგ ორიდან სამ თვემდე საორიენტაციო პერიოდი.⁴ გარდა ამისა, მას არ აწევს დასაქმების ვალდებულება, თუ სკოლის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ აპირებს შემდგომ საფეხურზე განათლების გაგრძელებას. ასევე სრულწლოვან ქალიშვილს, რომელიც პატარა ბავშვს ზრდის, ამ ბავშვის მიერ სამი წლის ასაკის მიღწევამდე არ აწევს დასაქმების ვალდებულება. მშობლების მიერ დასაფინანსებელი განათლების მიღების პერიოდში სრულწლოვანს ასევე არ აწევს პარალელურად სამუშაოს შოვნის ვალდებულება, თუმცა ეს ვალდებულება აწევს ამ განათლების დროებით ან ხანგრძლივი დროით შეწყვეტის პერიოდში.⁵ განათლების მიღებიდან გამომდინარე შემოსავალი (ანაზღაურებადი პრაქტიკა, პროფესიით მუშაობა მცირე სამუშაოზე) ამცირებს მატერიალურ საჭიროებას,⁶ ისევე, როგო-

რც სახელმწიფოს მიერ გადახდილი ბავშვის მოვლისა თუ სახვა სოციალური დამხმარების ხასიათის მქონე შემოსავალი.⁷

შვილის არსებული ქონება, ზოგადად, ამცირებს მატერიალურ საჭიროებას. ამასთან, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ამ ქონების სრულებით გაუმართლებელი რეალიზაცია, თუმცა ამ გაუმართლებელი რეალიზაციის თამასა საკმაოდ მაღალია.⁸ გარდა ამისა, არასრულწლოვან შვილს უნდა დარჩეს ე. წ. „შავი დღისათვის გადანახული“.⁹ თუ არასრულწლოვანი ანიავეს საკუთარ ქონებას და არ იყენებს მას საკუთარი ყოფითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის „მატერიალური საჭიროების“ ნორმატიული ცნების ფარგლებში ეს ქონება ჯერ კიდევ არსებულად უნდა ჩაითვალოს და ამცირებს ამ საჭიროებას.¹⁰

სამხედრო სამსახურში მყოფი შვილის მოთხოვნილებები დაფარულია თავად ამ სამსახურში მისი რჩენით.¹¹ გამონაკლისს წარმოადგენს მშობლების ფინანსური მდგომარეობა ან შვილის განსაკუთრებული მოთხოვნილება, მაგალითად, დამატებითი ხელობის ათვისება სამხედრო სამსახურის განმავლობაში.

ბ) არასრულწლოვანი

არასრულწლოვანს მხოლოდ მაშინ აწევს დასაქმების ვალდებულება, თუ მას არ აქვს მოთხოვნა შესაბამისი პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, განათლების სხვადასხვა საფეხურს შორის შუალედებში დასაშვებია ასევე შემოსავლის მომტანი საქმიანობით დაკავება.¹² დროებითი და მცირე სამუშაოს მომტანი საქმიანობა (გაზეთების ან ბუკლეტების დარიგება) არ აქარწყლებს მატერიალურ საჭიროებას.

ქონების ფლობა არასრულწლოვნის შემთხვევაშიც ამცირებს მის მატერიალურ საჭიროებას. თუმცა არასრულწლოვანს, განსხვავე-

² OLG Karlsruhe NJW 2012, 1599.

³ BGHZ 93, 127.

⁴ OLG Karlsruhe. NJW 2012, 1599.

⁵ OLG Karlsruhe NJW 2012, 1599.

⁶ BGH NJW 2006, 58.

⁷ BGH NJW 2006, 60; OLG Brandenburg NJW 2008, 84.

⁸ OLG Jena NJW-RR 2016, 975.

⁹ OLG Zweibrücken FamRZ 2016, 726.

¹⁰ OLG Zweibrücken FamRZ 2016, 726.

¹¹ BGH NJW 1990, 714.

¹² OLG Düsseldorf FamRZ 2000, 442.

ბით სრულწლოვანისაგან, მშობლებისაგან სარჩოს მოთხოვნისას საჭიროებიდან არ გამოეკვეთება ქონების ბირთვული ნაწილი (მაგ., სახლი) არამედ მხოლოდ ამ ქონებიდან მიღებული სარგებელი (სახლის ქირა), ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არის აუცილებელი ქონების მმართველისა და სუბსტანციის შენარჩუნებისათვის.¹³

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დახმარების შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, არის თუ არა მისი მიზანი მატერიალური საჭიროების მქონის მდგომარეობის გაუმჯობესება და ალიმენტის გადამხდელის მისი ვალდებულებებისაგან გათავისუფლება.

სოციალური დახმარება განიხილება, როგორც ყველა სხვა შემოსავალი, რამდენადაც ის გამიზნულია შვილის მოთხოვნილებების დაფარვისათვის და არ ატარებს მხოლოდ სუბსიდიურ ხასიათს.¹⁴ დახმარების მიღებაზე უფლებამოსილ პირს ეკისრება ვალდებულება მოითხოვოს ის,¹⁵ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ დახმარების ფიქტიური რაოდენობა გამოაკლდება მის „მატერიალურ საჭიროებას“. ბავშვის აღზრდისათვის მიღებული სოციალური დახმარება არ არის ბავშვის შემოსავალი, არამედ დედის, და ზრდის მის გადამხდელუნარიანობას. სახელმწიფო სტიპენდიები და ა. შ. ამცირებენ საჭიროებას. ცალკეულ შემთხვევაში ამ საჭიროების შემამცირებელი შეიძლება იყოს ხელსაყრელი პირობებით გაცემული სესხიც კი სახელმწიფოს მხრიდან.¹⁶

თუ ალიმენტს იხდის პირველი რიგის ალიმენტის მოვალე (მშობელი) მაშინ მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალის მიმართ (სკ-ის 1223-ე და მომდევნო) ალიმენტის მოთხოვნა აღარ არსებობს, მატერიალური საჭიროების არარსებობის გამო. ამის საპირისპიროდ, თუ მშობლის მაგივრად იხდის სხვა პირი, რომელსაც დაეკისრებოდა ალიმენტის გადახდა სკ-ის 1223-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანუ მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალე, ის არ შეეარაცხება წინა მოვალეს, არამედ, წესით, მასზე უნდა გა-

დავიდეს წინა ალიმენტის მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდა ხდება სწორედ ამ წინა მოვალის გათავისუფლების მიზნით (მაგალითად, ბებია და პაპა იხდის იმისათვის, რათა გაათავისუფლონ მამა ამ გადახდის ვალდებულებისაგან).

მესამე პირების სხვა შესრულებები, რომლის გადახდაც ხდება ალიმენტზე უფლებამოსილი პირისათვის, არ ამცირებენ მის საჭიროებას. მაგალითის სახით შეიძლება მეორე მხარის ნათესავთა მხრიდან ჩუქებების ან სხვაგვარი შემონირულობების მოყვანა. ისინი არ ამცირებენ მატერიალურ საჭიროებას, თუ მათი განხორციელება იმ მიზნით ხდება, რათა მიანიჭოს ალიმენტზე უფლებამოსილ პირს ცხოვრების უფრო მაღალი დონე.¹⁷ განსხვავებულადაა საქმე იმ შემთხვევაში, თუ ეს შესრულებები პერიოდულ ხასიათს ატარებს.

იმ პირმა, რომელიც ითხოვს სარჩოს, უნდა ამტკიცოს ნათესაური კავშირი და მისი მატერიალური საჭიროება, მონინააღმდეგე მხარემ – ფინანსური სახსრის არქონა¹⁸ ან სხვა, ალიმენტის გადახდაზე უპირატესად ვალდებული პირის არსებობა.

III. შვილების მოვალეობა მშობლების მიმართ

მშობლების ყოვლისმომცველი და უპირობო რჩენის ვალდებულების საპირწონედ, სკ-ის 1218-ე და მომდევნო მუხლები აწესრიგებენ შვილ(ებ)ის ვალდებულებას არჩინოს საკუთარი მშობლები. სკ-ის 1218-ე მუხლის 1-ელ ნაწილში გამოთქმული ეს მაქსიმა კონკრეტდება მის მეორე ნაწილში – რჩენის ვალდებულება არსებობს მაშინ, როდესაც: 1. შვილი არის სრულწლოვანი და 2. მშობლები საჭიროებენ დახმარებას. ამ მითითების საფუძველზე შესაბამისად მოქმედებს მშობლების ალიმენტის ფარგლებში განვითარებული „მატერიალური საჭიროებისა“ და „მატერიალური სახსრის“ პრინციპები.

¹³ OLG Hamm NJW 2007, 1217.

¹⁴ BGH NJW-RR 1993, 322.

¹⁵ BGH FamRZ 2015, 1467 [1469].

¹⁶ BGH NJW 1985, 2331; OLG Hamm NJW 2014, 397.

¹⁷ OLG Hamm FamRZ 1998, 767.

¹⁸ BGH FamRZ 2017, 109.

მშობლების მიმართ ალიმენტის გადახდის ვალდებულება არ მოქმედებს უპირობოდ, განსხვავებით შვილის რჩენის ვალდებულებისაგან, და შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, თუ ისინი თავის დროზე თავს არ არიდებენ შვილის რჩენასა და მის წინაშე სხვა მოვალეობების შესრულებას და არ ჰქონიათ ჩამორთმეული მშობლის უფლება.

არასრულწლოვან შვილს მშობლის რჩენის ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ აბსოლუტურ გამონაკლის შემთხვევებში, კერძოდ, მხოლოდ მაშინ, თუ ფლობს ქონებას, რომელიც შემოსავლის მომტანია.

მშობლების მარჩენალ შვილს უნდა დარჩეს ე. წ. „შავი დღის ფული“.¹⁹ გარდა ამისა, მშობლის რჩენისას შვილი არ არის ვალდებული უკვალოდ გახარჯოს საკუთარი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ალიმენტის გადახდის ვალდებულება შვილებს ჩვეულებრივ უკვე ასაკში „უსწრებთ“, როდესაც ამ ქონების თავიდან შეგროვების შანსი გაცილებით ნაკლებია.²⁰ გამომდინარე აქედან, მშობლების რჩენისას ხდება ალიმენტის გადამხდელის ვალდებულებისათვის „თავის შენახვის ფულის“ ოდენობის გამოკლება. მისი კონკრეტული ფარგლები სასამართლოს დასადგენია.²¹ დაქორწინებული ალიმენტის მოვალის მატერიალური სახსარი მშობლებისათვის გადასახდელ ალიმენტთან მიმართებით, იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ შემოსავალს ფლობს, გამოითვლება ოჯახის ინდივიდუალური აუცილებლობების გათვალისწინებით.²² თუ მას არ აქვს საკუთარი შემოსავალი, მაშინ მშობლების რჩენისათვის თავისი ჯიბის ფული უნდა გამოიყენოს, თუმცა ამასთან, შვილისაგან რჩენის გადახდის მოთხოვნა დაუშვებელია, თუ ეს მარჩენალს იმდენად გააღარიბებდა, რომ ჩასწევდა მას სიღარიბის ზღვარს მიღმა და სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულად აქცევდა.²³

IV. სარჩელი ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ

სკ-ის 1214-ე მუხლში წამოყენებული შემდეგი კრიტერიუმი, რომელიც გაითვალისწინება მშობლების მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, არის მათი ფინანსური შესაძლებლობები (სკ-ის 1214 3 მუხლი). მატერიალური სახსარი შედგება შემოსავლისა და ქონებისაგან. სკ-ის 1221-ე მუხლიც თავიდან აკეთებს ამ მატერიალურ სახსარზე აქცენტს, ამჯერად მშობლის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემცირების მოთხოვნისას.

1. შემოსავალი

შემოსავლის პირველი და მთავარი წყარო, რა თქმა უნდა, თანამედროვე სამყაროში უმრავლესობისათვის არის შრომითი საქმიანობა. გადამწყვეტია ხელფასის ბრუტო რაოდენობა, პრემიების, დამატებითი საათებისა და ა. შ. ჩათვლით. გამოქვითვაუნარიანია ყველა სამუშაოსთან დაკავშირებული დანახარჯები (მგზავრობის ხარჯები²⁴ და ა. შ.).

ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს აწევს მოვალეობა, მაქსიმალურად ხელსაყრელად (მათი მოგების მომტანად) გამოიყენოს საკუთარი შრომა.²⁵ მას შეიძლება მოეთხოვოს ბინის შეცვლა, მუშაობა არა საკუთარი პროფესიით,²⁶ ასევე კვირაში 48 საათამდე მუშაობა დამატებით საქმიანობასთან ერთად.²⁷ ვალდებულმა პირმა სერიოზული განზრახვით უნდა მოკიდოს ხელი სამუშაოს მოძებნას.²⁸ ეს განზრახვა არ არის სახეზე ე. წ. „ბრმა ძებნისას“ (CV-დაგზავნა ყველა ვაკანსიაზე). ალიმენტის გადახდის ვალდებულება მატერიალური სახსრის არარსებობის გამო უქმდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს რეალური დასაქმების შესაძლებლობა. სამუშაოზე ნებაყოფლობით უარის თქმა საჭიროებს გონივრულ საფუძველს. თუ ვალდებული პირი არ კიდებს ხელს

¹⁹ BGH FamRZ 2015, 1174; NJW 2013, 3027.

²⁰ BGH FamRZ 2016, 888.

²¹ შდრ. BGH NJW 2003, 131; BGH NJW 2014, 1176; BGH FamRZ 2016, 889.

²² BGH NJW 2010, 3161; BGH NJW 2014, 1173.

²³ BGHZ 111, 194; BVerfG FamRZ 2001, 1685.

²⁴ OLG Bremen NJW 2008, 1237.

²⁵ BGH NJW 2013, 531.

²⁶ BGH NJW 2004, 1160.

²⁷ OLG Köln NJW 2007, 445.

²⁸ OLG Hamm FamRZ 2017, 618.

კონკრეტულ სიტუაციაში გამართლებულ და გონივრულ დამატებით სამუშაოს, მას შეერაცხება მისგან მისაღები ფიქტიური შემოსავალი და ეს ზრდის მის მატერიალურ სახსარს.²⁹ დამოუკიდებელი ბიზნესისა თუ ზოგადად საქმიანობის წამოწყება გამართლებულია, მიუხედავად შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა, თუ ეს წამოწყება თვითდასრულებული უპერსპექტივო არ იყო და ვალდებულ პირს არ შეერაცხება „თავქარიანი“ გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით.³⁰ არანებაყოფლობით სამუშაოს დაკარგვა არ გაითვალისწინება მხოლოდ მაშინ, თუ ვალდებულის მხრიდან სახეზეა ბრალის მძიმე ფორმა, უმნიშვნელოა ალკოჰოლთან დაკავშირებული პრობლემები³¹ ან ქურდობა.³²

წინა ქორწინებაში შექმნილი შვილების მიმართ ალიმენტის გადახდის ვალდებულება ძალაში რჩება მას შემდეგაც, რაც ქმარი ან ცოლი ამჟამინდელ ქორწინებაში არა „შემომტანის“, არამედ დიასახლისის როლშია. ამ როლების უმიზეზოდ ცვლილებისას მანამდე არსებული შემოსავალი ვალდებულ პირს შეერაცხება ფიქტიური ოდენობით.³³ ცალკეულ შემთხვევებში მას მოეთხოვება მარტივი დამატებითი სამუშაოს კისრება.³⁴

მშობლის მხრიდან მოვლა არ ათავისუფლებს მას ბავშვის რჩენის ფარგლებში მოგების მომტანი საქმიანობისათვის ხელის მოკიდებისაგან.³⁵ ზოგადად, თითოეული მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს ეგზისტენციალური მინიმუმით მეორე მშობელთან მცხოვრები ბავშვი მაშინაც კი, როდესაც თვითონ სხვა საერთო შვილზე ზრუნვითაა დაკავებული. გამონაკლისი დაიშვება, თუ ბავშვი, რომელიც შეთანხმების საფუძველზე ჯერ ერთ მშობელთან ცხოვრობდა და რომლის რჩენაც ამ მშობლის მიერ მის მოვლაში გამოიხატებოდა, სხვა მშო-

ბელთან გადავა.³⁶ თუ პირადად მზრუნველი მშობლის შემოსავალი ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ალიმენტის ფულით გადამხდელისა, მაშინ ამ უკანასკნელის ვალდებულება შეიძლება საერთოდ გაქარწყლდეს.³⁷ მზრუნველი მშობლის ნაწილობრივ ან სრულად დავალდებულება – გადაიხადოს ასევე ფულადი ალიმენტი, შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ამის გარეშე იარსებებდა მნიშვნელოვანი ფინანსური უთანასწორობა მშობლებს შორის.

შემოსავლის ქონის მოვალეობა არ არსებობს ხანგრძლივი ავადმყოფობისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრული განაკვეთით მუშაობა დასაშვებია.³⁸

თვითდასაქმებულის შემთხვევაში, გამომდინარე შემოსავლის მერყევი ხასიათიდან, გადამწყვეტია წინა სამი წლის საშუალო შემოსავალი.³⁹ გადამწყვეტია რეალური შემოსავალი და არა საგადასახადო დეკლარაციაში შეტანილი.

2. ქონება

ქონება და მისგან მიღებული შემოსავალი შეერაცხება ვალდებულ პირს და განაპირობებს მის მატერიალურ სახსარს. მაგალითად, ამ ქონების გაქირავებითა და იჯარით გაცემით მიღებული შემოსავლები, გადასახადების დაზღვევისა და კომუნალური გადასახადების გამოკლებით. ამასთან, ალიმენტზე ვალდებულ პირს ეკისრება მოვალეობა, თვისი ქონება შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად მოგების მომტანად დააბანდოს.⁴⁰ მატერიალური სახსრის დაანგარიშებისას გაითვალისწინება ასევე საკუთარ ბინაში ქირის გარეშე ცხოვრების შესაძლებლობა, როგორც უპირატესობა.⁴¹ ზოგადად, არსებობს ქონების რეალიზაციის (გაყიდვის) ვალდებულებაც (მაგალითად, აგარაკი უნდა გასხვისდეს⁴²), მაგრამ არ არსებობს

²⁹ BGH FamRZ 2009, 316; BGH NJW 2014, 3785.

³⁰ BGH NJW 2003, 3124.

³¹ BGH NJW 1994, 258.

³² BGH NJW 1993, 1974.

³³ BGH NJW 2015, 1178.

³⁴ BGH NJW 2004, 1160; BGH NJW 2015, 1179.

³⁵ BGH FamRZ 2017, 111.

³⁶ OLG Hamm NJW 2006, 3075.

³⁷ OLG Brandenburg NJW 2007, 85; OLG Dresden FamRZ 2016, 1174; BGH NJW 2013, 2898.

³⁸ BGH FamRZ 2017, 110.

³⁹ BGH NJW 1985, 910.

⁴⁰ BGH NJW 2013, 531.

⁴¹ BGH NJW 2014, 1531.

⁴² BGH NJW-RR 1986, 66.

ვალდებულება წამგებიანად და ჩალის ფასად რეალიზებისა, რომელიც მესაკუთრეს შემოსავლის მიღების შანსს აკარგვინებს.⁴³ ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია, აილოს ასევე კრედიტი და დატვირთოს მის უზრუნველსაყოფად საკუთარი ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის უკვე ისედაც ვალაუვალია და არსებული ვალდებულების დაფარვა სრულებით სცდება მის ფინანსურს შესაძლებლობებს.⁴⁴ არ არის ვალდებული დატვირთოს საკუთარი უძრავი ქონება ვალის ასაღებად, თუ ეს ქონება საკუთარი სიბერის უზრუნველსაყოფად სჭირდება.⁴⁵

3. ზღვარი

ალიმენტის მოთხოვნის ფარგლების განსაზღვრისათვის ზღვარი გამომდინარეობს სხვა ვალდებულებებიდან:

ეს, პირველ რიგში, გულისმობს სხვა, უპირატესი რანგის მქონე საალიმენტო მოთხოვნების გამოკლებას იმ მატერიალური მოცემულობიდან, საიდანაც გამოითვლება ალიმენტი. ამის საპირისპიროდ, ბავშვზე ზრუნვა, პირდაპირ, არ იწვევს შემოსავლის შემცირებას, რადგან ის ფულის გადახდისაკენ არ არის მიმართული (არ ხდება მონეტიზაცია). შემოსავალს უდნა გამოაკლდეს მხოლოდ სხვა წყაროებიდან დაუფარავი ალიმენტი, რომელიც ფულით ან ნატურით არის გადასახდელი.⁴⁶ ასევე უნდა გამოაკლდეს საკუთარი თავის რჩენის ხარჯები („თავის შენახვის ფული“). ეს თავის შენახვის ფული შეიძლება შემცირდეს და, ცალკეულ შემთხვევებში, საარსებო მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.⁴⁷

აუცილებელია, სასამართლომ შეიმუშაოს გარკვეული ცხრილი, თუ რა ჩაითვლება სრულწლოვანი შვილისათვის გადასახდელი ალიმენტის შემთხვევაში „თავის შენახვის ფულად“ და რა ჩაითვლება – არასრულწლოვანის შემთხვევაში.

ალიმენტის მოვალის ვალეები გაითვალისწინება და ამცირებენ საალიმენტო ვალდებულებას, თუ მათ გამო შემცირებულია იმ სახსრების ოდენობა, რომელიც არის რეალურად ალიმენტის მოვალის თავისუფალ განკარგვაში და ამით ამცირებენ მის ცხოვრების სტანდარტს.⁴⁸ ამასთან, აუცილებელია ინტერესთა ყოვლისმომცველი ანონ-დანონვა, ვალდებულების მიზნის გათვალისწინებით, ვალდებულების წარმოშობის დრო და სახე და ის ფაქტი, იცოდა თუ არა ამ მომენტში ალიმენტის მოვალემ თავისი საალიმენტო ვალდებულების შესახებ.⁴⁹ მაგალითად, ალიმენტის ვალდებულებისაგან გამოკლებადი არ არის ლიზინგის პროცენტები ლიზინგით აღებული მანქანისათვის, თუ ვალდებულ პირს შეეძლო თვიდან აერიდებინა ის იაფასიანი მანქანით თუ საზოგადო ტრანსპორტით სარგებლობის გზით.⁵⁰

V. ალიმენტის ოდენობის შეცვლა მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო

სკ-ის 1222-ე მუხლის მიხედვით, მშობლების მიერ სრულწლოვანი, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე შვილის სასარგებლოდ ან მშობლების სასარგებლოდ შვილის მიერ გადასახდელი ალიმენტის რაოდენობა შეიძლება თავიდან გადაიხედოს სასამართლო წესით და შეიცვალოს ერთი ან მეორე მხარის მატერიალური მდგომარეობის ცვლილებისდა მიხედვით.

ალიმენტის გადამხდელის მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის ცვლილება აისახება მის გადახდისუნარიანობაზე და შესაბამისად მის მატერიალურ სახსარზე, ხოლო ალიმენტის მიმღების მდგომარეობის ცვლილება აისახება მის მატერიალურ საჭიროებაზე, რაც ასევე გადამწყვეტია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სკ-ის 1214-ე მუხლის მიხედვით როგორც ერთი, ისე მეორე ცვლილება შეიძლება გახდეს ასევე უკვე დადგენილი ალიმენტის ოდენობის შეცვლის მიზეზი. ეს ცვლილება შეი-

⁴³ BGH FamRZ 2015, 1172.

⁴⁴ BGH NJW 1982, 1641.

⁴⁵ BVerfG FamRZ 2005, 1052.

⁴⁶ BGH FamRZ 2017, 712.

⁴⁷ BGH NJW 2008, 1376.

⁴⁸ BGH FamRZ 2017, 520.

⁴⁹ BGH NJW 2002, 1270.

⁵⁰ BGH NJW 2002, 1270.

ძლება ეხებოდეს, როგორც ალიმენტის გაზრდას, ისე მის შემცირებას.

სამართლებრივი შედეგის სახით დანაწესში პირდაპირ საუბარია მხოლოდ ალიმენტის რაოდენობის ცვლილებაზე, თუმცა ეს მოიცავს ასევე მის სრულ გაუქმებასაც, თუ სარჩენი პირი საერთოდ აღარ საჭიროებს რჩენას ან მარჩენა-ლს მთლიანი სახსრები ამოენურა და არაფრის გადახდა არ შეუძლია.

1. ალიმენტის შემცირება

ალიმენტის შემცირების საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი ნეგატიური ცვლილებები როგორცაა, მაგალითად, გადამხდელის გაკოტრება, სამუშაოს დაკარგვა, შშმ პირად ქცევა და ამით გამოწვეული შრომისუუნარობა და ა. შ. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გადამხდელის მიზეზით და ბრალით გამოწვეული მატერიალური მდგომარეობის გაუარესება ალიმენტის შემცირების მიზეზი ვერ გახდება: მაგალითად, თუ ის ნებაყოფლობით ანებებს თავს შემოსავლის მომტან სამუშაოს, რეალური ალტერნატივის წინასწარ მოძიების გარეშე. გამონაკლისის სახით, სამუშაოსათვის თავის დაწება შეიძლება საპატიოდ ჩაითვალოს, თუ ის ხდება სწავლის გაგრძელებისა და მოგვიანებით უფრო მაღალკვალიფიციურ პროფესიონალად ჩამოყალიბების მიზნით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მაღალკვალიფიციურობა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს მოგვიანებით უკეთესი სამუშაოს შოვნის შანსებთან.

გარდა ამისა, ალიმენტის შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს ისეთი ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება გადამხდელის ოჯახურ სტატუსს ან ცვლილებები, რომლების მნიშვნელოვნად ამცირებენ მის გადახდისუნარიანობას. მაგალითად, დაოჯახება და ახალი საალიმენტო ვალდებულებების წარმოშობა. თუმცა აქაც გასათვალისწინებელია ამ საალიმენტო ვალდებულებების რანგი: მაგალითად, ახალი მეუღლის რჩენის ვალდებულება ვერ „ჩააჩოჩებს“ და ვერ გახდება შვილის რჩენის ვალდებულების შემცირების საფუძველი.

პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც შეიძლება ალიმენტის რაოდენობის შემცირების საფუძველი გახდეს, ძირითადად უკავშირდება ალიმენტის მიმღების შემოსავლის ან ქონების მკვეთრ და არაუკუქცევად ზრდას: განათლების მიღების შემდეგ სამუშაოს დაწყება, მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე სამკვიდროს მიღება და ა. შ.

2. ალიმენტის გაზრდა

ალიმენტის გაზრდის საფუძველი, ზოგადად, ვერ გახდება მხოლოდ პოზიტიური ქონებრივი ცვლილება გადამხდელის მხარეზე, რადგან ალიმენტის განსაზღვრისას, მართალია, მის მდგომარეობას ყურადღება ექცევა, თუმცა ამოსავალი და მთავარი კრიტერიუმი ალიმენტის მიმღების საჭიროებებია. გამონაკლისის სახით, თუ მიმღებს თავის დროზე ვერ დაენიშნა ალიმენტი იმ ოდენობით, რაც აუცილებელი იყო მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, გამომდინარე გადამხდელის დუხჭირი ქონებრივი მდგომარეობიდან, ამ მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ალიმენტის გაზრდა.

თუმცა ალიმენტის გაზრდის სტანდარტული საფუძველია მიმღების მოთხოვნილებების ზრდა, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ალიმენტის მიმღების გაღარიბებით, დაზიანებით გამოწვეული დახეობრებით და ა. შ. ამასთან, აუცილებელია, რომ ეს გაზრდა არ იყოს გამოწვეული მიმღების ბრალით. მაგალითად, წამალდამოკიდებულობით გამოწვეული დაზიანებები, რომლებიც არაგარდამავლად ზრდის ალიმენტის მიმღების მოთხოვნილებებს.

ალიმენტის მიმღების დაოჯახება და, თავის მხრივ, მისი საალიმენტო ვალდებულების წარმოშობა ვერ ჩაითვლება საკმარის საფუძველად გადასახდელი ალიმენტის ოდენობის გაზრდისა. გამონაკლისის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მიმღები დაქორწინდა ისე, რომ ჰქონდა საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენის სახსარი და შემდეგ საკუთარი ბრალის გარეშე დარჩა ამ სახსრის გარეშე. თუმცა პრაქტიკაში ეს შემთხვევა რთული წარმოსადგენია.

3. დანაწესის ანალოგიით გამოყენება

აღსანიშნია, რომ მოცემული დანაწესი გადახედვის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ სრულწლოვანი შვილებისათვის და მშობლებისათვის გადასახდელი ალიმენტის შემთხვევაში, არასრულწლოვანი შვილისათვის გადასახდელი ალიმენტისას ამგვარი გადახედვის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ არის. ეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს კანონმდებლის შეგნებულ გადაწყვეტას და ემყარება იმ მოსაზრებას, რომ არასრულწლოვანის შემთხვევაში მისი მატერიალური თუ ოჯახური მდგომარეობის ცვლილება რთულად წარმოსადგენია, ხოლო ალიმენტის გადამხდელის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება უმნიშვნელოა, რადგან მის ინტერესებს გადაიხადოს ნაკლები ალიმენტი გადანაწესის არასრულწლოვნის ინტერესი მიიღოს ალიმენტი უცვლელი ოდენობით.

გამონაკლისის სახით, როდესაც ცვლილება შეეხო არასრულწლოვნის ფინანსურ მდგომარეობას და ის იმდენად შეიცვალა, რომ აღარ რჩება უმცირესი ეჭვიც კი იმასთან დაკავშირებით, რომ ის არც ამჟამად და არც მომავალში ალიმენტის მიღებას აღარ საჭიროებს, დასაშვებია უნდა იყოს, სკ-ის 1222-ე მუხლის ანალოგიით, სარჩელი ალიმენტის რაოდენობის შემცირებასა თუ გაუქმებასთან დაკავშირებით. მაგალითად: არასრულწლოვნის მიერ ძვირადღირებული სამკვიდროს ან საჩუქრის მიღება, საიდანაც მიღებული შემოსავლიდან მას სრულად შეუძლია თავის რჩენა, ლატარიის მოგება და ა. შ.

VI. დაძმების ურთიერთრჩენის მოვალეობა

სკ-ის 1223-ე და მომდევნო მუხლები აწესრიგებენ მშობლებსა და შვილებს გარდა სხვა ნათესავენ შორის ალიმენტის გადახდის ვალდებულებას. ალიმენტის მოთხოვნის წინაპირობები აქაც უცვლელი რჩება: 1. ნათესაობა; 2. მატერიალური საჭიროება და 3. ალიმენტის გადახდაზე ვალდებულ პირს უნდა ჰქონდეს შესაბამისი შესაძლებლობა (საკმაო სახსარი). მოცემულ მოთხოვნას სხვა წინაპირობები არ აქვს. განსხვავებით განქორწინების შემდეგ გადასა-

ხდელი სარჩოსაგან, ალიმენტის გადახდა არ ითვალისწინებს დროით ჩარჩოებსა და მონაკვეთებით შემოზღუდვას. ამიტომაც, მიზეზი მატერიალური საჭიროებისა, ჩვეულებრივ, უმნიშვნელოა.

1. სკ-ის 1233-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული საალიმენტო მოთხოვნათა სისტემატიკა და გამართლება

სკ-ის 1223-ე და მომდევნო მუხლებში მოწესრიგებულია არა მხოლოდ პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავენ (სკ-ის 1224, 1225-ე მუხლები) შორის ალიმენტის გადახდის ვალდებულება, არამედ ასევე დაძმებსა, მამინაცვალ-დედინაცვალსა (სკ-ის 1226, 1227-ე მუხლები) და გერს შორის ურთიერთობაში, ასევე ფაქტობრივ აღმზრდელსა და აღზრდილს შორის (სკ-ის 1229-ე მუხლი).

ამით ქართველი კანონმდებელი უხვევს გერმანული გადაწყვეტისაგან, სადაც მხოლოდ პირდაპირი ხაზის ნათესავენ შორის არსებობს საალიმენტო მოთხოვნა.⁵¹ განსხვავება განპირობებულია ოჯახური და ზოგადად ნათესაური კავშირების განსხვავებული სოციო-კულტურული ალქმით. მაგალითად, მაშინ როდესაც გერმანელები საალიმენტო მოთხოვნას ავრცელებენ „დიდ“ ბებია და პეპერაზე, ქართველი კანონმდებელი ამ ვალდებულებებს მხოლოდ ბებია-პაპაზე წყვეტს (სკ-ის 1224, 1225-ე მუხლები),⁵² რაც სამართლის დოგმატიკის მიღმა მდებარე საკითხია. გარკვეული გაგებით ქართველი კანონმდებელი უფრო შორს არის ტრადიციული ოჯახური მოდელისაგან, სადაც რამდენიმე თაობას პირადი ურთიერთობა და „ამაგი“ აკავშირებს, რაც წარმოადგენს საალიმენტო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს. ამის საპირისპიროდ, ქართველი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მამინაცვალსა და გერს შორის ეს საერთო ოჯახური კავშირი უფრო ხშირია თანამედროვე სამყაროში, ვიდრე „დიდ“ ბებიასა და

⁵¹ შდრ. გსკ-ის 1601-ე პარაგრაფი.
⁵² თუმცა საკითხავია, ხომ არ იგულისხმება ბებია-პაპაში ასევე „დიდი“ ბებია და პეპერა და ეს ცნება მხოლოდ ლიტერატურული ტერმინის შერჩევის აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

შვილიშვილს შორის. გერმანელები ასევე არ იცნობენ საალიმენტო ვალდებულებებს და-ძმას შორის, რაც განპირობებულია ზემოთ აღნიშნული აღმზრდელითი მომენტის არარსებობით. ამის საპირისპიროდ, ქართველი კანონმდებელი მიიჩნევს, რომ და-ძმას შორის სისხლისმიერი კავშირი გადამწყვეტი და საკმარისია ალიმენტის მოთხოვნის მინიჭებისათვის.

საალიმენტო მოთხოვნა არ ვრცელდება გვერდითი ხაზის ისეთ ნათესავეებზე, როგორც არის ბიძა, მამიდა, ბიძაშვილი და ა. შ., ასევე მეუღლის ნათესავეებსა თუ შვილების ქორწინებით დანათესავეებულ პირებზე, თუმცა, გამოწვევის სახით, ამ პირებისათვის უსაფუძვლოდ გადახდილი ალიმენტის უკუმოთხოვნა შეიძლება გამოირიცხოს სკ-ის 976 II ა) მუხლის საფუძველზე.

2. საალიმენტო მოთხოვნათა რიგითობა

ქართველი კანონმდებელი, გერმანელისაგან განსხვავებით, ცალკე დანაწესს არ უჩენს საალიმენტო მოთხოვნათა რანგს. ეს წესები შესაბამის კონკრეტულ მოთხოვნებთანაა მიბმული, მეგალითად პაპისა და ბებუის მიერ შვილიშვილის რჩენის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, თუ მას არ შეუძლია მიიღოს ალიმენტი საკუთარი მშობლების, მეუღლის ან შვილისაგან, რაც წარმოადგენს მათი მოთხოვნის რიგის განმსაზღვრელ დათქმას.

ზოგადად საალიმენტო მოთხოვნათა რანგი შემდეგია:

ა) რიგითობა ვალდებული პირის მიხედვით

პირველ რიგში, მატერიალური საჭიროების მქონე პირის მეუღლე არის ვალდებული არჩინოს ის (სკ-ის 1182-ე და მომდევნო მუხლები). ეს ვალდებულება ძალაშია განქორწინების შემთხვევაშიც (სკ-ის 1183-ე მუხლი) და წინ უსწრებს ნათესავეებისაგან ალიმენტის გადახდის მოთხოვნას. მეუღლის მიმართ ალიმენტის მოთხოვნაზე უარის თქმა არ უნდა დააწვეთ ტვირთად სარჩენის ნათესავეებს. სუბსიდიარულად დასაშვებია ასევე მათგან სარჩოს მოთხოვნა, თუ: მეუღლის მიერ გადასახდელი ალიმენტი,

მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, რომელიც ამცირებენ მის საალიმენტო ვალდებულებას, ვერ ფარავს სარჩენის საჭიროებებს ან ქვეყნის შიგნით მეუღლის მიმართ საალიმენტო მოთხოვნის განხორციელება არის გამორიცხული ან მნიშვნელოვნად გართულებული.

შთამომავლები პასუხს აგებენ ნათესაობის ხარისხის მიხედვით, მათი საალიმენტო ვალდებულება წინ უსწრებს მშობლებისა და სხვა აღმავალი ხაზის ნათესავეების ვალდებულებას; ერთმანეთის მიმართაც მათ ასევე ნათესაობის ხარისხის მიხედვით ეკისრებათ საალიმენტო ვალდებულება.

რაც შეეხება აღმავალი ხაზის ნათესავეების ალიმენტთა რიგითობას, მშობელთა საალიმენტო ვალდებულება წინ უსწრებს პაპისა და ბებუის საალიმენტო ვალდებულებას (სკ-ის 1225-ე მუხლი). იხ. ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულებებთან დაკავშირებით დეტალურად ქვევით.

შვილის მოვლის მესამე პირისათვის გადაცემა წარმოშობს ალიმენტის ფულით გადახდის ვალდებულებას.⁵³

თუ წინა რიგის ალიმენტის მოვალე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობის გამო ან მის წინაშე ქვეყნის შიგნით შეუძლებელია სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელება, მას ანაცვლებს შემდეგი რიგის მოვალე. ამ კატეგორიის ქვეშ ექცევა წინა რიგის მოვალის მიერ განზრახ უარის თქმა შემოსავლის მომტან საქმიანობაზე.

ეს წესი მოქმედებს ასევე ერთი და იმავე საფეხურზე მდგომი რამდენიმე მოვალე ნათესავის შემთხვევაში. პაპა და ბებია მხოლოდ მაშინ აგებენ პასუხს, როდესაც ორივე მშობელი უქონელია.

ბ) რიგითობა ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა მიხედვით

მატერიალური სახსარი, როგორც ალიმენტის გადახდის წინაპირობა შეიძლება მარტივად

⁵³ OLG Hamm FamRZ 1991, 104.

ვად ამოიწუროს, თუ ალიმენტის გადახდა აუცილებელი იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე პირისათვის. ამიტომაც, აუცილებელია გარკვეული რიგითობის დაცვა არა მხოლოდ ალიმენტის მოვალეების, არამედ ალიმენტის კრედიტორების სიმრავლის შემთხვევაშიც. განსხვავებით ზემოთ განხილული მოვალეთა რიგითობისგან, კანონი ამ შემთხვევაში თითქმის არანაირ ხელმოსაჭიდს არ იძლევა, რის გამოც ამ ალიმენტზე უფლებამოსილ პირთა რიგითობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი პრინციპებისა და კანონის მიზნიდან გამომდინარე. მათზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი სურათის გამოკვეთა:

ალიმენტზე უფლებამოსილ პირებს შორის პირველ ადგილზე დგანან არასრულწლოვანი შვილები. შვილის ცნების ქვეშ მოიაზრება ყველა, როგორც გენეტიკური, ისე ნაშვილები, ქორწინებაში, თუ მის გარეთ შექმნილი. შვილის რჩენა სარგებლობს აბსოლუტური უპირატესობით და არ არსებობს მასთან გათანაბრებული საალიმენტო მოთხოვნა. ეს გადაწყვეტა გამართლებულია იმით, რომ შვილები საზოგადოების ეკონომიკურად ყველაზე მონყვლადი წევრები არიან და არ ძალუძთ საკუთარი ძალებით წელში გამართვა.⁵⁴ მათ, ზოგადად, არ უთანაბრდებიან სრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილები.⁵⁵

მეორე ადგილას დგანან მშობლები, რომლებიც ბავშვს უვლიან და, აქედან გამომდინარე, აქვთ ალიმენტის მოთხოვნის უფლება. მათ ქვეშ მოიაზრება არსებულ ქორწინებაში ერთ-ერთი მშობლის გარდა, ასევე ცალკე მცხოვრები და განქორწინებული, ისევე როგორც ერთმანეთთან ქორწინებაში არ მყოფი მშობლები. ეს ემყარება იმ გადაწყვეტას, რომ აუცილებელია ქორწინებაში და ქორწინების მიღმა ბავშვების თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება.⁵⁶ ეს ბავშვის მომვლელი მშობლისათვის ძალაში უნდა დარჩეს დამოუკიდებლად მისი საოჯახო-სამართლებრივი სტატუსისა. ცალკეულ შემთხვევაში განხილვისას, ქორწინების საერთო ხანგრძლივობის გარდა, ყურადღება უნდა მიე-

ქცეს იმას, თუ რა ასაკის დაქორწინდნენ მეუღლეები, მათი ასაკი განქორწინების მომენტი-სათვის, ასევე საერთო ბავშვის მოვლისა და აღზრდის ხანგრძლივობა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება.⁵⁷ არ არის აუცილებელი, რომ ქორწინებამ მეუღლეს დააკარგინოს საკუთარი შემოსავლის ქონის შანსი. მეორე რიგის მინიჭებისათვის საკმარისია, თუ ქორწინება არსებობდა დიდი ხნის განმავლობაში.

ერთი და იმავე რანგის ფარგლებში ყველა ალიმენტის კრედიტორი ერთნაირი სტატუსით სარგებლობს. რიგის შემდეგ საფეხურზე არიან: მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები, რომლებიც არ ექცევიან ზემოთ მოყვანილ კატეგორიაში; შვილები, რომლებიც არ განეკუთვნებიან პირველ კატეგორიას, ანუ ზოგადად შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ რჩენაზე; შვილიშვილები. შეთანხმება ალიმენტის რანგთან დაკავშირებით, ზოგადად, დაუშვებელია. თუმცა დასაშვებია იმ მოთხოვნებზე უარის თქმა, რომელიც გამომდინარეობს წინა რიგიდან. თუ წინა რიგის ალიმენტზე უფლებამოსილი პირის ალიმენტით ამოიწურება ვალდებული პირის მატერიალური შესაძლებლობა, მომდევნო რიგის ალიმენტის კრედიტორის მოთხოვნა აღარ წარმოიშობა ან წარმოიშობა მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალის მიმართ.

VII. შვილიშვილის საალიმენტო მოვალეობა შრომისუუნარო პაპისა და ბებუის მიმართ და პირიქით

1. შვილიშვილის საალიმენტო მოვალეობა

აღმავალი ხაზის ნათესავებში, მშობლებისა და შვილების ურთიერთრჩენის ვალდებულების გარდა, საალიმენტო ვალდებულებები ეკისრებათ ასევე შვილიშვილს პაპისა და ბებუის წინაშე (სკ-ის 1224-ე მუხლი) და პირიქით (სკ-ის 1225-ე მუხლი), იმისდა მიხედვით, თუ რომელი საჭიროებს დახმარებას.

ყველა ის პრინციპი, რაც მოქმედებს შვილების მიერ მშობლების სარჩენად ალიმენტის გა-

⁵⁴ BT-Drs. 16/1830, 23.

⁵⁵ BGH NJW 1984, 1815.

⁵⁶ BVerfG NJW 2007, 1738.

⁵⁷ BT-Drs. 16/1830, 24; BT-Drs. 16/6980, 10.

დახდის შემთხვევაში (მაგ., „შავი დღის ფული“), ძალაში რჩება პაპა-ბებუის რჩენისასაც.

სხვადასხვა ხარისხის ნათესაური კავშირით დაკავშირებულ ალიმენტის მოვალეებს შორის არსებობს რიგითობა. ზოგადად, მომდევნო რიგის ალიმენტის მოვალე არ არის ვალდებული გადაიხადოს, თუ არსებობს წინა რიგის მოვალე. თუ ის მაინც იხდის ალიმენტს, დგება ამ რანგით წინ მდგომისაგან რეგრესის წესით გადახდის მოთხოვნის საკითხი. ამ დროს გამოისაყოფია შემდეგი კონსტელაციები:

თუ, მაგალითად, შვილიშვილი ან სხვა მომდევნო რიგის მოვალე უხდის პაპას ან ბებუას ალიმენტს მათი შვილის ან მეუღლის მაგივრად, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელები გადახდისუუნარონი არიან, ზოგადად, მას ამ სიტუაციაში არ აქვს რეგრესის მოთხოვნა, რადგან გადახდისუუნარობა ალიმენტის მოვალეს ათავისუფლებს მისი ამ ვალდებულებისაგან და შესაბამისად გადამხდელი აქ არ ასრულებს სხვისათვის.

ამის საპირისპიროდ, თუ მომდევნო რიგის მოვალე ასრულებს იმის გამო, რომ წინა რიგის მოვალისაგან ალიმენტის თანხის „ამოღება“ შეუძლებელია, მაშინ შემსრულებელი მოიპოვებს მის მიმართ მოთხოვნას სკ-ის 986-ე და ასევე 969, 973-ე მუხლების მიხედვით.⁵⁸

2. პაპისა და ბებუის საალიმენტო მოვალეობანი

პაპისა და ბებუის საალიმენტო მოვალეობების დადგენის წინაპირობა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არის შესაბამისი ნათესაური კავშირის არსებობა მათსა და შვილიშვილს შორის. გარდა ამისა, მათ უნდა ჰქონდეთ ალიმენტის გადახდისათვის შესაბამისი სახსარი და შვილიშვილი საჭიროებდეს მატერიალურ დახმარებას. თუმცა იმ თავისებურებით, რომ პაპა და ბებუა არ არიან ვალდებული „გაიღარიბონ“ თავი შვილიშვილის რჩენის ფარგლებში და ეჭვქვეშ დააყენონ საკუთრი კეთილდღეობა და უზრუნველყოფილი სიბერე, ამიტომაც გადასა-

ხდელი ალიმენტის ოდენობის გამოთვლისას მათაც აქვთ ე. წ. „თავის შენახვის ხარჯების“ „ბონუსი“, რომლის გამოკლების შემდეგ (შემოსავლიდან და ქონებიდან) გამოითვლება შვილიშვილისათვის გადასახდელი ალიმენტი.⁵⁹

პაპისა და ბებუის საალიმენტო ვალდებულება არის სუბსიდიური, ანუ წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, თუ შვილიშვილს არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

VIII. მამინაცვლისა და დედინაცვლის საალიმენტო მოვალეობა

განსხვავებით არაერთი ევროპული სამოქალაქო კოდექსისა (მაგ., გერმანული⁶⁰), ქართველმა კანონმდებელმა სკ-ის 1226-ე მუხლში ცალსახად დააფიქსირა გერის საალიმენტო მოთხოვნები მამინაცვლისა და დედინაცვლის მიმართ, ისევე, როგორც, პირიქით – გერის საალიმენტო მოვალეობები სკ-ის 1227-ე მუხლში. საალიმენტო ვალდებულებების გავრცელება გერსა და მამინაცვალ-დედინაცვალს შორის ურთიერთობაზე წარმოადგენს ოჯახის იმ განვრცობილი სოციალური ცნების ნაწილს, რომელიც საფუძვლად უდევს საალიმენტო სამართალს და რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლისმიერი ნათესაური კავშირით. აქ კანონმდებელი მიიჩნევს, რომ გერსა და მისი მშობლის მეუღლეს შორის არსებობს ოჯახური ბმა, რაც საკმარისია საალიმენტო ვალდებულებების დაკისრებისათვის. თუმცა ამისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების შესრულება: მამინაცვალი ან დედინაცვალი უნდა იმყოფებოდეს ქორწინებაში გერის მშობელთან, როგორც ამას თავად ეს ცნება გულისხმობს (წინააღმდეგ შემთხვევაში: სკ-ის 1229-ე მუხლი), გერი აღსაზრდელად უნდა რჩებოდეს მასთან, მშობლის გარდაცვალების ან ამ უკანასკნელისაგან სარჩოს მიღების შეუძლებლობის შემდეგ, ანუ მათ შორის უნდა არსებობდეს ოჯახური ერთობა. ეს არ არის სახეზე, თუ გე-

⁵⁹ BGH NJW 2006, 144.

⁶⁰ გამონაკლისი გსკ-ის 1371 IV პარაგრაფი: გერის მოთხოვნა განათლების დაფინანსებაზე მშობლის გარდაცვალებისას.

⁵⁸ Born, in Münchener Kommentar zum BGB, 4. Auflage 2002, 1607 Rn. 24.

რი ცალკე გადადის საცხოვრებლად, გადადის სხვა ნათესავთან საცხოვრებლად ან რჩება მამინაცვალთან თუ დედინაცვალთან, მხოლოდ გამოუვალი სიტუაციის გამო, ისე, რომ მათ შორის ეს ოჯახური ერთობა დარღვეულია. ამ შემთხვევაში მათ შორის არ არის აღზრდის (რჩენის) ელემენტი, რაც გაამართლებდა ალიმენტის მოთხოვნის არსებობას.

შვილების შემთხვევაში სახეზეა საალიმენტო ვალდებულება სკ-ის 1212-ე (1218-ე) და მომდევნო მუხლების მიხედვით.

IX. საალიმენტო მოვალეობანი ფაქტობრივი აღმზრდელის მიმართ

სკ-ის 1229-ე მუხლი აწესრიგებს აღმზრდელის მიერ სარჩოს მოთხოვნის უფლებას. აქ, ისევე როგორც სკ-ის 1226-ე და 1227-ე მუხლების შემთხვევაში, კანონმდებელი უხვევს სისხლის ნათესაობის პრინციპიდან და ალიმენტის მოთხოვნისათვის საკმარისად მიიჩნევს იმ ფაქტობრივ ამაგს, რაც გააჩნია აღმზრდელს აღზრდილზე. თუმცა ამასთან აქცენტს აკეთებს „მუდმივი“ ხასიათის აღზრდაზე. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ბავშვის დაბადებიდან მის სრულწლოვანებამდე აღზრდას, რადგან არც მშობელს არ ევალება ამის გაკეთება (საკმარისია, თუ ის ასრულებს თავის საალიმენტო ვალდებულებას, რათა მოგვიანებით თავადაც ჰქონდეს შვილის მიმართ საალიმენტო მოთხოვნები). „მუდმივი აღზრდა“ გულისმობს არადროებითი და არაგარდამავალი ხასიათის ურთიერთობას, რომელიც არ არის განპირობებული კონკრეტული ინსტიტუციონალური სიტუაციით (აღმზრდელი ინტერნატში) და თავისი ხასიათით უახლოვდება და უტოლდება მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას. აღზრდის ხანგრძლივობა გადამწყვეტი არ არის, თუმცა სკ-ის 1227 II მუხლის ანალოგიით ის არ უნდა იყოს ხუთ წელზე ნაკლები.

აღზრდა გულისმობს, ისევე, როგორც მშობლის ზრუნვის შემთხვევაში, პიროვნულ და ქონებრივ ზრუნვასა და ამავდროულად აღსაზრდელზე საკუთარი პიროვნული და ეკონომიკური რესურსების დახარჯვას. თუ ელემენტე-

ბიდან ერთ-ერთი მაინც არ არის სახეზე, სკ-ის 1229-ე მუხლი არ გამოიყენება.

X. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის წესი

გადასახდელი ალიმენტის ოდენობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება სასამართლოს მიერ ფულადი თანხით, თუმცა დასაშვებია ასევე ნატურით განხორციელებული შესრულების (იხ. ქვევით) ალიმენტად ჩათვლა. ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ალიმენტის გადამხდელის მატერიალურ და ოჯახურ მდგომარეობას.

1. ალიმენტის ოდენობა – ცხოვრებისეული მოთხოვნილებები, ცხოვრების დონე

ალიმენტის ოდენობა საკმარისი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ცხოვრებისეული მოთხოვნილებები გულისხმობს ყველა ყოფითი საჭიროების დაკმაყოფილებას. არ არსებობს კანონისმიერი მინიმალური ზღვარი ყოფითი მოთხოვნილებებისათვის. თავშესაფარში ან ფსიქიატრიულ დანესებულებაში მოთავსებული მშობლის მოთხოვნილებები იფარება იქ ყოფნის ხარჯებით; გადამწყვეტია აქტუალური და არა წარსულში არსებული ცხოვრების (უკეთესი) დონე.⁶¹ შვილის შემთხვევაში, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია საკუთარი ცხოვრების მოწყობა, ორიენტირება უნდა მოხდეს მშობლების ცხოვრების დონეზე.⁶² განსხვავებით მეუღლის რჩენისაგან, სკ-ის 1212-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით გადასახდელი სარჩო განისაზღვრება ვალდებული პირის ამჟამინდელი დონით; გამომდინარე აქედან, ბავშვს, ზოგადად, არ აქვს მოთხოვნა უკეთ ანაზღაურებადი სამსახურის შენარჩუნებასთან დაკავშირებით.⁶³ ბავშვის ნიჭიდან და უნარიდან გამომდინარე, რომლებიც შეიძლება განვითარდეს შესაბამისი განათლების მიცემით, მისთვის აუცილებელმა ცხოვრების სტანდარტმა შესაძლოა უკვე დამოუკიდებელი მოხაზულობა

⁶¹ BGH FamRZ 2015, 2138.
⁶² BGH NJW-RR 1986, 426.
⁶³ OLG Zweibrücken NJW 1997, 2390.

მიიღოს და აუცილებლად წარმოაჩინოს, ერთი შეხედვით, მშობლების ცხოვრების დონესთან შეუსაბამო განათლების ხარჯების გადახდა. თუ გადასახადების გადამხდელი უცხოეთში ცხოვრობს, აუცილებელია მისი ცხოვრების დონის გამოსათვლელად იქაური და მშობლიური ვალუტების მსყიდველუნარიანობის შეპირისპირება და ასევე სხვა სტატისტიკური მონაცემების მოშველიება.⁶⁴

არასრულწლოვანი ბავშვების ცხოვრებისეული ურთიერთობები განპირობებულია მისი ბავშვობით, ანუ სკოლისა და განათლების აუცილებლობით, ამან შეიძლება გამოიწვიოს მაღალი შემოსავლის მქონე ალიმენტის მოვალის მიერ გადასახდელი ალიმენტის ოდენობის შემოზღუდვა.⁶⁵

2. ცხოვრებისეული მოთხოვნილებების განსაზღვრა

ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს განეკუთვნება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საკვები, ბინა და ტანსაცმელი, თუმცა, ასევე, წამლები ავადმყოფობისას და სამედიცინო დაზღვევა, დანახარჯები კულტურული ღონისძიებებისა და სხეულებრივი თუ გონებრივი დასვენების შესაძლებლობისათვის. გადასახდელია ასევე ე.წ. ზედმეტი ხარჯებიც, რის ქვეშაც იგულისხმება დანახარჯები, რომლებიც მხოლოდ შიგადაშიგ არის გასაწევი, თუმცა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთჯერადად ვერ იქნება დაფარული ალიმენტის გადამხდელის მიერ (ძვირადღირებული ოპერაცია), ამასთან, არის კალკულირებადი და შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ალიმენტის განსაზღვრისას (ბავშვი უკვე დაავადებულია და ადრე თუ გვიან აუცილებელი გახდება ოპერაცია).⁶⁶ თუ ერთ-ერთი მშობელი საკუთარ თავზე აიღებს ბავშვის მოვლას, ხოლო შემდეგ მაინც მოკიდებს ხელს საქმიანობას, ბავშვის მესამე პირის მიერ მოვლის ხარჯები ვერ ჩაითვლება ზედმეტ ხარჯებად.⁶⁷

3. აღზრდისა და განათლების ხარჯები

აღზრდის ხარჯები ალიმენტიდან იფარება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც არსებობს აღზრდის აუცილებლობა და უფლებამოსილება, ანუ ბავშვების შემთხვევაში სრულწლოვანების მიღწევამდე.

განათლების ხარჯების გადახდა უნდა გაგრძელდეს სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც. ალიმენტის გადამხდელი ვალდებულია მისცეს პროფესიული განათლება, რომელიც შეესაბამება ბავშვის სურვილს, უნარებსა და ანგარიშგასაწევ მისწრაფებებს და ამავდროულად მისი ხარჯები არ არის მშობლების ფინანსური შესაძლებლობების მიღმა.⁶⁸ განათლებაზე მოთხოვნის უფლებას შეესაბამება ამავდროულად შვილის მოვალეობა, ჩაერთოს სწავლის პროცესში მონდომებით და სიბეჯითით და დაამთავროს ის შესაბამის დროში (ორმხრივობის პრინციპი).⁶⁹ თუ შვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არღვევს თავის ამ მოვალეობას, შესაბამისი ალიმენტის მოთხოვნის უფლება ქარწყლდება.⁷⁰ მხოლოდ შეყოვნებები, სწავლის პროცესში ბავშვის მიერ გზიდან უმნიშვნელოდ გადახვევის გამო, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე (სკ-ის 8 III მუხლი), მხედველობაში არ მიიღება.⁷¹ ბავშვს ევალება ასევე სკოლის დამთავრების შემდეგ მალევე მოახდინოს ორიენტირება და ჩაებას შესაბამისი განათლების პროცესში.⁷² დიდხნიანმა დაყოვნებამ შეიძლება ასევე გააქარწყლოს განათლების ალიმენტის მოთხოვნის უფლება,⁷³ თუ არ არსებობს შესაბამისი არაგაკიცხვადი მიზეზი⁷⁴ ამ დაყოვნებისათვის.

⁶⁸ BGH FamRZ 2017, 800.

⁶⁹ OLG Koblenz FamRZ 2015, 1814.

⁷⁰ BGH NJW 1998, 1556.

⁷¹ BGH FamRZ 2017, 1133; FamRZ 2017, 801; NJW 2013, 2752.

⁷² BGH FamRZ 2017, 801.

⁷³ BGH NJW 1998, 1556.

⁷⁴ BGH FamRZ 2017, 1132.

⁶⁴ შდრ. BGH NJW 2014, 2787.

⁶⁵ BGH NJW 1983, 1430; NJW-RR 1986, 426.

⁶⁶ BGH NJW 2013, 2900.

⁶⁷ BGH FamRZ 2018, 24.

4. ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულება, სკ-ის 1230 II მუხლი

ერთი და იმავე რანგის საალიმენტო ვალდებულების შემთხვევაში, მაგალითად, მშობლების ვალდებულება, ის ნაწილდება მათი შემოსავლისა და ქონების მიხედვით.⁷⁵ განაწილება გულისხმობს წილობრივი და არა სოლიდარულის (სკ-ის 1230 II მუხლი) ვალდებულების წარმოშობას.⁷⁶ თუმცა ეს „განაწილება“ ყოველთვის არ ხდება თანაბრად, არამედ გადამწყვეტია მშობლების შემოსავალი, მათი ქონებრივი მდგომარეობა და ა. შ.⁷⁷

თუ მშობლები ინაწილებენ შვილზე ზრუნვასთან დაკავშირებულ ამოცანებს, მაშინ ალიმენტი შეიძლება გაიყოს ნატურით და ფულით გადასახდელ ალიმენტად. მაშინაც კი, როდესაც ერთი მშობელი, რომელიც თავის საალიმენტო ვალდებულებას შვილის წინაშე მისი მოვლითა და აღზრდით ასრულებს, ფლობს ასევე შემოსავალს, მაინც, ჩვეულებრივ, მხოლოდ მეორე მშობელს ეკისრება მთლიანი ალიმენტის ფულში გადასახდელი ოდენობის დაფარვა.⁷⁸ თუ ორივე მშობელი სრულ განაკვეთზეა დასაქმებული, სრულწლოვანი ბავშვის მოვლა, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი შესრულებაა და არ ამცირებს ალიმენტის ვალდებულებას.⁷⁹ თუ მშობლები ერმანეთს ენაცვლებიან შვილის მოვლაში, ორივემ ალიმენტი ფულით უნდა გადაიხადოს.⁸⁰ თუმცა ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ორმხრივი მოვლის მიუხედავად, მის ძირითად ნაწილს მაინც ერთ-ერთი მშობელი ასრულებს; ატარებს რა ის მთავარ პასუხისმგებლობას ბავშვზე, ეს ეთვლება მას მის რჩენად და მეორე მშობელია ვალდებული გადაიხადოს ალიმენტი ფულით.⁸¹

აუცილებელია სასამართლომ შეიმუშაოს პრინციპები (სასურველი კონკრეტული ან აბსტრაქტული ცხრილების სახით მოცემული),

⁷⁵ BGH NJW-RR 1986, 293; FamRZ 1988, 1039.
⁷⁶ BGH NJW 1971, 1985.
⁷⁷ BGH NJW 1971, 1983.
⁷⁸ BGH NJW 1981, 2462.
⁷⁹ BGH NJW 1994, 1530.
⁸⁰ BGH NJW 2015, 331; FamRZ 2016, 1055.
⁸¹ BGH NJW 2015, 331.

რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ფულით გადასახდელი ალიმენტის განსაზღვრა ნატურით გადასახდელის გვერდით.⁸² შვილის მოვლის მესამე პირისათვის გადაცემა წარმოშობს ალიმენტის ფულით გადახდის ვალდებულებას.⁸³

XI. ალიმენტის მოთხოვნის პრეკლუზიის გამორიცხვა

სკ-ის 1234 I მუხლი გამორიცხავს საალიმენტო მოთხოვნის პრეკლუზიას, ანუ ჩამორთმევას, მისი ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოუყენებლობის გამო. განსხვავებით მთელი რიგი სხვა მოთხოვნებისაგან, რომელთათვისაც მოქმედებს როგორც ხანდაზმულობის ვადა, ისე პრეკლუზია და ამ უკანასკნელი საფუძვლით ისინი შეიძლება განუხორციელებელი გახდნენ (ხანდაზმულობის ვადის გასვლამდეც), თუ მოვალეს გაუჩნდა (მეორე მხარის მიერ განპირობებული) ნდობა, რომ კრედიტორი ამ მოთხოვნას აღარ გამოიყენებს, ალიმენტის მოთხოვნა არაპრეკლუდირებადია – მისი გამოყენება დასაშვებია ყოველთვის, სანამ ის არსებობს (მაგალითად, ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე), მაშინაც კი, როდესაც მისი წარმოშობიდან გასულია დიდი ხანი და ის ამ დროის განმავლობაში გამოყენებული არ ყოფილა.

ასევე დაუშვებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ალიმენტის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

XII. ალიმენტის მოთხოვნის ხანდაზმულობა

სკ-ის 1234 II 1 მუხლში გამყარებული წესის მიხედვით, ალიმენტის მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სამომავლო პერიოდისათვის. ეს პრინციპი ემსახურება ალიმენტზე ვალდებული პირის დაცვას ჭარბი ვალებისგან, რომელთაც ის წინასწარ ვერ გათვლიდა. ამასთან უმნიშვნელოა, აგრძელებს თუ არა საალიმენტო ვალდებულება ამ მომენტისათვის არსებობას.

⁸² შდრ, გერმანიაში BGH NJW 1981, 1560; NJW 1991, 697; OLG Bamberg NJW 1995, 1434.
⁸³ OLG Hamm FamRZ 1991, 104.

თუმცა ალიმენტის მხოლოდ სამომავლოდ გადახდის პრინციპი მოქმედებს არა შეუზღუდავად, არამედ მხოლოდ იმ ვალებისათვის, რომლებიც წარმოშობილია სამ წელზე ადრე სარჩელის წაყენებამდე და სარჩოს მისაღებად განხორციელდა ზომები, რომელიც დასრულდა უშედეგოდ, რადგან ვალდებული პირი თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას (სკ-ის 1234 II 2 მუხლი). საკითხავია, ეს ვადა წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადას, ანუ სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი მოთხოვნის იძულებით განხორციელება მხოლოდ გამორიცხულია და თავად მოთხოვნა აგრძელებს არსებობას თუ სამი წლის წინანდელი მოთხოვნა საერთოდ ქარწყდება და აღარ არსებობს. თუ ალიმენტის მოთხოვნა ჩაითვლებოდა მხოლოდ ხანდაზმულად, მისი ნებაყოფლობით შესრულების შემთხვევაში, უკუმოთხოვნა გამორიცხული იქნებოდა (სკ-ის 144 II, 976 II ბ) მუხლი), რადგან არსებული ხანდაზმული მოთხოვნა წარმოადგენს მიღებულის შენარჩუნების საფუძველს. თუმცა რეზულტატის მხრივ შეიძლება არაფერი შეიცვალოს, რადგან, მეორე ვარიანტის დაშვებისასაც, უსაფუძვლოდ გადახდილის უკუმოთხოვნა შეიძლება გამორიცხული იყოს სკ-ის 976 II ა) მუხლის მიხედვით. სკ-ის 1234 II 2 მუხლში დაფიქსირებული ვადის ხანდაზმულობის ვადად დაკვალიფიცირების სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ მთავარი განსხვავება, რაც გამომრიცხავ და ხანდაზმულობის ვადებს შორის არსებობს, სასამართლოს მიერ ამ ვადის შემონახვაში მდგომარეობს – ხანდაზმულობის ვადას ის ამონიშნავს მხოლოდ მოპასუხის შესაგებლის საფუძველზე, ხოლო გამომრიცხავ ვადას – საკუთარი ინიციატივით. პირველის შემთხვევაში, ალიმენტზე ვალდებული პირი უფრო მეტად არის დაცული და სწორედ ეს ემსახურება ალიმენტის მხოლოდ სამომავლოდ დაკისრების პრინციპის განხორციელებას. გარდა ამისა, დანაწესში სამი წლის ალიმენტის მოთხოვნის შენარჩუნების წინაპირობაა მისი მიღების მცდელობა, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ მოთხოვნის არსებობა-არარსებობის წინაპირობა და არა ხანდაზმულობის ვადის დაწყება-არდაწყების ათვლის წერტილი. სკ-ის 1235-ე მუხლში, რომელიც სააღსრულებო

ხანდაზმულობას შეეხება, კანონმდებელი პირდაპირ ახსენებს ამ ცნებას, რაც ნიშანია იმისა, რომ, თუ წინა მუხლშიც ხანდაზმულობაზე იქნებოდა საუბარი, ეს, ცხადია, ხაზგასმული იქნებოდა. ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, სკ-ის 1234 II 2 მუხლის ვადა ალიმენტის მოთხოვნის გამომრიცხავ ვადად უნდა შეფასდეს.

XIII. ალიმენტის გადახდისგან გათავისუფლება

სკ-ის 1237 I მუხლი იმპერატიულად აგენს, რომ ალიმენტისაგან გათავისუფლება და დავალიანების პატიება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და გამორიცხავს ამით მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით ამის გაკეთების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სასამართლოსაც ალიმენტისაგან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ სკ-ის 1237 II მუხლში მოცემული საფუძველით.

სკ-ის 1237-ე მუხლი ზღუდავს კერძო ავტონომიას, კანონის საფუძველზე წარმოშობილი ალიმენტის მიღების გარანტირების მიზნით. ის თანაბრად ვრცელდება ყველა ტიპის შეთანხმებაზე და ცალმხრივ ნების გამოხატვაზე, რომლის მიზანიცაა ალიმენტის მოთხოვნისაგან მოვალის გათავისუფლება – ვალის პატიება (სკ-ის 348-ე მუხლი), არარსებული მოთხოვნის აღიარება და შემდეგ ალიმენტის ანგარიშში გაქვითვა (სკ-ის 442-ე მუხლი) და ა. შ. მხარეთა შეთანხმებით წარმოშობილი საალიმენტო ვალდებულებებისათვის ძალაშია სკ-ის 1238-ე მუხლი.

დანაწესით მოცულია კანონისმიერ საალიმენტო მოთხოვნაზე სრული ან ნაწილობრივი უარის თქმა, როგორც სამომავლოდ ასევე უკვე არსებული დავალიანების ნაწილში. უმნიშვნელოა, ხდება ეს გარკვეული სასყიდლის (კომპენსაციის) სანაცვლოდ თუ მის გარეშე. **pactum de non petendo** ალიმენტთან დაკავშირებით წარმოადგენს კანონის გვერდის ამვლელ გარიგებას და შესაბამისად ბათილია.⁸⁴

⁸⁴ BGH NJW 2014, 1106.

დასაშვებია (ერთ საფეხურზე მდგომი – მაგ., მშობლები) ალიმენტის მოვალეთა შორის შეთანხმება ერთმანეთის საალიმენტო მოთხოვნისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თუმცა მას მხოლოდ შიდა ურთიერთობაში აქვს ძალა – ალიმენტის კრედიტორს შეუძლია თავისუფლად მოსთხოვოს როგორც ერთ, ისე მეორე მათგანს.⁸⁵ თუმცა ეს შეთანხმებაც შიძლება იყოს ბათილი სკ-ის 54 ვარ. 3 მუხლის მიხედვით, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ შეთანხმებასთან.⁸⁶ სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებული კონტროლის საგანი უნდა გახდეს შეთანხმება, რომელსაც დებს დაუქორწინებელი ფეხმძიმე, ქორწინებაში შესვლამდე, ალიმენტი-

საგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.⁸⁷

ალიმენტის წინასწარ გადახდა უნდა ათავისუფლებდეს მხოლოდ დროის შეზღუდულ მონაკვეთში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაიშლებოდა ალიმენტის პერიოდულობის პრინციპი, რომელიც დაფიქსირებულია სკ-ის 1230 I მუხლში. ამ მონაკვეთის ფარგლები სასამართლოს გამოსაკვეთია. გერმანელები ამგვარ პერიოდად სამთვიან დროით მონაკვეთს აღიარებენ.⁸⁸ მის მიღმა განხორციელებული წინასწარ გადახდა ხდება ალიმენტის მოვალის რისკით – თუ სამი თვის გასვლის შემდეგ ალიმენტის მოვალე ისევ განიცდის მატერიალურ საჭიროებას, ალიმენტის მოთხოვნა თავიდან წარმოიშობა.

⁸⁵ BGH FamRZ 1986, 444; OLG Stuttgart NJW-RR 2007, 151; BGH FamRZ 1986, 444; OLG Stuttgart NJW-RR 2007, 151.

⁸⁶ OLG Hamm FamRZ 1999, 163.

⁸⁷ BVerfG NJW 2001, 958.

⁸⁸ შდრ. გსკ-ის 1614 II.

„ანდრო და ეკა“

კაზუსი

(გადაცემული საჩუქრის უკუმოთხოვნა ნიშნობის ჩაშლის შემდეგ სკ-ის 1109 III მუხლის მიხედვით)

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ანდროს და ეკას ბავშობიდან უყვარდათ ერთმანეთი. რადგან ოჯახებიც თანახმა იყვნენ, 17 წლისების ოფიციალურად დაინიშნენ და ერთად გადავიდნენ საცხოვრებლად. თანაცხოვრება სამ წელიწადში დამთავრდა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ანდროს, რომელიც ხანდახან სახლიდან იკარგებოდა ხოლმე, პარალელურად მოუსწრია სხვაზე დაქორწინება, განქორწინება და ამ სხვასთან საერთო შვილიც ჰყავდა. ამ ყოველივე გაგების შემდეგ ეკამ სახლში ჯერ ყველაფერი დალენა, შემდეგ მოკიდა საერთო ნივთებს ხელი და მშობლებთან დაბრუნდა, რის შემდეგაც ნიშნობა ჩაშლილად გამოცხადდა.

ეკა ანდროსაგან ითხოვს 2.500 ლარის, დაჯავშნული საქორწინო მოგზაურობის ხარჯების ანაზღაურებას, რომელსაც ის, მიუხედავად ქორწილის ჩაშლისა, უკან ველარ დაიბრუნებს. ანდროს, თავის მხრივ, მიაჩნია, რომ 1200 ლარი, რომელიც მან გადაიხადა ეკას სტომატოლოგიური მომსახურებისათვის, ნიშნობის ჩაშლის შემდეგ, მას უნდა დაუბრუნდეს.

შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

ამოხსნა

I. ეკას მოთხოვნა საქორწინო მოგზაურობის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით სკ-ის 394 I, 1109-ე მუხლების მიხედვით

ეკას შეიძლება ჰქონდეს ანდროს მიმართ საქორწინო მოგზაურობისათვის გაწეული ამო დანახარჯების, როგორც ზიანის, მოთხოვნის უფლება. ამისათვის მას უნდა დაერღვია ვალდებულება, რომელიც ჰქონდა ნაკისრი ეკას წინაშე და ამით ეკას მისდგომოდა ზიანი.

ა) ვალდებულებითი ურთიერთობა – ნამდვილი ნიშნობა

ვალდებულებითი ურთიერთობა ანდროსა და ეკას შორის შეიძლება წარმოშობილიყო ნიშნობის საფუძველზე. სკ-ის 1109-ე მუხლის გაგებით ნიშნობის ქვეშ, ერთი მხრივ, მოიაზრება ორმხრივი შეპირება სამომავლო ქორწინებასთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, ამ შეპირების საფუძველზე წარმოშობილი საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობა. მისი ნამდვილობის წინაპირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ თეორიას გავიზიარებთ მის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით.

დღესდღეობით უკვე გადალახული „რეალური ფაქტის თეორია“ ნიშნობის წინაპირობად მიიჩნევა მხარეთა რეალურ თანხმობას ნების გამოხატვის გარეშე. გაბატონებული მოსაზრება – „ხელშეკრულების თეორია“, ნიშნობის საფუძვლად მიიჩნევს ხელშეკრულებას – ქორწინების მომამზადებელი საოჯახოსამართლებრივი ხელშეკრულება.¹ „ნდობიდან გამომწვეული პასუხისმგებლობის შესახებ მოძღვრება“² ნიშნობას განმარტავს როგორც კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობას და ავლებს პარალელს წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობასთან. ხელშეკრულების თეორია ყველაზე პრიორიტეტულია, რადგან, ნების გამოხატვის აუცილებლობით, უფრო მეტად იცავს არასრულწლოვნის ინტერესებს, რომელსაც ერთმევა ნიშნობის ურთიერთობით თავის დამოუკიდებლად შებოჭვის შესაძლებლობა და ამის გაკეთება მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით შეუძლია.

ხელშეკრულების თეორიის მიხედვით, ნიშნობის წინაპირობაა დანიშნულთა ნების გამოხატვა. ხელშეკრულების კონკლუდენტური დადება შესაძლებელია, მაგალითად, ბეჭდების გაცვლით ან ქორწინების სამზადისის დაწყებით:³ ჯვრისწერის რიტუალის თარიღის დანიშვნა, საქორწინო მოსაწვევების დაგზავნა და ა.შ. წარმომადგენლობა სკ-ის 103-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით გამორიცხულია, რადგან ნიშნობა პირადად განსახორციელებელი აქტია, თუმცა დასაშვებია შიკრიკის გამოყენება.

მოცემულ შემთხვევაში ეს წინაპირობები მოცემულად უნდა ჩავთვალოთ. მიუხედავად იმისა, რომ უწლოვანთა შორის ქორწინების აკრძალვის მიზნიდან გამომდინარე, საქორწინო ასაკმა 18 წლამდე აიწია და გამონაკლისის გარშემო იკრძალება არასრულწლოვან პირთა შორის ქორწინება, კანონი არ იცნობს მინიმალურ ასაკს ნიშნობისათვის.⁴ ანუ, მართალია, არასრულწლოვანს არ ძალუძს შევიდეს ნამდვილ ქორწინებაში, თუმცა ეს არ უშლის ხელს, ამ ქო-

რწინების შეპირებაში.⁵ ნიშნობის შემთხვევაზე შესაბამისად გამოიყენება სკ-ის 63-ე და მომდევნო მუხლები. არასრულწლოვანს შეუძლია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დადოს ნიშნობის შეთანხმება, სკ-ის 64 I მუხლი. აქ, კაზუსის ფაბულაში მოცემული, მშობლების ერთსულოვნება ნიშნობასთან დაკავშირებით უნდა გავიგოთ, როგორც მათი თანხმობა სკ-ის 64 I მუხლის გაგებით.

ამგვარად, სახეზეა ნამდვილი ნიშნობა, რის საფუძველზეც წარმოიშვა სამართლებრივი ურთიერთობა ანდროსა და ეკას შორის.

ბ) ვალდებულების ბრალეული დარღვევა

შემდეგი წინაპირობა, სკ-ის 394 I მუხლის მიხედვით, არის ვალდებულების დარღვევა. ეკამ ჩაშალა ნიშნობა მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ თანაცხოვრების განმავლობაში ანდრომ მოასწრო სხვაზე მალულად დაქორწინება და უკვე შვილიც ჰყავდა. ანდროს ეს ქმედება, რამაც გამოიწვია ეკას მხრიდან მოსალოდნელი საპასუხო რეაქცია – ნიშნობის ჩაშლა, იყო ბრალეული. მაგრამ, საკითხავია, ნიშნობის ჩაშლის გამომწვევა შეიძლება იყოს თუ არა ნიშნობიდან წარმომდგარი ვალდებულების დარღვევა. სკ-ის 1109 I მუხლში საუბარია იმაზე, რომ ნიშნობა არ წარმოშობს დაქორწინების ვალდებულებას. თუმცა გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მიუხედავად სკ-ის 1109 I მუხლის განსხვავებული ფორმულირებისა, ნიშნობა წარმოშობს დაქორწინების სამართლებრივ ვალდებულებას,⁶ მაგრამ ქორწინების ნეგატიური თავისუფლებიდან გამომდინარე, სკ-ის 1109 II მუხლის მიხედვით და მისი დაცვისათვის ეს ვალდებულება ვერ იქნება სასამართლო წესით გამოძალვადი. ნებისმიერ შემთხვევაში, ანდროს ეკისრებოდა ვალდებულება თავისი ქმედებით არ გამოეწვია ამ ნიშნობის ჩაშლა.

საკითხავია, სკ-ის 1109 II მუხლის დათქმა, რომელიც, მიუხედავად ამ განმარტებისა ძალაში რჩება – კერძოდ, არ არსებობს დაქორწინების მოთხოვნა –, ტოვებს თუ არა ადგილს ნიშნობიდან წარმომდგარი, ამ ნიშნობის არჩა-

¹ RGZ 98, 14; BGHZ 28, 378.
² Dethloff, Familienrecht, 32 Aufl., München 2018, § 2 Rn. 5
³ AG Neumünster FamRZ 2000, 817.
⁴ D. Schwab, Die verbotene Kinderehe, FamRZ 2017, 1373.

⁵ Wellenhofer, in BeckOGK, BGB, 2018, § 1297 Rn. 35.
⁶ Roth, in Münchener Kommentar, BGB, § 1297 Rn. 17.

შლის ვალდებულების დარღვევისათვის. ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. თუ დაქორწინების ვალდებულება არ არის განხორციელებადი, მეორე მხარე ვერ მოითხოვს ვერც ზიანის ანაზღაურებას მისი განუხორციელებლობისათვის, რაც იქნებოდა ირიბი სანქცია და იძულება და, ამგვარად, კანონისმიერი დათქმის გვერდის ავლა. თუმცა ანდროს აქ შეიძლება დაერღვია სხვა დამატებითი ვალდებულება, კერძოდ კი, იმგვარი ქცევისაგან თავის შეკავების ვალდებულება, რომლის შემდეგაც მეორე მხარისათვის უკვე შეუძლებელი იქნებოდა დაქორწინებაზე ფიქრი.

დამოუკიდებლად მოცემული კონსტრუქციის დასაშვებობისა, ამ დარღვევით გამონეული ზიანი ვერ იქნება ის ინტერესი, რაც მეორე მხარეს გააჩნდა ხელშეკრულების შესრულების მიმართ (პოზიტიური ინტერესი), რადგან, აქაც, არ იყო რა შესრულების ვალდებულება იძულების წესით განხორციელებადი, დაუშვებელია მისი დარღვევის სანქციონირება იმგვარად, რომ დამრღვევი ვალდებული იყოს ჩააყენოს მეორე მხარე იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნებოდა, ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. ეს იქნებოდა ფაქტობრივად ამ ვალდებულების განხორციელებადად აღიარების ტოლფასი. ამიტომაც, საქორწინო მოგზაურობაში გადახდილი ამო დანახარჯები შეიძლება ანაზღაურებადი იყოს მხოლოდ როგორც ნეგატიური ინტერესი, ანუ, ე. წ. ნდობის ზიანი. ეს გულისხმობს ზიანს, რომელიც მიაღვა მეორე მხარეს გამომდინარე იქიდან, რომ საერთოდ შევიდა სამართალურთიერთობაში დამრღვევ მხარესთან, ანუ ენდო მისი მხრიდან შესრულების შეპირებას, რომელი ნდობაც მან გააცრუა. ეს პრობლემურია იმდენად, რამდენადაც, სკ-ის 394 I მუხლის მიხედვით, მხოლოდ პოზიტიური ინტერესის საფუძველზე გამოთვლილი ზიანი ანაზღაურდება. ნეგატიური ინტერესის ანაზღაურებას ეს დანაწესი არ ითვალისწინებს. სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება არც რაიმე სხვა საფუძველი, რომელიც ნიშნობიდან წარმომდგარი ნეგატიური ინტერესის ანაზღაურებას გაითვალისწინებდა.

შესაბამისი მოთხოვნის საფუძვლის არარსებობის გამო, ეკა ვერ მოითხოვს ანდროსაგან სა-

ქორწინო მოგზაურობაში გადახდილ 2.500 ლარს, ამიტომაც დასაშვებია, რომ საკითხი, თუ რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს ამ კონტექსტში დანახარჯები ზიანს, გადაუნყვეტელი დარჩეს.

II. ანდროს მოთხოვნა ეკას მიმართ კბილის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით სკ-ის 1109 III, 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით

თითოეულ დანიშნულს შეუძლია მოითხოვოს მეორესაგან იმ ქონებრივი ღირებულების დაბრუნება, რაც გადასცა მას ნიშნობასთან დაკავშირებით სკ-ის 1109 III, 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

ჩუქების ქვეშ მოაზრება ყოველგვარი მატერიალური და არამატერიალური ქონების გადაცემა, რომელიც ნიშნობის ჩაშლის შემდეგ საკუთარ საფუძველს კარგავს.

საკითხავია, სკ-ის 1109 III მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ქორწინების ჩაშლის შემთხვევაში ნიშნობის ფარგლებში მიღებული საჩუქრების დაბრუნებას, არის თუ არა მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი და მხოლოდ სამართლებრივი შედეგების ნაწილში უნდა შეივსოს კონდიციური სამართლის დანაწესებით (სკ-ის 979-ე და მომდევნო მუხლები), თუ წარმოადგენს მხოლოდ მითითებას კონდიციურ სამართალზე, ანუ, უკუმოთხოვნისათვის სახეზე უნდა იყოს კონდიციური მოთხოვნის წინაპირობები და მისი გამომრიცხავი გარემოებები გამორიცხავენ უკუმოთხოვნას.

ერთი მოსაზრების⁷ მიხედვით, სკ-ის 1109 III მუხლი უნდა გავიგოთ, როგორც გარიგების საფუძვლის მოშლის ქვეშემთხვევა და მასზე კონდიციური სამართლის დანაწესები მხოლოდ უკუმოთხოვნის ფარგლების დადგენის ნაწილში ვრცელდება, ხოლო ისეთი ნორმები, როგორცაა, მაგალითად სკ-ის 976 II ან 977 II მუხლები, საერთოდ არ უნდა გავრცელდეს. მაგალითად, თუ ნიშნობის პერიოდში დანიშნულმა მეორე მხარეს გაუკეთა საჩუქარი, რომლის უკუმოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის ზნეო-

⁷ Lüderitz/Dethloff, Familienrecht, 28. Aufl., München 2006, § 2 Rn. 17.

ბის ნორმებთან, სკ-ის 977 II დ) მუხლი მასზე არ გავრცელდება და მას მაინც შეეძლება გადაცემულის უკან დაბრუნება. ანუ, იმ დანიშნულსაც შეეძლება საკუთარი საჩუქრის უკან გამოთხოვა, რომელმაც თავად და სრულებით გაცნობიერებულად ჩაშალა ეს ნიშნობა. ამ შედეგის გამორიცხვა შეიძლებოდა სკ-ის 977 II მუხლის გამოყენებით, თუმცა, თუ სკ-ის 1109 III მუხლზე მხოლოდ სკ-ის 979-ე და მომდევნო ნორმები ვრცელდება, სკ-ის 977-ე მუხლი ამ შემთხვევაში თამაშგარეთ რჩება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, უფრო გამართლებული ჩანს მოცემული მოთხოვნის კონდიქციურ მოთხოვნად (მითითება კონდიქციის არა მხოლოდ შედეგებზე, არამედ ასევე წინაპირობებზე) აღქმა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კონდიქციური მოთხოვნის წინაპირობებს და რომელიც გამოირიცხება კონდიქციის გამომრიცხავი შემადგენლობების მიხედვით, როგორცაა, მაგალითად, სკ-ის

976 II და 977 II მუხლები.

ანდრომ აქ საკუთარი საქციელით ჩაშალა ქორწინება, რაც სკ-ის 977 II ა) მუხლის მიხედვით წარმოადგენს კონდიქციური მოთხოვნის გამორიცხვის საფუძველს.

თუმცა დამოუკიდებლად სკ-ის 977 II მუხლის გამოყენებისა მოცემულ შემთხვევაზე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დანიშნულის რჩენა არ წარმოადგენს ჩუქებას. სტომატოლოგთან ვიზიტის დაფინანსება მოცემულ შემთხვევაში არის რჩენის ნაწილი, რომლის განხორციელებაც ხდება არა ქორწინების მოლოდინით, არამედ არსებული თანაცხოვრების ფარგლებში⁸ და ქორწინების ჩაშლის შემდეგ მისი უკან მოთხოვნა გამორიცხული უნდა იყოს.

ამგვარად, ანდროს არ აქვს ეკას მიმართ კბილის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა სკ-ის 1109 III, 976-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

⁸ BGH FamRZ 2005, 1152.

სასამართლო პრაქტიკა

▶ 1.1 - 11/2020

უძრავი ნივთის ყადაღისგან გათავისუფლება

მყიდველს, რომლის უძრავ ნივთზე მოთხოვნის უფლებაც წინასწარი ხელშეკრულების ფორმით საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული, აქვს ამ ქონების ყადაღისგან გათავისუფლებისა და მის სასარგებლოდ აღრიცხვის მოთხოვნის უფლება, თუ მისი უფლების წარმოშობა წინ უსწრებდა ყადაღის დადებას.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინება № ას-861-804-2017

სკ-ის 323-ე, 327-ე, 477-ე მუხლები

I. ფაქტობრივი გარემოებები

ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი უძრავი ნივთის მესაკუთრედ დარეგისტრირდებოდა მხოლოდ საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. აღნიშნული უფლება საჯარო რეესტრში წინასწარი ხელშეკრულების ფორმით დარეგისტრირდა. მყიდველმა თანხა სრულად გადაიხადა, თუმცა მოგვიანებით ნივთს ყადაღა დაედო. მყიდველმა სარჩელი აღძრა გამყიდველისა და იმ კრედიტორების წინააღმდეგ, ვის სასარგებლოდაც მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება ნივთის ყადაღისგან გათავისუფლებისა და მის სასარგებლოდ აღრიცხვის მოთხოვნით. მოპასუხეთა ნაწილმა სარჩელი ცნო.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი სკ-ის 323-ე, 327-ე, 477-ე მუხლებზე დაყრდნობით დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლომ შედეგი უცვლელი დატოვა იმ დასაბუთებით, რომ პირველ მოპასუხეს (გამყიდველს) წარმოეშვა საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება უძრავ ქონებაზე, ხოლო წინარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით მხარეებმა გამოიციხეს ამ ქონებაზე რაიმე სხვა უფლების რეგისტრაცია. საკაცო სასამართლომ საჩივარი, რომელშიც მითითებული იყო უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვების ფორმალური წინაპირობების დაუცველობაზე, დაუშვებლად ცნო.

III. კომენტარი

გაუგებარია, რა გზით აღწევს სამივე ინსტანციის სასამართლო კანონით პირდაპირ გამოიციხულ შედეგს. „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12 II მუხლის მიხედვით, ნივთზე უფლების წინასწარი რეგისტრაცია გამოიციხავს გარიგების საფუძველზე ამ ნივთზე რაიმე სხვა უფლების რეგისტრაციას და საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას. სააღსრულებო წარმოების განმავლობაში გამოყენებული ყადაღის ამ ნორმაში მოაზრება არასწორია, რადგან ყადაღის დადება არის არა მესამე პირის უფლება, რომელიც გამომდინარეობს გარიგებიდან, არამედ იძულებითი აღსრულების ფარგლებში კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ღონისძიება. არასწორი იქნებოდა მითითება იმაზე, რომ სკ-ის 312-ე მუხლი, როგორც მესამე პირთა დამცავი ნორმა, არ გამოიყენება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის სპეციალური მონესრიგების გა-

მო,¹ რადგან ამ არგუმენტის გამოყენებისთვის მოსარჩელეს ნივთზე საკუთრება უკვე მოპოვებული უნდა ჰქონოდა. ამის საპირისპიროდ, ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდა და უძრავი ნივთის მფლობელობაში მიღება არ უტოლდება მესაკუთრის პოზიციას (სკ-ის 183 I მუხლი).

მოცემულ საქმეში სამივე ინსტანციის სასამართლომ ნივთზე ვალდებულებითი მოთხოვნის არსებობა გაუთანაბრა მასზე საკუთრებას, რისი დასაბუთებაც შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში ის, ვინც დადებდა ნასყიდობის ხელშეკრულებას, ავტომატურად ნივთის მესაკუთრედ უნდა მიგვეჩნია, რაც არა ქართულ სამართალში მოქმედი გამიჯვნის,² არამედ მისთვის სრულიად უცხო - ერთიანობის პრინციპის გამოვლინებაა. ამას დაუშვებელს ხდის თავად უფლების წინასწარი რეგისტრაციის დანიშნულებაც: „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 12 IV მუხლის მიხედვით, უფლების წინასწარი რეგისტრაცია უქმდება კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირის საკუთრების რეგისტრაციით. თუკი იმავე კანონის 12 II მუხლში მოაზრებული იქნება ნივთზე ნებისმიერი, მათ შორის, არაგარიგებისმიერი წარმომავლობის, უფლების რეგისტრაციის აკრძალვა, 12 IV მუხლს მოქმედების სფერო საერთოდ არ დარჩებოდა. შესაბამისად, უფლების წინასწარი რეგისტრაცია აფერხებს ნივთზე მხოლოდ გარიგებისმიერი უფლებების რეგისტრაციას, თუმცა სააღსრულებო პროცესს წინ ვერ აღუდგება. მესაკუთრეს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სააღსრულებო მასიდან ამორიცხოს ის ნივთი, რომელზე საკუთრებაც ჯერ არავისთვის გადაუცია.

ამდენად, უფლების წინასწარ რეგისტრაციას გააჩნია არა სანივთო პოზიციის მიკუთვნების, არამედ ვალდებულებითი მოთხოვნის ფიქსაციის ფუნქცია, რომლითაც იბლოკება ნივთზე სხვა გარიგებისმიერი უფლების რეგისტრაცია. აქედან გამომდინარე, „საჯარო რეე-

სტრის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუმენტის გამოყენება ნივთის ყადაღისგან გათავისუფლების მიზნებისთვის გაუმართლებელია.

ნინო ქავშაია

► 1.2 - 11/2020

მიუღებელი სარგებლისა და ნივთზე განუღებელი ხარჯების ანაზღაურება

1. სკ-ის 992-ე მუხლი იცავს ქონებას მხოლოდ შემცირებისგან და არ ითვალისწინებს მიუღებელი სარგებლის ანაზღაურებას.

2. არაუფლებამოსილი მფლობელის მიერ ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა ანაზღაურდება არა სკ-ის 164-ე მუხლით, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესებით.

3. თუკი არამართლზომიერი მფლობელი აუმჯობესებს ნივთს, თუმცა ამავდროულად მისგან სარგებელს იღებს, სკ-ის 987-ე მუხლის გამოყენება გამორიცხულია სკ-ის 984 II მუხლის გამო. ამ შემთხვევაში ნივთზე განუღებელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა ეფუძნება სკ-ის 164-ე მუხლს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-472-448-2013

სკ-ის 164, 411, 976, 982, 984, 992-ე მუხლები

I. ფაქტობრივი გარემოებები

არაუფლებამოსილი პირი წლების განმავლობაში ფლობდა უძრავ ნივთს, თუმცა საბოლოოდ მესაკუთრემ ნივთზე მფლობელობა დაიბრუნა. არაუფლებამოსილმა მფლობელმა აღძრა სარჩელი მესაკუთრის წინააღმდეგ და მოითხოვა ნივთის გაუმჯობესებაზე (სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოები, რამაც არსებითად შეცვალა ფართის, როგორც კონსტრუქცია, ისე ფუნქცია) გაღებული ხარჯების ანაზღაურება. მესაკუთრემ შეგებებუ-

¹ სუსგ № ას-621-588-2015, 2016 წლის 3 ივნისი.

² რუსიაშვილი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, 22-ე და შემდგომი გვერდები.

ლი სარჩელით დააყენა ფლობის ვადაში ბინის გაქირავებით მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მოთხოვნა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრა. მეორე ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება შეცვალა და მოსარჩელეს დააკისრა არა ფლობის მთლიანი პერიოდის, არამედ მხოლოდ 3 წლის (დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა) განმავლობაში მიუღებელი სარგებელი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და მიიჩნია, რომ ნივთზე გაღებული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნა დასაბუთებული იყო. გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოპასუხის დასაბუთებით, სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია, რომ, 10 წლის წინ ფართზე გაღებული ხარჯების მიუხედავად, საქმის მიმდინარეობის მომენტში ქონების ღირებულება გაზრდილი არ ყოფილა. მისივე პოზიციით, მიუღებელი სარგებლის მოთხოვნის 3 წლით შეზღუდვა დაუშვებელია იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს ხანდაზმულობაზე, როგორც ფაქტობრივ გარემოებაზე, არც კი მიუთითებია.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ მოპასუხის საჩივარი. მისი პოზიციით, მიუღებელი სარგებლის მოთხოვნის დელიქტურ პასუხისმგებლობად მიჩნევა სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით არასწორია, რადგან ამ დანაწესით ქონება მხოლოდ შემცირებისგანაა დაცული, ხოლო ნივთის არამართლზომიერი ფლობა ქონებრივ დანაკლისს არ ქმნის. უზენაესი სასამართლოს დასაბუთებით, შემთხვევის მოსაწესრიგებლად საჭირო იყო სკ-ის 982-ე მუხლის გამოყენება, რომელიც პირს ავალდებულებს უფლებაში ჩარევით გამოწვეული გამდიდრების გათანაბრებას და არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დამფუძნებელ ნორმას. უკანონო სარგებლობით მიღებული სარგებელი უნდა გამოთვლილიყო ფლობის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში გადასახდელი ქი-

რის ოდენობით. ამ გარემოებებში სკ-ის 164-ე მუხლის გამოყენება სასამართლომ გამოორიცხა იმის გამო, რომ მიღებულ სარგებელს მოცემულ გარემოებებში წარმოადგენდა ნივთით სარგებლობის შესაძლებლობა, რის დაბალანსებასაც ემსახურება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები. ამასთან, საკასაციო სასამართლომ უარყო ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის 3 წლის განმავლობაში სარგებლობით შეზღუდვის კანონიერებაც, მისი აზრით, პირველ რიგში, კონდიქციურ მოთხოვნებზე ვრცელდება ათწლიანი ხანდაზმულობა და, გარდა ამისა, მოპასუხის წამოყენებული მოთხოვნა არ შეიძლებოდა განხილულიყო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნად, რომელზეც შეიძლებოდა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გამოყენებულიყო.

მოსარჩელის მოთხოვნის განხილვის მიზნებისთვის უზენაესმა სასამართლომ გამოსაყენებელ ნორმებად სკ-ის 987-ე და 164-ე მუხლები მიიჩნია. თუმცა, მისი აზრით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სკ-ის 987-ე მუხლის მხედველობაში მიღება გამოორიცხული იყო სკ-ის 984 II მუხლის გამო - მფლობელი თავადაც იღებდა სარგებელს იმ ნივთიდან, რომელზედაც ხარჯები გაიღო. ამიტომ უპირატესობა უნდა მინიჭებოდა სკ-ის 164-ე მუხლის გამოყენებას. მოპასუხემ ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ უძრავ ნივთზე ხარჯები არ გაღებულა ან ეს არ განხორციელებულა მესაკუთრის ინტერესის გამო.

III. კომენტარი

მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრე ითხოვდა იმ სარგებელს, რომელსაც ის მიიღებდა ნივთის გაქირავების შემთხვევაში, სასამართლო სამივე ინსტანციის ფარგლებში განიხილავდა მფლობელისთვის სარგებლობის პერიოდში შესაბამისი ქირის დაკისრების საკითხს. არასწორია ამ ორი მოთხოვნის (ან მათი ოდენობების) ერთმანეთთან გაიგივება. უპირველესად, მითითება იმაზე, რომ სკ-ის 164 1 მუხლი არ მოიცავს ნივთის სარგებლობის შესაძლებლობის ანაზღაურებას, არასწორია. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული პოზიციით, მფლობელმა

უნდა აანაზღაუროს ნივთის ამორტიზების მიხედვით გამოთვლილი ღირებულება.¹

თუმცა მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობიდან გამომდინარე შეიძლება არსებობდეს მოთხოვნაც, რომელიც დააკმაყოფილებს უფლებამოსილი პირის ინტერესს, მიიღოს ნივთის გაქირავებით მიუღებელი სარგებელი. ნივთის ნაყოფად, სკ-ის 154 III მუხლის მიხედვით, აგრეთვე მოიაზრება ე. წ. გაშუალებული (სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე) შემოსავალი, რომელიც მოიცავს, მათ შორის, ნივთის მესამე პირისთვის სარგებლობაში გადაცემის ქირასაც.² ბრალეულად მიუღებელი სარგებლის (სკ-ის 164 1 მუხლი)³ ოდენობის დადგენისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება სუბიექტურ ფაქტორს (ისარგებლებდა თუ არა უფლებამოსილი მფლობელი ნივთით ამ ხერხით, ამ შემთხვევაში - გააქირავებდა თუ არა), არამედ გადამწყვეტი იქნებოდა თავად ნივთის ბუნება ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით: მაგალითად, წარმოადგენდა თუ არა ნივთის გაქირავებით მიღებული თანხა იმ სარგებელს, რომლის მიღება იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის გულმოდგინე მონაწილისგან მოსალოდნელი. მაგალითად, თუ სავინდიკაციო ობიექტია ნიგნი, დიდი ალბათობით წარუმატებელი იქნებოდა მტკიცება, რომ მფლობელი ვალდებული იყო ნივთი გაექირავებინა, რადგან, როგორც წესი, პირები სხვა საშუალებებით (უფრო ხშირად, უსასყიდლო ფორმით - თხოვებით) ახერხებენ ნიგნზე სარგებლობის უფლების მოპოვებას. ამის საპირისპიროდ, თუკი, ნიმუშისთვის, სახლი საკურორტო ზონაში მდებარეობს, უფრო დასაბუთებულია, რომ მისი გაუქირავებლობა ბრალეული იქნებოდა შესაბამისი სეზონის პერიოდში, ხოლო მისაღები ქირა - ანაზღაურებადი.

მიუღებელი სარგებლის ანაზღაურების მეორე გზა (განსხვავებული ოდენობითა და მტკიც-

ების ტვირთის განაწილებით) იქნებოდა მოთხოვნის სკ-ის 992-ე, 411-ე მუხლებზე დაყრდნობა, რაც სასამართლომ გაუგებარი არგუმენტაციით უარყო. სკ-ის 992-ე მუხლი, რომელიც არ ჩამოთვლის დაცულ სიკეთეთა ნუსხას და ზოგადად ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ადგენს, პირს იცავს არა მხოლოდ მისი ქონების შემცირებისგან, არამედ შემოსავლის მიღების შესაძლებლობის წართმევისგანაც, რადგან ორივე მათგანი მოცულია ზიანის ცნებით.⁴ თუმცა ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს მოუწევდა მტკიცება (მიზეზობრივი კავშირის ელემენტზე მსჯელობისას), რომ ის შეიძლება ნივთის გაქირავებას, როცა სკ-ის 164 1 მუხლით ბრალეულად მიუღებელი სარგებლის მოთხოვნა გულისხმობს ნივთის შესაბამისი თვისებებისა და სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების დადასტურების აუცილებლობას. ამასთან, დელიქტური მოთხოვნები გამოირიცხულია მხოლოდ კეთილსინდისიერი მფლობელის წინააღმდეგ, თუმცა მფლობელის არაკეთილსინდისიერებისას უფლებამოსილი პირის ყველა მოთხოვნა მის მიმართ ძალაში რჩება, სკ-ის 164 4 მუხლის მიხედვით.⁵

მფლობელის, სკ-ის 987 I მუხლიდან გამომდინარე, მოთხოვნის უარყოფა სკ-ის 984 II მუხლზე მითითებით ამ ორი დანაწესის დანიშნულების სრულ იგნორირებას უნდა მიენეროს. უპირველესად, ძალიან რთულია მოიძებნოს სისტემური ბმა დასახელებულ ნორმებს შორის, როდესაც სკ-ის 984-ე მუხლი ადგენს ხელყოფის კონდიქციიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას, ხოლო სკ-ის 987-ე მუხლი დანახარჯების კონდიქციას ეხება. სამართლებრივი ფიგურა, რომელზეც სასამართლო არასწორად საუბრობს, მიემართება კეთილსინდისიერ მფლობელს და გულისხმობს ნივთიდან მიღებული სარგებლიდან მასზე გაღებული ხარჯებისა და გაუმჯობესების გამოქვითვას, სკ-ის 163 II 1 მუხლის მიხედვით. იგივე დანაწესი არაკეთილსინდისიერ მფლობელთან დაკავშირებით არ არსებობს, რადგან ის, კეთილსინდისიერი

¹ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 61.

² Wilhelm, Sachenrecht, 2010, 1270; Stresemann, in Münchener Kommentar zum BGB, 8. Aufl. 2018, § 99 Rn. 6.

³ მსჯელობა ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც მესაკუთრე შეიძლება იმის დადასტურებას, რომ არაუფლებამოსილი მფლობელი არაკეთილსინდისიერი იყო.

⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2019, 408-ე მუხლი, მე-8 ველი.

⁵ რუსიაშვილი/სირდაძე/ვენატაშვილი, სანივთო სამართალი (კაზუსების კრებული), თბილისი 2019, 43.

მფლობელისგან განსხვავებით, ნაყოფის დაბრუნებასთან ერთად, ვალდებულია, ანაზღაუროს ბრალეულად მიუღებელი სარგებელიც (სკ-ის 164 2 მუხლი). სასამართლო, სკ-ის 987 I მუხლის გამორიცხვით ქმნის დანახარჯების კონდიქციის გამოყენების დამატებით წინაპირობებს, რომელიც კანონით გათვალისწინებული არაა. სკ-ის 984 II მუხლი მოიცავს ხელმყოფის მიერ სამართლებრივი სიკეთის მოპოვებისთვის გაღებული ხარჯების შემთხვევას, რომლის გამოყენების მთავარი სივრცეა ნივთზე საკუთრების სასყიდლიანი გადაცემის წარუმატებელი მცდელობები. ასეთ შემთხვევაში ხელმყოფს არ აქვს უფლება, გაღებული საფასური გამოქვითოს ხელყოფის კონდიქციით ანაზღაურებადი მოცულობიდან, რადგან ის თავად ატარებს ამ თანხის კონტრაქტისგან დაუბრუნებლობის რისკს.⁶ ამდენად, არაკეთილსინდისიერი მფლობელი ინარჩუნებს დანახარჯების კონდიქციას ნივთის სარგებლობის შესაძლებლობის მიუხედავად.

პრობლემა, რომელსაც სასამართლომ გვერდი აუარა დოგმატურად არასწორი დასაბუთებით, სკ-ის 163-164-ე და 987-ე მუხლებს შორის არსებული კონკურენციაა. მიზანშეწონილადაა მიჩნეული მათი პარალელურად გამოყენება იმ განსხვავების გაკეთების აუცილებლობით, როდისაა დანახარჯების ანაზღაურების ინტერესი სავინდიკაციო ნივთის უკან დაბრუნება და რა შემთხვევაში - გაუმჯობესებით სარგებლობის შესაძლებლობის მიღება.⁷ მოცემულ საქმეში, როდესაც მესაკუთრეს ნივთი უკვე დაბრუნებული აქვს, უფრო დასაბუთებადია, სასამართლოს გადანყევტის საწინააღმდეგოდ, დანახარჯების ანაზღაურება სკ-ის 987 I მუხლს დაყრდნობოდა.

ნინო ქავშაია

► 1.3 - 11/2020

უძრავი ნივთის არარეგისტრირებადი უფლებრივი ტვირთი

1. მორიგება არის გარიგება და მის მიმართ გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები. საჯარო აუქციონზე ნივთის შემძენი არ იბოჭება იმ (სასამართლოს მიერ დამტკიცებული) მორიგების პირობებით, რომელიც დადო თავდაპირველმა მესაკუთრემ.

2. თუკი პირის ვალდებულება ნივთის იპოთეკისგან თავისუფალ მდგომარეობაში გადაცემა იყო, კრედიტორის საკუთრებაში მიღებული დატვირთული ნივთის დერელიქცია ხელშეკრულებიდან გასვლის ნების გამოვლენად უნდა განიმარტოს.

3. „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით განსაზღვრული საცხოვრებელი სადგომის შემძენზე გადადის წინა მესაკუთრის იმავე კანონიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 20 ოქტომბრის განჩინება № ას-979-924-2015

სკ-ის 491, 494 II მუხლები

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75 V მუხლი

„საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 2 II მუხლი

I. ფაქტობრივი გარემოებები

უძრავი ნივთის მესაკუთრესა და მოსარგებლეს („საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის გაგებით) შორის დამტკიცდა მორიგება, რომლითაც მესაკუთრემ იკისრა ქონების იპოთეკისგან თავისუფალ მდგომარეობაში

⁶ რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, 2020, 85.

⁷ იქვე, 100.

გადაცემის ვალდებულება მოსარგებლისგან¹ თანხის მიღების სანაცვლოდ. მოსარგებლე დარეგისტრირდა ნივთის მესაკუთრედ, თუმცა მოგვიანებით საკუთრებაზე უარი თქვა იმის გამო, რომ თავდაპირველ მესაკუთრეს იპოთეკარი არ დაუკმაყოფილებია და, შესაბამისად, იპოთეკა არ შეწყვეტილა. იპოთეკის საგანი საჯარო აუქციონში შეიძინა მოსარჩელემ, რომელმაც ვინდიკაციური სარჩელი აღძრა მოსარგებლის წინააღმდეგ.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, რაც გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი და განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობების თავისებურებები. მეორე ინსტანციის სასამართლომ თავდაპირველ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის დამტკიცებული მორიგება მიიჩნია მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის უძრავ ქონებაზე დადებულ გარიგებად. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულობა, რომელშიც მოსარგებლე დარეგისტრირდა იპოთეკით ჯერ კიდევ დატვირთული ნივთის მესაკუთრედ, ნაკლოვან შესრულებად უნდა მიჩნეულიყო, რომელიც მას აძლევდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, სკ-ის 491-ე მუხლის მიხედვით. ნივთზე მესაკუთრედ რეგისტრაციაზე უარით მოსარგებლემ მიღებული შესრულება უკან დააბრუნა და ამით გამოხატა ხელშეკრულებიდან გასვლის ნება, რამაც ის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით განსაზღვრული მოსარგებლის პოზიციაში დააბრუნა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმავე კანონით დადგენილი მესაკუთრე-მოსარგებლის ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები გადაჰყვა საჯარო აუქციონზე

შექნილ ნივთს. გარდა ამისა, მოსარჩელეზე, როგორც შემძენზე, ვრცელდებოდა თავდაპირველ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის დამტკიცებული მორიგების პირობები, რომლებიც მითითებული იყო საჯარო აუქციონზე გამოტანილი ქონების აღწერილობაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა და მიუთითა, რომ შემძენზე ვერ გავრცელდებოდა იმ მორიგების პირობები, რომელიც დამტკიცდა თავდაპირველ მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის - ის ვერ გახდებოდა თავდაპირველი მესაკუთრის უფლებამონაცვლე ამ უკანასკნელის მიერ დადებული ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების (მორიგების აქტის) საფუძველზე. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შემძენმა იცოდა სადავო ნივთზე მოსარგებლის უფლებების შესახებ, რადგან ეს ინფორმაცია აუქციონის ჩატარების განაცხადში იყო მითითებული. მოსარჩელე იბოჭებოდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე მოვალეობებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოსარჩელემ და მიუთითა, რომ მისთვის უცნობი იყო მოსარგებლის სამართლებრივი პოზიციის შესახებ, რადგან აღსასრულებელი გადაწყვეტილების მიხედვით, ის მითითებული იყო იპოთეკის საგნის მესაკუთრედ. მოსარჩელის აზრით, დავა ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის იყო და მეორე ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონი. თავდაპირველი მესაკუთრის ნაკლიანი შესრულება მოსარგებლის მიმართ წარმოშობდა ზიანის ანაზღაურების უფლებას და საკუთრების მოსარგებლის მიერ მიტოვება არ უნდა განმარტებულიყო მისი პოზიციის აღდგენის შესაძლებლობად. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო და სრულად გაიზიარა მეორე ინსტანციის სასამართლოს პოზიცია.

¹ დავაში მონაწილეობდა რამდენიმე მოსარგებლე, თუმცა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები გამოტოვებულია დანარჩენი მოსარგებლეების დავაში მხოლოდ პირველ ინსტანციაში ჩართულობის გამო.

III. კომენტარი

სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და, გარდა ამისა, არამართლზომიერი შედეგის მომტანია. ერთი მხრივ, გაუგებარია, როგორ შეიძლება საკუთრებაში უკვე მიღებული ნივთის დერელიქცია შესრულების მიღებაზე უარად განიმარტოს. შეთანხმების საგნის საკუთრებად რეგისტრაცია, დამოუკიდებლად აღებული, შესრულებაა, რომლის ეფექტი არ შეიძლება გაქარწყლდეს საკუთრების გაუქმებით. სასამართლოს მსჯელობით, მოსარგებლემ ნივთი საკუთრებაში მიიღო, თუმცა იმის გამო, რომ სააღსრულებო პროცესის განმავლობაში თავდაპირველმა მესაკუთრემ იპოთეკარი ნებაყოფლობით ვერ დააკმაყოფილა, კრედიტორმა ნაკლიან შესრულებაზე უარი თქვა. მართალია, შესრულებით ვალდებულების გაქარწყლება არა რეალაქტად, არამედ სულ მცირე გარიგების დარ მოქმედებად უნდა იყოს მიჩნეული, თუმცა იმგვარი კონსტრუქციის აგება, რომლითაც კრედიტორს საკუთრება გადაეცემა შესრულების ეფექტის დადგომის მომენტის გადაწვევის პირობებში, შეუძლებელია. ამ მსჯელობის დაშვებით კრედიტორს უფლება აქვს, ფაქტობრივად დაესაკუთროს ნაკლული შესრულების საგანს, თუმცა მოვალე ვალდებულებისგან გათავისუფლებულად მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისას მიიჩნიოს. ეს ხელოვნური გადაწყვეტაა, რომელიც გაურკვეველ მიზნებს ემსახურება. ჩვეულებრივ, ნაკლიანი შესრულებაც წყვეტს პირველად მოთხოვნებს და ნაკლის გამოსწორება შესრულების ეფექტს კი არ აყენებს, არამედ შესრულების არაჯეროვანებიდან გამომდინარე მეორეული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება. გარდა ამისა, ტექნიკურად გაუგებარია ერთი და იმავე ქმედების შეფასება როგორც შესრულების მიღებაზე უარად, ისე ხელშეკრულებიდან გასვლის გაცხადებად. თუკი კრედიტორი შესრულებას არ იღებს იმის გამო, რომ ის შეთანხმებულს არ შეესაბამება, სკ-ის 491 I მუხლზე მითითება აზრს კარგავს, რადგან ამ დასაბუთებით გასვლის უფლებას აფუძნებს არა ნაკლოვანი შესრულება, არამედ შესრულების არარსებობა. ამასთან, მიღებული უძრავი ნივთის დერელიქციის გა-

სვლის ნების კონკლუდენტურ გამოვლენად განმარტებას ელოდება უძრავ ნივთზე სახელმწიფოს მიერ საკუთრების მოპოვება, „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 14 IV მუხლი.

მეორე პრობლემა, რომელიც საქმის გარემოებებში გამოიკვეთა, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების უფლებამონაცვლეებზე გავრცელების შესაძლებლობაა, კანონის 2 II მუხლის მიხედვით. ამ დანაწესის სადგომის შემძენზე გავრცელება თითქმის ყოველთვის გაართულებს მისი ინტერესების დაცვას: ამისთვის პოტენციურ შემძენს მოუწევს დეტალური გადამოწმება იმისა, არსებობს თუ არა ნივთზე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლებები. წინა მესაკუთრისადმი არსებული მოთხოვნების ნივთის შემძენზე გადასვლა სანივთოსამართლებრივი ტვირთის შინაარსისაა, რაც უძრავი ნივთების შემთხვევაში რეგისტრირებული პოზიციით უნდა იყოს გამოხატული. ამაზე თავად სასამართლომ მიუთითა: „*აუქციონის წესით შემძენზე ძველი მესაკუთრის მხოლოდ სანივთოსამართლებრივი უფლება-მოვალეობები გადადის და ე. გ-ი [მოპასუხე] ა. მ-ის [წინა მესაკუთრის] უფლებამონაცვლე ვ. დ-სა და მ. ს-თან [მოსარგებლებთან] მიმართებით მხოლოდ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სამართალურთიერთობის კონტექსტშია...*“. თუმცა ის ამასთან ერთად ამონიშნებს შემძენის ცოდნასაც ამ უფლებრივ ტვირთთან დაკავშირებით და სრულად ნეიტრალური რჩება იმ მოცემულობისადმი, რომ უძრავ ნივთებზე მსჯელობისას ეს საერთოდ არ უნდა სჭირდებოდეს, რადგან ყველა ასეთი უძრავ ნივთს მიდევნებადი უფლება რეგისტრირებადი უნდა იყოს.

მითითება იმაზე, რომ სარგებლობის უფლების მინიჭების ვალდებულება, რომელიც არა სანივთო, არამედ ვალდებულებითსამართლებრივი ხასიათის და არარეგისტრირებადია, აქვს დაქირავებული (მათ შორის, უძრავი) ნივთის შემძენსაც (სკ-ის 572-ე მუხლი),

გამოუსადეგარია, რადგან დამქირავებლის პოზიცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოსარგებლის უფლებამოსილებებს.¹ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ კანონის 7 I, II მუხლების მიხედვით, უპირველესად არსებობს სწორედ მოსარგებლეთა შესაძლებლობა სადგომის საკუთრებაში მიღებისა, რომელიც ქარწყლდება გარკვეული წინაპირობების შესრულებისას და მესაკუთრეს მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭება კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ მათი მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება. არც ერთი ინსტიტუტი არ იცნობს იმგვარ კონსტრუქციას, რომელიც უძრავ ნივთზე ფლობისა და სარგებლობის უფლებას გადაზრდის საკუთრების გადაცემის მოთხოვნაში მხარეთა ნების გამოვლენისა და რეგისტრაციის გარეშე.

სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ მორიგების პირობების გავრცელება ნივთის შემძენზე დაუშვებელია. ცალსახაა, რომ სანინააღმდეგო გადაწყვეტა ეჭვქვეშ დააყენებდა სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახის, ქონების დაყადაღების, არსებობის აუცილებლობას.

ნინო ქავშაია

► 1.4 - 11/2020

აღნაგობის საგანზე გაღებული დანახარჯების ანაზღაურება

1. აღნაგობის ხელშეკრულებაზე ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი დანაწესები (სსკ 352-ე და 405-ე მუხლები), მიუხედავად იმისა, რომ აღნაგობის მომწესრიგებელი ნორმები გასვლის სპეციალურ დანაწესს შეიცავს სკ-ის 236 II მუხლის სახით.

¹ „მოსარგებლის“ ცნებაში, დამქირავებლის უფლებამოსილებებისგან განსხვავებით, სანივთოსამართლებრივი პოზიციის ელემენტებს ხედავს საკონსტიტუციო სასამართლოც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/103,117,137,147-48,152-53, 2001 წლის 7 ივნისი.

2. ბათილია აღნაგობის ხელშეკრულების დათქმა, რომელიც მეაღნაგეს ართმევს ხელშეკრულების შეწყვეტისას ნივთზე განუყოფი დანახარჯების ანაზღაურების უფლებას იმ შემთხვევისათვის, როცა მეაღნაგემ მასზე დაკისრებული ვალდებულება დაარღვია.

3. სკ-ის 359-ე მუხლში არ იგულისხმება იმგვარი დათქმის შეთანხმება, რომლითაც მოვალე კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლიდან გამომდინარე გადაცემულის რესტიტუციის უფლებასაც. ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეები ადგენენ სახელშეკრულებო გასვლის უფლებას და არა მოვალის მოთხოვნებისთვის გაუქმების პირობას.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება № ას-938-903-2016

სკ-ის 352-ე მუხლი

I. ფაქტობრივი გარემოებები

ქალაქ თბილისის მერიასა და კომპანიას შორის დაიდო იჯარისა და აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიას 49 წლის ვადით დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაეცა ორი მიწის ნაკვეთი. ამასთან, კომპანიამ იკისრა მიწის ნაკვეთებზე ინვესტიციის განხორციელებისა და დახურული საცურაო აუზის მოწყობის ვალდებულება. ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ქალაქ თბილისის მერიას ენიჭებოდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეული იქნებოდა კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, მას არ აუნაზღაურებოდა მიწის ნაკვეთზე განუყოფი ხარჯები. კომპანიამ ნაკისრი ვალდებულება დაარღვია, რის გამოც ქალაქ თბილისის მერიამ სარჩელი აღძრა და მოითხოვა კომპანიისათვის გადაუხდელი ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრება. თავის მხრივ, კომპანიამ შეგებებული სარჩელით მიმა-

რთა სასამართლოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯების (საბაგროს და კვების ობიექტის მოწყობა) ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ მერიის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა (საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს ნაწილში); სასამართლომ ასევე დააკმაყოფილა შეგებებული სარჩელიც, ბათილად ცნო ხელშეკრულების სადავო მუხლები და მერიას დაავალა კომპანიისათვის მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯების ანაზღაურება. გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ ქალაქ თბილისის მერიამ, თუმცა მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ არსებითად იმსჯელა საჩივარზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტებები ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერია ასაჩივრებდა ხელშეკრულების იმ მუხლების ბათილად ცნობას, რომელთა მიხედვით კომპანიას არ აუნაზღაურებოდა მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებაზე განეული ხარჯები, თუკი ხელშეკრულებას ქალაქ თბილისის მერია ცალმხრივად შეწყვეტდა კომპანიის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველით. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნაგობის მარეგულირებელი ნორმები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, მესაკუთრე სკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული გარდასხვა შემთხვევაშიც გავიდეს ხელშეკრულებიდან. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნაგობის მომწესრიგებელი ნორმები შეიცავს ხელშეკრულებიდან გასვლის სპეციალურ წესს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ზოგადი ნორმების - სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების - გამოყენება. უზენაესი სასამართლოს შეფასებით წინამდებარე შემთხვევას ყველაზე მეტად მიესადაგება სკ-ის 353 II მუხლი, რომლის თანახმად „თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ანაზღაურებს ფულით ან, თუ 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიხედვით დაუშვებელია ზიანის

ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორმა მათ საფუძველზე სარგებელი მიიღო.“ ქალაქ თბილისის მერია მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება სტანდარტული პირობით არის დადებული, რაც საკასაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სკ-ის 342-ე მუხლის სუბიექტს თბილისი მერია არ წარმოადგენს, ვინაიდან შეუძლებელია მის ყოველდღიურ საქმიანობად იქნას მიჩნეული იჯარის/აღნაგობის ხელშეკრულების დადება. ქალაქ თბილისის მერია აპელირებდა სკ-ის 359-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც „თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაკარგოს თავისი უფლებები, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ კრედიტორს ამ შემთხვევის დადგომისას შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან.“ ქალაქ თბილისის მერია მიუთითებდა, რომ დადებული ხელშეკრულება შეესაბამება სკ-ის 359-ე მუხლს და, შესაბამისად, კომპანიამ დაკარგა თავისი უფლებები, მათ შორის ხელშეკრულებიდან გასვლისა და რესტიტუციის უფლებები. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სკ-ის 359-ე მუხლი არ წარმოადგენს გაუქმების პირობას, როგორც ეს გათვალისწინებულია სკ-ის 97-ე მუხლში, არამედ, წარმოადგენს გასვლის დათქმას, რომლის დროსაც სახეზე უნდა იყოს გასვლის ზოგადი წინაპირობები (ვალდებულების დარღვევა), თუმცა მუხლი უფლებას აძლევს მხარეს, გავიდეს ხელშეკრულებიდან დამატებითი ვადის დანესების ან გაფრთხილების გარეშე. ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკ-ის 359-ე მუხლი ხელშეკრულების დამრღვევ მოვალეს არ ართმევს ორმხრივი რესტიტუციის უფლებას. უზენაესმა სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ თუკი სკ-ის 359-ე მუხლის განმარტება იმგვარად მოხდებოდა, რომ კომპანიას აღარ აქვს თბილისის მერიისათვის გადაცემულის რესტიტუციის უფლება, მაშინ ამით მხოლოდ მერია მიიღებდა სარგებელს, დისპროპორციულად გაუარესდებოდა კომპანიის მდგომარეობა

და ამგვარი დათქმა ისედაც ბათილი იქნებოდა სკ-ის 325-ე მუხლის თანახმად. მეტიც, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კომპანიას შეგებებული სარჩელით რომც არ მოეთხოვა ხელშეკრულების სადავო დათქმის ბათილად ცნობა, ამაზე სასამართლო იმსჯელებდა საკუთარი ინიციატივით, ვინაიდან სახეზეა უცილოდ ბათილი პირობა სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად.

გორა ოყრეშიძე

► 1.5 – 11/2020

მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა ზიანის ანაზღაურების ნებისმიერი შემადგენლობისთვის

ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს მიზეზობრივი კავშირი. აღნიშნული ზოგადი წესი მოქმედებს მაშინაც, როცა სპეციალური კანონი ზიანის ანაზღაურებისათვის არ აწესებს მიზეზობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობას. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 148 ბრძანებულება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება № ას-247-506-08

II. ფაქტობრივი გარემოებები

2006 წლამდე მოქმედი რეგულაციის მიხედვით საქნახშირის (კომპანია, რომელიც ტყიბულში ახორციელებს ქვანახშირის მოპოვებას) სისტემის შახტაში მომხდარი ავარიების შედეგად დასახიჩრებული და დაავადებული მუშაკების რეგრესულ პენსიებს გასცემდა დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. თუმცა, 2006 წელს განხორციელებული ცვლილებებით დაზარალებულთა სარჩოს გაანგარიშებისა და ზიანის ანაზღაურების ფუნქცია დაეკისრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგე-

ნტოს („სააგენტო“, „მოსარჩელე“). აღნიშნული ფუნქციის მოსარჩელე ახორციელებდა მისი 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოს მეშვეობით. სააგენტომ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოავლინა, რომ 1999 წელს პირის სარჩო არასწორად დაენიშნა. კერძოდ, 1999 წელს ერთ-ერთ პიროვნებას დაენიშნა სარჩო მარჩენალის გარდაცვალების გამო, თუმცა, არ დასტურდებოდა ზიანის (პირის გარდაცვალება) დადგომა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით. სააგენტოს პოზიციით გარდაცვალების მიზეზი უნდა დადგენილიყო შესაბამისი სამედიცინო საქსპერტო დასკვნის მეშვეობით, რომელიც გარდაცვლილის პირად საქმეში არ მოიძებნებოდა, შესაბამისად, სააგენტოს მოსაზრებით, უკანონო იყო სარჩოს დანიშვნაც. სააგენტომ სარჩელი აღძრა საწარმოსა (რომელიც უკვე ლიკვიდაციის რეჟიმში იმყოფებოდა) და სარჩენი პირის მიმართ და მოითხოვა არასწორად განკარგული თანხების ანაზღაურება. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ გარდაცვლილმა შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიიღო საწარმოო ტრავმა, ჩაუტარდა მარცხენა ქვედა კიდურის ბარძაყის ამპუტაცია და, ვინაიდან ჭრილობა არ შეუხორცდა, განგრენით გარდაიცვალა. ამდენად, მოპასუხის პოზიციით, გარდაცვალება პირდაპირ კავშირშია საწარმოო ტრავმასთან. ამასთან, მოპასუხის განმარტებით სარჩოს დანიშვნისას სადავო მიზეზობრივი კავშირის არსებობა სავალდებულო არ არის. ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სარჩენ პირს დააკისრა სარჩოს სახით გადახდილი თანხების დაბრუნება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დააკმაყოფილა, გააუქმა ტყიბულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო შემთხვევისას მოქმედი რეგულაციის მიზანი იყო დასაქმებულთათვის სოციალური გარანტიების შექმნა, რათა მათი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახი მარჩენალის გარეშე არ დარჩენილიყო. კანონმდებლობით მიზეზობრივი კავშირის დადასტურების აუცილებლობა მხოლოდ 2003 წე-

ლს დადგინდა, შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნა არ არსებობდა სადავო შემთხვევის დროს.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უკან დააბრუნა. კერძოდ, საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებებს მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესების თანახმად აუცილებელია სახეზე იყოს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის კანონის ზოგადი მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებდა როგორც ამჟამად მოქმედი, ისე საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად, მიუხედავად სპეციალური რეგულირებისა, ზიანის ანაზღაურების მიმართ მოქმედებს ზოგადი წესები და მიზეზობრივი კავშირის დადგენის გარეშე ანაზღაურების ვალდებულება არ არსებობს. თუმცა, ამავე დროს უზენაესმა სასამართლომ უარყო კასატორის პოზიცია გადახდილი თანხების სარჩენი პირისაგან უკან გამოთხოვის თაობაზე, ვინაიდან, მოქმედი რეგულაციის თანახმად, ამგვარი გამოთხოვა დასაშვებია იყო მხოლოდ მაშინ, თუკი თანხების გაანგარიშდა წინასწარ გამიზნული ყალბი საბუთების საფუძველზე, ანგარიშში შეცდომის გაპარვის ან მონაცემთა დამალვის შემთხვევაში, რამაც გავლენა იქონია ზიანის თანხის ოდენობაზე.

გოჩა ოყრეშიძე

► 1.6 – 11/2020

მთავარი ნივთის საკუთრების საკუთვნებელზე გავრცელების ვარაუდი

საცხოვრებელ ბინაში არსებული ნივთები, რომლებიც მიიჩნევა საკუთვნებლად, ითვლება საცხოვრებელი ბინის მესაკუთრის საკუ-

თრებად, სანამ საპირისპირო არ დადასტურდება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება № ას-26-24-2013

სკ-ის 151-ე და 158-ე მუხლები

II. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელებმა სარჩელი შეიტანეს შემოსავლების სამსახურისა და ერთ-ერთი ინდივიდუალური მენარმის მიმართ და მოითხოვეს აღსრულების ეროვნული ბიუროს აქტით დაყადაღებული მოძრავი ნივთების (სავარძელი, მაგიდა, ტახტის, მაცივარი და ა.შ.) ყადაღისაგან გათავისუფლება. მოსარჩელეთა მითითებით ქონებას ყადაღა დაადო აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, მოპასუხე ინდივიდუალური მენარმის მიმართ შემოსავლების სამსახურის მიერ გამოტანილი ბრძანების საფუძველზე. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ინდივიდუალური მენარმე დროებით ჩანერილი იყო მათ კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ რეგისტრაცია გაუქმდა. მოსარჩელეთა განმარტებით სადავო ქონება წარმოადგენდა მათ საკუთრებას და შეცდომით დაედო ყადაღა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერაც. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მართალია საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ერთ-ერთ მოსარჩელეს, თუმცა მოპასუხე ინდივიდუალური მენარმე არის მოსარჩელეთა ძმა და ცხოვრობს აღნიშნულ ბინაში. სასამართლოს განმარტებით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მიხედვით მოსარჩელებს უნდა დაედასტურებინათ, რომ დაყადაღებულ ნივთებზე მათ გააჩნდათ საკუთრების უფლება, რაც მათ ვერ შეძლეს. სასამართლომ გამორიცხა მოძრავი ნივთების მფლობელის მიმართ

არსებული პრეზუმფცია, ვინაიდან ბინაში ცხოვრობდნენ როგორც მოსარჩელები, ისე მოპასუხე, ამიტომ პრეზუმფცია სამივეზე ვრცელდებოდა.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და ყადაღისგან გაათავისუფლა სადავო ქონება. სასამართლოს განმარტებით, ასეთი ტიპის დავებში მტკიცების ტვირთი აწევს მოსარჩელეს, რომელმაც უნდა დაადასტუროს სადავო ქონებაზე მისი საკუთრების უფლება. ამ კუთხით მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ვინაიდან ნივთები განთავსებულია მის საკუთრებაში არსებულ ბინაში, ამიტომ ისინი მოსარჩელეს ეკუთვნის. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სკ-ის 151 და 158 I მუხლებზე და განმარტა, რომ ვინაიდან სადავო ნივთები იმყოფებოდა მოსარჩელის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, ამიტომ მოპასუხე შემოსავლების სამსახურს უნდა ემტკიცებინა, რომ სადავო ნივთები არ ეკუთვნოდა მოსარჩელეს. სადავო ნივთები სკ-ის 151-ე მუხლის თანახმად წარმოადგენდა საკუთვნილებლს, შესაბამისად, არსებობდა პრეზუმფცია, რომ მთავარი ნივთის მესაკუთრე იყო საკუთვნილების მესაკუთრეც.

გონა ოყრეშიძე

▶ 1.7 – 11/2020

საბანკო გარანტიის საფუძველზე გადახდის პრინციპალისთვის დაბრუნება

1. საბანკო გარანტიის ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე ბენეფიციარისათვის გადახდილი თანხის უკან გამოთხოვა დაუშვებელია უსაფუძვლო გამდიდრების წესების საფუძველზე.

2. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია გაანაღდოს საბანკო გარანტია. გარანტიის საფუძველზე გადაცემული შესრულების გამოთხოვის შე-

საძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება №ას-1681-2018

სკ-ის 879-ე, 881-ე და 976-ე მუხლები

II. ფაქტობრივი გარემოებები

მენარდე კომპანიასა და თავდაცვის სამინისტროს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ორი ხელშეკრულება. ხელშეკრულებებით დადგენილი მინოდების ვადის გადაცილების მიზეზით სამინისტრომ კომპანიას დააკისრა პირგასამტეხლო, რის გადახდაზეც მენარდემ უარი განაცხადა. საბოლოოდ, სამინისტრომ მოთხოვნის აღსასრულებლად მიმართა სასამართლოს, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა სამინისტროს მოთხოვნა და მენარდეს პირგასამტეხლოს სახით დააკისრა 5,000 ლარის გადახდა, რაც მენარდემ გადაიხადა. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ გაანაღდა საბანკო გარანტია და დამატებით მიიღო, ჯამში 40,659, ლარი. შესაბამისად, მენარდემ სამინისტროსგან მოითხოვა ზედმეტად მიღებული თანხის ანაზღაურებას. სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ პირგასამტეხლო 5,000 ლარის ოდენობით მოსარჩელემ გადაიხადა ვადის დარღვევის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო საბანკო გარანტიის განაღდებას საფუძველად დაედო მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა, რის გამოც გარანტმა დააკმაყოფილა ბენეფიციარის მოთხოვნა. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და სამინისტროს მენარდის სასარგებლოდ დააკისრა 40,659 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერაც.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

▶ 1.8 – 11/2020

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სამინისტროს საჩივარი, გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. სასამართლომ პრეიუდიციული ძალის მქონედ მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მენარდემ დაარღვია მასზე დაკისრებული ვალდებულებები (რამდენადაც დარღვევა უკვე დადგენილი იყო სხვა სასამართლო დავაში). ხოლო, სამინისტრომ საბანკო გარანტიის თანხა საბანკო გარანტიის ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო, რაც, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ავტომატურად გამორიცხავდა სკის 976-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ, უზენაესი სასამართლოს მითითებით მოთხოვნა, შეიძლება, ეფუძნებოდეს საბანკო გარანტიის მომწესრიგებელ ნორმებს. შესაბამისად, სახეზეა სახელშეკრულებო და არა კონდიქციური მოთხოვნა. სასამართლოს განმარტებით საბანკო გარანტია, გარკვეულწილად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული იმგვარი გარიგებაა, რომელიც უზრუნველყოფს პრინციპალის მხრიდან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მისი კრედიტორის ინტერესებს. ამასთან, საბანკო გარანტია არააქცე-სორული ბუნებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დამოკიდებული არ არის უზრუნველყოფილ ვალდებულებაზე. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საბანკო გარანტიის ინსტიტუტის მარეგულირებელი არცერთი ნორმა არ შეიცავს ბენეფიციარისათვის გარანტიის საფუძველზე გადაცემული შესრულების გამოთხოვის შესაძლებლობას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც უდავოა, რომ ვალდებულება დაირღვა. ამდენად, იურიდიულად გაუმართლებელია პრინციპალის მოთხოვნა ბენეფიციარის მიმართ, დააბრუნოს საბანკო გარანტიის საფუძველზე მიღებული შესრულება.

გოჩა ოყრეშიძე

არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

არაჯეროვანი შესრულება, რომელიც კრედიტორის სხვა სამართლებრივ სიკეთეებსაც აზიანებს, წარმოადგენს არა დელიქტურ, არამედ სახელშეკრულებო ზიანს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება № ას-313-298-2016

სკ-ის 317-ე, 394-ე და 647-ე მუხლები

II. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ ორი თანამოპასუხისათვის მოითხოვა მიყენებული ზიანის 5,750 ლარის ოდენობით სოლიდარულად დაკისრება. მოსარჩელის განმარტებით, მას ერთ-ერთი თანამოპასუხე დაპირდა, რომ გამოაცვლევიანდა კუთვნილი ავტომობილის ზეთსა და ფილტრს საკუთარ მალაზიაში, სადაც ასევე ეწევიან ამგვარ მომსახურებას. თუმცა, შეძენილი და დამონტაჟებული ფილტრი აღმოჩნდა უხარისხო, ვერ უზრუნველყო საკმარისი რაოდენობის ზეთის გატარება, რის შედეგადაც დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილის ძრავი, რომლის შეკეთებისათვის მოსარჩელეს მოუხდა დიდი ოდენობით ხარჯის განევა და მიადგა ზიანი. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ ზიანის მიყენებაში ბრალი არ მიუძღვით, რადგანაც ავტომობილის ძრავს ისედაც ჰქონდა პრობლემა, რის თაობაზეც მოსარჩელემ თავადვე განაცხადა, გამყიდველმა მოსარჩელეს მხოლოდ ის შესთავაზა, რომ ზეთი გამოეცვალათ მის მალაზიაში, ფილტრის შერჩევაში მას მონაწილეობა არ მიუღია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 5,750 ლარის. შეტანილი

სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დელიქტური სამართლის ნორმების გამოყენება და მიუთითა, რომ ვინაიდან მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება ზეთისა და ფილტრის შეძენა/შეცვლის სამუშაოების განხორციელებაზე და კავშირებით, ამიტომ მოთხოვნის დასაბუთებულობა უნდა შეფასებულიყო სახელშეკრულებო/ზიანის ანაზღაურების ზოგადი და არა დელიქტური ნორმების შესაბამისად. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ზეთის ფილტრი, რომელიც გადაეცა მოსარჩელეს, არ იყო განკუთვნილი მისი ავტომანქანისათვის, რაც მის ნაკლოვანებაზე მიუთითებდა. თუმცა, ზიანი გამოიწვია არა ფილტრის გადაცემამ, არამედ მისმა დამონტაჟებამ. ასეთ შემთხვევაში, მენარდე ვალდებულია გააფრთხილოს დამკვეთი, რომ მისგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ შეცვალა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, თუმცა მენარდეს კვლავ დააკისრა ხელშეკრულების დარღვევით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

გოჩა ოყრეშიძე

► 1.9 - 11/2020

დავლების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება

1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას განეული აუცილებელი ხარჯები უნდა აუნაზღაურდეს შემსრულებელს. ის ფაქტი, რომ ასეთი ხარჯები არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, ანა-

ზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი ვერ იქნება.

2. დაინტერესებული პირის მითითება არ შეიძლება შეფასდეს სკ-ის 969-ე მუხლით გათვალისწინებულ დავალებად ან სხვა საფუძველად.

3. ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისას გადახარჯვის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სკ-ის 631-ე, ხოლო მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისას - სკ-ის 398-ე მუხლია.

4. განსხვავებით ფაქტების დადგენის პროცესიდან, დავის საგნის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 6 ივლისის № ას-696-696-2018 განჩინება

სკ-ის 629, 631, 969, 971, 972, 973-ე მუხლები; სკ-ის 105 I, II, 178 I, 391-ე მუხლები; სზაკ-ის 65, 69-ე მუხლები და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მხარეებს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა მოსარჩელემ 8 ქუჩის სავალი ნაწილი ბეტონის საფარით მოაწყო. ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქუჩის მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული წყალსადენის ქსელის მოწყობა, რამაც გამოიწვია მიმდინარე სამუშაოს შეფერხება, ამიტომ ქუთაისის მერიის ხელმძღვანელ პირთა მითითებით, მოსარჩელემ წყალსადენის ქსელის მოწყობისთვის ხელშეკრულება გააფორმა სხვა მშს-თან, რომელმაც შეასრულა აღნიშნული სა-

მუშაობი. ექსპერტიზის დასკვნით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება განისაზღვრა 54 280.15 ლარით. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხემ მოსარჩელეს შესაბამისი ანაზღაურება არ ჩაურიცხა და ამ უკანასკნელმა ზემოთ მითითებული შპს-ს მიმართ არსებული დავალიანება ვერ დაფარა. ქუთაისის მერიამ აღიარა წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების ფაქტი, რაც დასტურდება ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიწერილი წერილით ინფრასტრუქტურის და რეგიონული განვითარების მინისტრისადმი. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სასამართლო წესით განხილული დავის შედეგად თავად გადაუხადა კრედიტორ შპს-ს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არ არის ვალდებული ანაზღაუროს დავალიანება, რომელიც ორ კერძო სუბიექტს – მოსარჩელესა და კრედიტორ შპს-ს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე წარმოიშვა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კი გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 54 280.15 ლარის გადახდა. საკასაციო სასამართლომ საჩივარი დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ერთ-ერთ ქუჩაზე შესაცვლელი გახდა ამორტიზირებული წყალმომარაგების ქსელი, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების დაწყება. ამასთან, სადავო წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესახებ ქ. ქუთაისის მერიისათვის იმთავითვე ცნობილი იყო. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ ნამდვილად გასწია მითითებული ხარჯი, თუმცა ვერ დაადგინა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა, რა-

დგან მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სავალი ნაწილის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში წყალსადენის ქსელის მოწყობა არ იყო გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე სააპელაციო პალატამ დაადგინა რომ მოთხოვნის საფუძვლიანობა უნდა შემომდგეს კანონისმიერი ვალდებულებითი ნორმებით (სკ-ის 969-ე მუხლი). მოსამართლის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი სწორედ მოთხოვნის საფუძვლებს უკავია, რადგანაც მოსამართლეს საქმეზე გადაწყვეტილება ამ საფუძვლების და მხარეთა მიერ მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების მეშვეობით მომზადებული სამართლებრივი დასკვნის ფარგლებში გამოაქვს.¹ დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძვლებზე მუშაობისგან და არ არის შებოჭილი დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით. დასახელებული პრინციპებიდან გამომდინარე მხარეებს შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ მიმართონ თუ არა სასამართლოს, განსაზღვრონ დავის საგანი (მოთხოვნის შინაარსი), მათვე უნდა განსაზღვრონ რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ სასამართლოს, რათა გაამყარონ თავიანთი სამართლებრივი მოთხოვნა. სასამართლომ კი წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად უნდა შეაფასოს. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – „სსკ“) 178 I მუხლის „თ“ პუნქტით მართალია, აღიარებულია მოსარჩელის ვალდებულება, სარჩელში მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზეც (სამართლის ნორმაზე), თუმცა კანონის იმპერატიული დათქმა არ არის, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. თუკი მხარეები განსაზღვრულ საკითხთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციებს ირჩევენ, საქმის მასალებზე დაყრდნობითა და სხვაგვარი დასაბუთებით სა-

¹ ჰ.პოელინგი, *ლ.ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2003, 41.

სამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა. მაშინაც კი, თუ გარკვეული მიზეზების გამო მხარეებმა განსაზღვრულ საკითხთა გარკვევას ბევრი დრო დაუთმეს, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს, თუ სხვაგვარი დასაბუთებით სარჩელში ჩამოყალიბებულ მოთხოვნაზე, გადაწყვეტილების გამოტანა უფრო სწრაფად და ადვილად არის შესაძლებელი.² აღნიშნული გამომდინარეობს ქართულ საპროცესო სამართალში მოქმედი რომაული პრინციპიდან, რომელიც მოსამართლესა და მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობაზე მიუთითებს: „*da mihi facta, dabo tibi ius*“ – „მომეცი ფაქტები, მოგცემ უფლებებს“.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც საკითხი ეხება სხვის საქმეთა გამართლებულ, მეპატრონის ინტერესების შესაბამის საქმეთა გაძლოლას, მაშინ მომხდარი ქონებრივი მიმოქცევა განიხილება როგორც სამართლებრივი საფუძვლის მქონე და ამიტომ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნამდვილი, მართებული შესრულების წინაპირობებია: საქმის შესრულება, სხვისი საქმე, შესრულების ნება, დაინტერესებული პირის ინტერესისა და ნამდვილი ან სავარაუდო ნების შესაბამისად შესრულება, დავალების და სხვა უფლებამოსილების გარეშე.

საქმე რომ ნამდვილად შესრულდა ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს და აღნიშნულს მოპასუხეც არ ხდის სადავოდ და აღიარებს წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულების ფაქტს. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემდეგი წინაპირობაა ის, რომ საქმის შემსრულებელი უნდა მოქმედებდეს სხვისთვის ანუ ის უნდა აცნობიერებდეს, იცოდეს და სურდეს იმოქმედოს სხვა პირის ინტერესებში. საქმე არის სხვისი, თუ ის ობიექტურად განეკუთვნება სხვა პირის ვალდებულებებისა და ინტერესების სფეროს.³ ასეთ შემთხვევაში შესრულების ნება უნდა ვი-

ვარაუდოთ. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებას იმის თაობაზე, რომ სადავო წყალსადენის ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია მოპასუხის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა, რადგან 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება სანიაღვრე მეურნეობისა და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვაზე და განხორციელებაზე ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის ორგანიზებაზე, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფაზე.

მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომლებიც მოთხოვნის წარმოშობის საფუძველია, ხოლო მოპასუხემ – ყველა გარემოება, რომლებიც მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ მის მიერ განხორციელებული სამუშაოები მონინააღმდეგე მხარის ინტერესსა და ნამდვილ თუ სავარაუდო ნებას შეესაბამებოდა. ნება არის პირის სუბიექტური დამოკიდებულება სარგებლის მიმართ, ხოლო ინტერესი-ობიექტური სარგებლიანობაა. საქმის შესრულება მეპატრონის ინტერესებშია, თუ ის მისთვის ობიექტურად სარგებლის მომტანია საქმის შესრულების დაწყების მომენტში.⁴ მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ამორტიზირებული წყალმომარაგების ქსელის გამოცვლის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების დაწყება, სავალი გზის ბეტონის საფარის მოწყობა კი მოპასუხის ინტერესებში შედიოდა. მოცემულ შემთხვევაში საუბარია მოპასუხის სავარაუდო

² იქვე, 44.

³ გ.რუსიაშვილი, დ.ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 18.

⁴ გ.რუსიაშვილი, დ.ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 28.

ნებაზე, რადგან მას რეალური ნება არ გამოუვლენია და ამიტომ დგინდება შესრულებული საქმის შესაბამისობა მოპასუხის ინტერესთან და ნებასთან, ამ თვალსაზრისით მოპასუხეს არ დაუფიქსირებია სანინაალმდეგო პოზიცია.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ბოლო წინაპირობაა რომ საქმე შესრულდეს დავალების და სხვა უფლებამოსილების გარეშე. სასამართლომ ვერ დაადგინა მხარეთა შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა, რადგან მათ შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, სავალი ნაწილის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში წყალსადენის ქსელის მოწყობა არ იყო გათვალისწინებული. ქუთაისის მერიის ხელმძღვანელ პირთა მითითებით, მოსარჩელემ წყალსადენის ქსელის მოწყობისთვის ხელშეკრულება გააფორმა სხვა შპს-თან, რომელმაც შეასრულა აღნიშნული სამუშაოები. ეს მითითება ვერ ჩაითვლება დავალებად ან უფლებამოსილების მინიჭებად, რადგან მოსარჩელის მიერ საქმის შესრულების საფუძველი არც დავალების (ან სხვა) ხელშეკრულება და არც რომელიმე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება ყოფილა.

სკ-ის 969-ე მუხლიდან გამომდინარე შემსრულებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად და მეპატრონის ინტერესების დაცვით შესრულოს საქმეები. ამასთან, კეთილსინდისიერება შეტყობინებასა და განეული სამუშაო ანგარიშის წარდგენის ვალდებულების დროულად შესრულებასაც გულისხმობს სკ-ის 971-ე და 972-ე მუხლებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქონების მესაკუთრე პირველი შესაძლებლობისთანავე ინფორმირებული იყო სამუშაოს შესრულების თაობაზე და დაეთანხმა მას. საქმის გარემოებებიდან ასევე დადასტურდა, რომ დავალების გარეშე შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში წარდგენილ იქნა მეპატრონისათვის. ამდენად, შემსრულებლის კეთილსინდისიერება სახეზეა. განსახილველ შემთხვევაში აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კომერციულ ხასიათს არ ატარებდა, მისი მიზანი არ ყოფილა შემსრულებლის გამდიდრება, ან წარდო-

ბის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, შესრულებულ სამუშაოსათვის ანაზღაურების მიღება, არამედ კონკრეტული ქმედების განხორციელება განპირობებული იყო ობიექტური და გონივრული აუცილებლობით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილის შინაარსზე, რომელშიც მოსარჩელეს სხვა ქუჩასთან დაკავშირებით შექმნილი ანალოგიური პრობლემის აღმოსაფხვრელად მერიისგან პირდაპირ დაევალა „წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია“. მართალია, წინამდებარე შემთხვევაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მოსარჩელის მიერ ზემოთ მითითებულისგან განსხვავებით შესრულდა მერიის დავალების გარეშე, თუმცა ეს მომენტი (დავალება) არ შეიძლება გახდეს მოსარჩელის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი.

სსკ-ის 105-ე მუხლის I და II ნაწილების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი საფუძველიანია და სრულად დააკმაყოფილა ის. მოწინააღმდეგე მხარემ საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ურთიერთობა წარმოიშვა მხარეთა შორის წარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, განმარტავს რომ წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ანუ, წარდობის ძირითადი თავისებურებაა ის, რომ შემკვეთი საკუთრების უფლებას იძენს შესრულებული სამუშაოს რეზულტატზე, რისთვისაც იხდის კონკრეტულ საზღაურს.⁵ შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. მოცემულ შემთხვევაში ასეთი შედეგი რვავე ქუჩის ბეტონით სრულყოფილად მოპირკეთება იყო, რისი მიღწევაც იმ შემთხვევაში

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება N ას-866-808-2017.

იქნებოდა შესაძლებელი თუ წყალსადენი ქსელი მწყობრში იქნებოდა. ხელშეკრულების თანახმად, სავალი ნაწილის ბეტონის საფარით მონყობის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში წყალსადენის ქსელის მონყობა არ იყო გათვალისწინებული. სარჩელით მოთხოვნილი ხარჯები არ წარმოადგენს ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნას. კერძოდ, გადახარჯვას შეიძლება ადგილი ჰქონოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეთა შორის შეთანხმებული იქნებოდა მიახლოებითი ან მყარი ხარჯთაღრიცხვა, რა დროსაც მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისას გადახარჯვის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სკ-ის 631-ე, ხოლო მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებისას - სკ-ის 398-ე მუხლია. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის საერთოდ არ იყო შეთანხმებული წყალსადენის ქსელის მონყობის სამუშაოები ერთ-ერთ კონკრეტულ ქუჩაზე და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვაც განსაზღვრული არ ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად გამორიცხულია მოცემული შემთხვევის შეფასება ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მყარი ან მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვან გადაჭარბებად.⁶

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ვერ წარმოადგინა იმ გარემოების საწინააღმდეგოდ დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, რომ მართალია, მოპასუხეს სადავო წყალსადენის ქსელის მონყობის მიზნით, რაიმე სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა კრედიტორ შპს-სთან არ ჰქონია, მაგრამ აღნიშნული სამუშაოები მითითებულმა იურიდიულმა პირმა შეასრულა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული შესრულება კი ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღიარებული და დადასტურებულია, რის თაობაზეც მან მიმართა კიდევც ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება N ას-888-834-2012.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს სადავო აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება მართებულად დაეკისრა, რაც გასაზიარებელია.

მარიამ ბეჟიტაშვილი

▶ 1.10 - 11/2020

უზრუნველყოფი საკუთრების შეთანხმება¹

1. ვალდებულების უზრუნველსაყოფად ნივთის საკუთრებაში გადაცემა არ შეიძლება განიმარტოს სხვა შესრულების მიღებით ვალდებულების შეწყვეტად, სკ-ის 428-ე მუხლის მიხედვით.

2. ვალდებულების უზრუნველსაყოფად ნივთის საკუთრებაში გადაცემა თვალთმაქცური გარიგებაა სკ-ის 56-ე მუხლის გაგებით. თუ ის აკმაყოფილებს სკ-ის 311¹ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, გამოიყენება იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმები.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება № ას-1484-1404-2017

სკ-ის 56, 477, 311¹-ე მუხლები

I. ფაქტობრივი გარემოებები

პირველმა ვაჭარმა მეორე ვაჭარი საქმიანი ურთიერთობების საწარმოებლად მესამე პირთან დააკავშირა, რომელმაც ამ უკანასკნელს

¹ ანალიზის მიზნებისთვის მხედველობაშია მიღებული გადაწყვეტილებაში აღწერილი ყველა ფაქტობრივი გარემოება. დავის საგანს მხოლოდ მოჩვენებით დადებული გარიგების ბათილობა და ნივთის ვინდიკაცია წარმოადგენდა, ამდენად, სასამართლო სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემდა ისეთ ფაქტებს, რომლებსაც მხარეები არ აყრდნობდნენ საკუთარ პოზიციას. ანალიზის ფარგლებში ამ საკითხებზე მსჯელობა არ მოიაზრება სასამართლოს კრიტიკად, რადგან მას ამის უფლებას შეეზიარებოდა პრინციპი (სსკ-ის მე-4 მუხლი) არ აძლევს.

ნასყიდობის შეპირებული თანხა არ გადაუხადა. პირველმა ვაჭარმა აღიარა მეორე ვაჭრის ქონებრივი დანაკლისის ნაწილობრივ დაფარვის ვალდებულება, რადგან ამ უკანასკნელს ზიანი სწორედ მისი რჩევით დაკავშირებულმა პირმა მიაყენა. პირველი ვაჭრის ოჯახის წევრმა მეორე ვაჭარს აღიარებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად საკუთრებაში ბინა გადასცა. უძრავი ნივთის მესაკუთრემ სარჩელი აღძრა მეორე ვაჭრის წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობისა და ბინის დაბრუნების მოთხოვნით.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება გააუქმა და უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელემ სადავო გახადა იმაზე მითითებით, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო სკ-ის 92-ე მუხლი და დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების პირობა ნებაზე დამოკიდებულად ჩაეთვალა. მისივე დასაბუთებით, მოპასუხეს არ ჰქონდა ნივთის შეძენის ნება და მისი ნივთზე მესაკუთრედ რეგისტრაცია არ უნდა მიჩნეულიყო სხვა შესრულების მიღებად სკ-ის 428-ე მუხლის გაგებით.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი, სადავო ნივთი მოსარჩელეს მიაკუთვნა და მასზე მოპასუხის იპოთეკა დაადგინა. საკასაციო სასამართლომ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობა არ ჩათვალა ნებაზე დამოკიდებულად სკ-ის 92-ე მუხლის გაგებით, არამედ მიიჩნია თვალთმაქცურ გარიგებად, სკ-ის 56-ე მუხლის მიხედვით. მისი პოზიციით, მხარეებმა ნასყიდობით იპოთეკის ხელშეკრულება დაფარეს. სასამართლოს დასაბუთებით, გამომდინარე იქიდან, რომ მათ დაიცვეს სკ-ის 311¹ მუხლით დადგენილი ფორმა, რეალურად დადებული იპოთეკა ბათილი არ იყო და დასაშვებად ჩაითვალა იპოთეკის მომწესრიგებელი ნორმების ამ ურთიერთობაზე გავრცელება. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პო-

ზიცია სკ-ის 428-ე მუხლთან დაკავშირებით: დაუშვებელია საკუთრების უზრუნველსაყოფად გადაცემა ჩაითვალოს სხვა შესრულების გზით ვალდებულების დაკმაყოფილებად.

III. კომენტარი

ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, პირველი ვაჭარი თავს ვალდებულად თვლიდა, აენაზღაურებინა ის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მისმა შერჩეულმა მესამე პირმა მეორე ვაჭარს მიაყენა. აღწერილი არ ქმნის არც სახელშეკრულებო და არც დელიქტური ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას: რელატიური ურთიერთობით არ დაკონკრეტებულა სახელი და გულისხმიერი მესამე პირის საქმიანი ურთიერთობებისთვის შეთავაზების ვალდებულება და ასეთ შუამავალთან მეორე ვაჭრის დაკავშირება დელიქტური გაგებით მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება შესაბამისი დამცავი ნორმის არარსებობის გამო.² ამ შემთხვევაში საერთოდ არ დგება სამოსამართლო სამართლით საგამონაკლისოდ შექმნილი ინსტრუმენტების (მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია, ხელშეკრულება მესამე პირის დამცავი ეფექტით, სუფთა ქონებრივი ზიანი)³ გამოყენების საკითხი. დასახელებული საშუალება შეიქმნა ისეთი შემთხვევების მოსაწესრიგებლად, როდესაც დაზარალებულს ადგება ზიანი მისი აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე და, ამასთან, არ არსებობს ნორმა, რომელიც აკრძალავდა სხვისი ქონების ამგვარ შემცირებას. გამოსავლის მოფიქრების აუცილებლობა გამოიწვია სწორედ იმან, რომ პირს ასეთ შემადგენლობაში არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საშუალება საკუთარი ინტერესის დასაცავად: სიკეთის ხელყოფა და ქონებრივი დანაკლისი ერთმანეთსაა აცდენილი (სხვადასხვა სუბიექტთან იჩენს თავს) და დაზარალებულს არ აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ამგვარ

² რუსიაშვილი/ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, 199-200.

³ რუსიაშვილი, „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 3/2019, 2 და შემდგომი გვერდები.

აცდენასა და საგამონაკლისო ინტრუმენტებზე მსჯელობა აბსურდული იქნებოდა მოცემულ საქმეში, რადგან მოპასუხეს აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნა მისი კონტრაჰენტის წინააღმდეგ. ამდენად, პირველი ვაჭარი არ იყო ვალდებული მესამე პირის მიერ მიღებული ზიანის ანაზღაურებაზე.

ვალის აღიარება, რომელიც მოპასუხემ არაერთხელ ახსენა პირველი ვაჭრის ვალდებულების საფუძვლად, კაუზალური ბუნებისაა, რადგან ფაქტობრივი გარემოებებით არ იკითხება, რომ მხარეებს ახალი ვალდებულების შეთანხმება სურდათ. უფრო სავარაუდოა, რომ მათ ურთიერთობის მონესრიგების მიზანი ამოძრავებდათ.⁴ კაუზალური ვალის აღიარების ნამდვილობის მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაზე დამოკიდებულების გამო, მოცემულ შემთხვევაში პირველი ვაჭრის ვალდებულება ვერც ვალის აღიარებას (რომელიც ამ დამოკიდებულების გამო სამართლებრივი ძალის არმქონეა) დაეფუძნებოდა. ვალის აღიარების აბსტრაქტულად ჩათვლის შემთხვევაშიც კი, პირველ ვაჭარს ექნებოდა ვალის აღიარების უსაფუძვლო გამდიდრების დანაწესების მიხედვით დაბრუნების უფლება.⁵

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ სწორად შეაფასა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. მართებულია მოსარჩელის პოზიციის უარყოფა სკ-ის 92-ე მუხლთან დაკავშირებით, რადგან ნებაზე დამოკიდებულად მხოლოდ ის პირობა უნდა ჩაითვალოს, რომლის სისრულეში მოყვანაც მხოლოდ მხარის ნებას შეუძლია. მოცემულ შემთხვევაში საკუთრების მსესხებლისთვის დაბრუნების შედეგს დააყენებდა კრედიტორის დაკმაყოფილების ნებისმიერი საშუალება.⁶ თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც დაფარულია მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლებრივი შედეგი, სასამართლოს სწორი პოზიციის მიხედვით, ბათი-

ლია სკ-ის 56-ე მუხლის მიხედვით და მის მაგივრად გამოყენებული უნდა იყოს დაფარული გარიგების მომნესრიგებელი ნორმები. თავის მხრივ, დაფარული გარიგება ნამდვილი, მათ შორის, შესაბამისი ფორმით დადებული უნდა იყოს.⁷ სწორედ დაფარული გარიგების ფორმად დაუცველობა ხშირად წარმოადგენს სასურველი სამართლებრივი შედეგის დაუშვებლობის გამომწვევ მიზეზს.⁸ სასამართლო ზუსტად იმავე მიზნებისთვის უთითებს სკ-ის 311¹ მუხლზე, თუმცა მხედველობიდან რჩება სკ-ის 289 I¹ 1 მუხლი, რომელიც სესხიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფისთვის სავალდებულო სანოტარო ფორმას ადგენს. სკ-ის 289 I¹ 2 მუხლი აზუსტებს სანოტარო მოქმედების შინაარსსაც კი. ამდენად, საკმარისი არ იქნებოდა მხოლოდ წერილობით დადებული გარიგების წარდგენა და მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე მისი ხელმოწერა იმისთვის, რომ სასამართლოს მიერ იპოთეკის სადავო ნივთზე დადგენა დასაშვებად ჩათვლილიყო.

ნინო ქავჭავაძე

► 2.1 - 11/2020

დასაქმებულის გათავისუფლება სანარმოს რეორგანიზაციისას

რეორგანიზაცია, თავისთავად, არ წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, თუკი იგი გამონვეული არ არის ობიექტური გარემოებებით და თუკი რეორგანიზაცია აუცილებელს არ ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.

საქართველოს შრომის კოდექსის 37 I ა) მუხლი (ამჟამად მოქმედი რედაქციის 47 I ა) მუხლი)

⁴ Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017§ 781, Rn. 3.
⁵ იქვე, Rn. 2.
⁶ პირობადებული საკუთრებისთვის (რომელიც უზრუნველყოფი საკუთრების შებრუნებული კონსტრუქციაა) იხ. რუსიაშვილი/სირდაძე/ევგენაშვილი, სამართალი, კაზუსების კრებული, 2019, 175. სანივთო

⁷ ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 56-ე მუხლი, მე-20 ველი.
⁸ Bölling, WiRO 2004, 35.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 სექტემბერი გადაწყვეტილება № ას-67-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

დასაქმებულმა სარჩელი აღძრა დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. დასაქმებული დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სანარმოში განხორციელებული რეორგანიზაციის საფუძველზე, რომლის შედეგადაც მას განემარტა, რომ სანარმოში აღარ არსებობდა უსაფრთხოების ოფიცრის საშტატო ერთეულის ქონის აუცილებლობა. სანაცვლოდ, კომპანია აცხადებდა, რომ აღნიშნული სერვისის მიღებას იგი გარე მომსახურე კომპანიისაგან გეგმავდა. მოსარჩელის განმარტებით, მან გამოითხოვა სანარმოსგან ინფორმაცია, თუ რომელ კონტრაქტორ კომპანიასთან თანამშრომლობდა სანარმო უსაფრთხოების კუთხით, თუმცა, პასუხად მას განემარტა, რომ ინფორმაციის მოთხოვნის მომენტიდან ამგვარი კონტრაქტორი შერჩეული არ იყო და მიმდინარეობდა ბაზრის კვლევა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მის ადგილზე, რეალურად, დასაქმებულია სხვა პირი და რეორგანიზაცია იყო მოჩვენებითი ხასიათის. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სანარმოში რეორგანიზაცია გამონვეული იყო შექმნილი ფინანსური სირთულეებით და რეორგანიზაციის შედეგად მოხდა შტატების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც გამოიკვეთა უსაფრთხოების ოფიცრის საშტატო ერთეულის გაუქმების აუცილებლობა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა: ბათილად ცნო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება, თუმცა ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის გამო მოპასუხეს კომპენსაციის სახით 17,000 ლარის გადახდა დააკისრა. სასამართლომ დაადგინა, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული რეორგანიზაციის მართლზომიერება (ეკონომიკური გარემოებები,

ტექნოლოგიური ცვლილებები). სასამართლოს განმარტებით, შტატები მართლაც შემცირდა, თუმცა მოპასუხე მხარემ ვერ მიუთითა რა ეკონომიკური და ტექნოლოგიური გაუმჯობესება მოხდა კომპანიაში რეორგანიზაციის შედეგად და რა თანხა დაიზოგა ამით. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო. საკასაციო სასამართლოს განმარტებით განთავისუფლების ბრძანების ბათილობის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, უნდა შეფასდეს მოპასუხე სანარმოში რეორგანიზაციის ჩატარებისა და მოსარჩელის მიმართ დამდგარი შედეგების მართლზომიერება - ადგილი ხომ არ ჰქონდა დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას, რაც ეწინააღმდეგება შრომის კოდექსის 37 I ა) მუხლის, სკ-ის 115-ე, მე-8 მუხლს და საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უფლებას. სასამართლოს განმარტებით, რეორგანიზაცია მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალური საფუძველი არ არის და ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები არ უნდა იქცეს უმართებულო გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერ საფუძველად. საკასაციო სასამართლოს განმარტებით ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძველს, თუ დადგინდება, რომ იგი თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ეკონომიკური სიდუხჭირის, შტატების ან/და ხელფასების შემცირების ან სხვა ობიექტური საჭიროების გამო დამსაქმებელს აყენებს კონკრეტული თანამდებობიდან მუშაკის გათავისუფლების აუცილებლობის წინაშე. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ დამსაქმებელმა მითითებული საფუძველით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს შემდეგი

წინაპირობები: 1) სანარმოო აუცილებლობა, რომელიც შესაძლოა ლეგიტიმულ მიზანს წარმოადგენდეს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებისათვის; 2) შტატების რეალურად და კანონთან შესაბამისად შემცირების ფაქტი - კერძოდ, რეორგანიზაციის ფაქტობრივად განხორციელება კანონის შესაბამისად ისე, რომ პროცესში არ მოხდეს თვალთმაქცურად არასასურველი მუშაკების განთავისუფლება.

გონა ოყრეშიძე

► 3.1 - 11/2020

მოთხოვნის დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გვერდის ავლით

1. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემდეგ კრედიტორს ეკრძალება სამეურვეო ქონებიდან საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გვერდის ავლით, კერძოდ, მოვალის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრით.

2. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გვერდის ავლით დაკმაყოფილებული მოთხოვნა წარმოადგენს იმ ქონებრივ დანაკლისს, რომელიც ანაზღაურდება სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №ას-1822-1796-2011

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლი (ახალი კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ ამოქმედდება 01/04/2021 წლიდან)

I. ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიამ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან სესხად მიიღო 1,500,000 ლარი, რის უზრუნველსაყოფადაც კომპანიამ

სამინისტროს წარუდგინა საბანკო გარანტია. კომპანიამ ვერ ვალდებულებების შეასრულა, რის გამოც სამინისტრომ წერილობით მიმართა ბანკს და მოითხოვა საბანკო გარანტიის თანხის განაღდება, რაც დაკმაყოფილდა. თავის მხრივ, ბანკმა რეგრესული მოთხოვნით მიმართა კომპანიას განაღდებული საბანკო გარანტიის თანხის ასანაზღაურებლად, თუმცა მას ეცნობა, რომ კომპანიის მიმართ გახსნილი იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მოთხოვნილ თანხას მიიღებდა გადახდისუუნარობის საქმეში მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე. ამის მიუხედავად, ბანკმა ვალდებულების შესასრულებლად კომპანიის ანგარიშიდან ჩამოჭრა 100,000 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ჩამოჭრილი თანხის უკან დაბრუნება. მოპასუხე ბანკმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის განჩინება საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა ორი კვირის დაგვიანებით, ხოლო თანხის ჩამოჭრის მომენტისათვის მოპასუხემ აღნიშნული წარმოების გახსნის თაობაზე არ იცოდა. ამასთან, საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით, ბანკს მინიჭებული ჰქონდა ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის უფლება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საბანკო ანგარიშზე 100 000 ლარის დაბრუნება, რაც ბანკმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბანკს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობა იმავე დღეს, როცა მოხდა კომპანიის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა. ხოლო სამეურვეო ქონება ერთიანი კომპლექსის სახით გაიყიდა აუქციონზე და მისი შემძენი გახდა სადავო 100,000 ლარის მესაკუთრე. სასამართლომ განმარტა, რომ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის დროისათვის მოვალის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა წარმოადგენს მის საკუთრებას და, შესაბამისად, ითვლება სამეურვეო ქონებად. ამდენად, თანხის განკარგვა ასეთი ფორმით ეწინააღმდეგე-

ბოდა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონს.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ბანკის საკასაციო საჩივარი. სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, ბანკმა დაარღვია „გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების შესახებ“ კანონის 21 I მუხლის მოთხოვნები და მას თანხის ჩამოჭრის უფლება არ ჰქონდა, თუმცა სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის გადახდისუუნარობის საქმის წარმოება უკვე დამთავრებული იყო და აუქციონის მეშვეობით სანარმოს სხვა მესაკუთრე ჰყავდა. ამ გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმამ, რომელიც აჩერებდა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანამდე აღებული ვალების გადახდასა და პროცენტების, დარიცხვა/გადახდას, ძალა დაკარგა. შესაბამისად, ბანკმა მიიღო ის, რაც მას, როგორც კრედიტორს, ისედაც ეკუთვნოდა. თუმცა, ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ბანკის მოქმედება იყო არამართლზომიერი, ამიტომ შესაძლებელი იყო დელიქტური მოთხოვნის წარდგენა ზიანის ანაზღაურების მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი მოთხოვნა საქმეში დაყენებული არ ყოფილა, სასამართლოს აღნიშნული საკითხზე მსჯელობა შეუძლებლად მიიჩნია.

გოჩა ოყრეშიძე

► 4.1 – 11/2020

მიზნობრივი კრედიტით მიღებული თანხის არამიზნობრივი ხარჯვა

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი კრედიტის მიღებისას კრედიტის მიმღები ვალდებულია უკან დააბრუნოს თა-

ნხა, თუკი იგი ვერ დაადასტურებს მიზნობრივ გახარჯვას, მიუხედავად იმისა, რომ თანხები კომპანიის საქმიანობას მოხმარდა (კომუნალური გადასახადები, შრომითი გასაცემები და სხვ.).

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება № ას-1775-2019

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 27/01/2014 წლის №139 განკარგულების 4(14)(ბ)

II. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს მიიღო სპეციალური განკარგულება აგროკრედიტების გაცემის თაობაზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა. დაკრედიტების პროგრამას ახორციელებდა სპეციალური სააგენტო. სააგენტოსა და მოპასუხე კომპანიას შორის 2015 წელს გაფორმდა შეთანხმება მიზნობრივი თანადაფინანსების თაობაზე. კრედიტი გაიცემოდა სპეციალური მიზნობრიობით და სააგენტო უფლებამოსილი იყო, ნებისმიერ დროს, წინასწარი შეთანხმების გარეშე, ჩაეტარებინა მსესხებლის მიერ მიღებული თანხის გახარჯვის მიზნობრიობის მონიტორინგი. თუკი კომპანია მიზნობრიობას დაარღვევდა, სააგენტო უფლებამოსილი იყო შეეწყვიტა თანადაფინანსება და თანხის უკან დაბრუნება მოეთხოვა. პროექტის განსახორციელებლად მოპასუხე კომპანიამ კომერციული ბანკიდან აიღო კრედიტი 70,000 აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენდა 27,996.49 აშშ დოლარს. შელავათიანი აგროკრედიტის გაცემის მიზანი იყო მოპასუხის მიერ ტექნოლოგიური ხაზის შექმნა მცენარეული ცხიმების (ზეთის) სანარმოებლად და არსებული შენობის მოწყობა/რემონტი. მონიტორინგისას შედეგად,

მოპასუხე კომპანიამ ვერ დაასაბუთა თანხების მიზნობრივი გახარჯვა. სააგენტო მოპასუხისგან მოითხოვდა აუთენტიკაციის/არამიზნობრივად გახარჯული თანხების უკან დაბრუნებას. მოპასუხე კომპანიამ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მიღებული თანხით შეიძინა და დაამონტაჟა სპეციალური ტექნიკა/დანადგარები (ზეთის სახდელი და ჩამოსასხმელი აპარატები, ზეთის შესანახი რეზერვუარები, ზეთის ფილტრაციის აპარატი და სხვ.). მოპასუხემ მიუთითა, რომ პროექტით გათვალისწინებული სამუშაო შეასრულა და ქარხანა აამუშავა. ამასთან, ნასესხები თანხა სრულად არ გამოყენებულა და ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ბანკს უკან დაუბრუნდა კრედიტის ნაწილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და მოპასუხე კომპანიას დააკისრა სააგენტოს სასარგებლოდ 20,157 ლარის გადახდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და უარი თქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან კომპანიამ პროექტის განსახორციელებლად მოსარჩელის მიერ თანადაფინანსებულზე მეტი სესხი აითვისა, ეს იმას ნიშნავდა, რომ თანადაფინანსება არამიზნობრივად არ გამოუყენებია, შესაბამისად, არც მიღებული თანხის უკან დაბრუნება ეკისრებოდა.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ სააგენტოს საჩივარი სრულად დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ თანადაფინანსების ფარგლებში გადახდილი თანხის უკან დაბრუნება გამოირიცხებოდა მაშინ, თუკი მოპასუხე დაამტკიცებდა, რომ თანხა მიზნობრივად გახარჯა. სადავო კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგის შედეგად კი დადგინდა, რომ ბენეფიციარმა ძირითადი საშუალების მიზნობრივით გაცემული სესხის ნაწილით საბრუნავი საშუალებები შეისყიდა (ელექტროენერჯის დავალიანების დაფარვა; საპოხი და დამხმარე ნივთიერებების შექენა; სახელფასო ანაზღაურე-

ბა), ხოლო ნაწილი თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები საერთოდ ვერ წარადგინა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მონიტორინგის შედეგები ეწინააღმდეგება სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის დადებული შეთანხმების შედეგად ბანკის მიერ გაცემული სესხის მიზანს.

გონა ოყრეშიძე

► 5.1 - 11/2020

გადაწყვეტილების პირის საუარესოდ შეცვლის დაუშვებლობა

1. ალიმენტის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც ბავშვის ინტერესებს, ისე მშობლის რეალურ შემოსავალს.

2. ზემდგომი ინსტანციის გადაწყვეტილებით მხარეს არ შეიძლება წაერთვას ქვედა ინსტანციის მიერ მინიჭებული ის უფლება, რომლის მიკუთვნებაც მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუსაჩივრებია.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება № ას-159-149-2017

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლი

I. ფაქტობრივი გარემოებები

მშობლები დაახლოებით სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც მათ შეეძინათ შვილი. მხარეების დაშორების შემდეგ, ბავშვმა დედასთან ერთად განაგრძო ცხოვრება. დედამ სარჩელი აღძრა მოპასუხე მამის წინააღმდეგ და მოითხოვა ყოველთვიური ალიმენტის (700 ლარი) გადახდა ბავშვის სრულწლოვანებამდე. მო-

პასუხის შემოსავლის წყაროდ მოსარჩელე მიუთითებდა ლექციების ნაკითხვას ორ უნივერსიტეტში, ასევე, იმას, რომ მოპასუხე რეგისტრირებული იყო ერთ-ერთი კომპანიის 33% წილის მესაკუთრედ და დირექტორად. დამატებით, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხემ ქორწინების პერიოდში ორი უძრავი ქონება გაასხვისა, რის შედეგადაც შემოსავალმა შეადგინა 29,885 აშშ დოლარი. ამის საფუძველზე, მოსარჩელემ, ასევე, მოითხოვა მეუღლეთა თანაცხოვრების დროს დაგროვილი თანხიდან კუთვნილი წილი (14,942 აშშ დოლარის ოდენობით). მოპასუხემ სარჩელი ცნო ალიმენტის - 150 ლარის დაკისრების ნაწილში. შემოსავლის ნაწილში მოპასუხემ განმარტა, რომ მისი ჯამური სალექციო ანაზღაურება შეადგენს 1,400 ლარს, რასაც უნდა გამოაკლდეს თბილისიდან ბათუმში (უნივერსიტეტის მდებარეობა) მგზავრობის ხარჯები. ხოლო, რაც შეეხება კომპანიის ფლობას და მის დირექტორობას, მოპასუხემ მიუთითა, რომ დირექტორად ფორმალურად არის გაფორმებული და კომპანია არ ფუნქციონირებს. ამასთან, მოპასუხე მამამ შეგებებული სარჩელი წარადგინა და მოითხოვა განსაზღვროდა არასრულწლოვანი შვილის ნახვის დღეები - კვირაში ორი დღე, ღამით დარჩენის უფლებით, ასევე წელიწადში ერთხელ, ზაფხულის პერიოდში, ბავშვის დასასვენებლად წაყვანის უფლება მინიჭებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დედის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და საალიმენტო თანხად განსაზღვრა თვეში 300 ლარი. ასევე, სასამართლომ მოთხოვნილი 14,942 აშშ დოლარიდან მოსარჩელეს მიაკუთვნა 8,025 აშშ დოლარი. სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა მამის შეგებებული სარჩელი და მას ბავშვის ნახვისათვის დაუდგინდა დღეები (კვირაში 2 დღე) და მისცა მას ზაფხულის პერიოდში ბავშვის დასასვენებლად წაყვანის უფლება ერთი თვის ვადით. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა მამის მიერ ბავშვის ნახვის დღეები და ნაცვლად ყოველი კვირის შაბათისა, დაადგინა ყოველი თვის პირველი შაბათი. სხვა ნაწილში, გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო სასამართლომ

განმარტა, რომ ალიმენტი წარმოადგენს იმ განტირებულ მინიმუმს, რითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის რჩენა და მისთვის ცხოვრების სათანადო პირობების სტაბილურად შენარჩუნება, ამასთან, თანხის ოდენობა იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ არც ალიმენტვალდებული პირი აღმოჩნდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ამგვარ ოდენობად მიიჩნია მხარის საერთო შემოსავლების 25%-დან 50%-მდე ოდენობა. შესაბამისად, ალიმენტად 300 ლარის განსაზღვრა გონივრულად იქნა მიჩნეული. ქონების გაყოფასთან დაკავშირებით სასამართლომ საერთო საკუთრებად მიიჩნია მოთხოვნილი თანხის ნაწილი (როგორც შემოსავალი), თუმცა ამგვარად არ მიიჩნია სესხად აღებული თანხა, რომლის დაბრუნების ვალდებულებაც მამას გააჩნდა.

II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი. სასამართლომ გონივრულად მიიჩნია როგორც საალიმენტო ოდენობა, ისე ქონების გაყოფის მოთხოვნის მიმართ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასებები. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო ინსტანციის შეფასებები ბავშვის ნახვისათვის გამოყოფილ დროსთან დაკავშირებით, ვინაიდან პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით მამას მიენიჭა ბავშვის ნახვის უფლება ყოველ შაბათს, რაც დედას არ გაუსაჩივრებია; ხოლო, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ ყოველი შაბათი შეცვალა ყოველი თვის პირველი შაბათით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამგვარი საუარესოდ შემობრუნება დაუშვებელია და, რომ მოპასუხეს არ უნდა წაერთვას სასამართლოს მიერ მინიჭებული ის უფლება, რომლის მისთვის მიკუთვნების საკითხიც მოწინააღმდეგე მხარეს არ გაუსაჩივრებია.

გოჩა ოყრემიძე